

საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება საქართველოში

საკონსტიტუციო სასამართლო
ავტორიტარული რეჟიმის სამსახურში



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება საქართველოში

საკონსტიტუციო სასამართლო ავტორიტარული რეჟიმის სამსახურში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2025



Kingdom of the Netherlands



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია პროექტის, „კანონის უზენაესობის ხელშეწყობა საქართველოში მონიტორინგის, კვლევისა და განათლების გზით“, ფარგლებში, რომელსაც სოციალური სამართლიანობის ცენტრი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და შეფასებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

დოკუმენტზე პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე

დოკუმენტის ავტორი: ანა პაპუაშვილი

კვლევის ასისტენტი: სოფო ქასრაძე

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: ანა პაპუაშვილი, „საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება საქართველოში - საკონსტიტუციო სასამართლო ავტორიტარული რეჟიმის სამსახურში“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2025

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

სარჩევი

შესავალი.....	4
1. საკონსტიტუციო კონტროლი და აპექს სასამართლოები კონსტიტუციური დემოკრატიის სადარაჯოზე - მითი თუ რეალობა	6
2. საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება თანამედროვე ავტორიტარულ რეჟიმებში.....	8
2.1. რას ნიშნავს საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება?	10
2.2. ბოროტად გამოყენების მიზნები - რატომ აპექს სასამართლოები?.....	14
2.3. ბოროტად გამოყენების მეთოდები - როგორ ხდება სასამართლოების დამორჩილება?	16
2.4. ბოროტად გამოყენების ტიპოლოგია - სასამართლო კონტროლის ძლიერი და სუსტი ფორმები.....	18
3. რა მოხდა საქართველოში - საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ქართული მოდელი	20
3.1. 1996-2016: ბრძოლა ინსტიტუციური დამოუკიდებლობისთვის	22
3.2. 2016-2020: ინსტიტუციური და პერსონალური დამორჩილების ქრონიკა საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების სუსტი ფორმის ფონზე.....	28
3.3. 2020-2025: საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების სუსტიდან ძლიერ ფორმამდე: საკონსტიტუციო სასამართლოს ევოლუცია პრაქტიკაში	58
დასკვნა	93

შესავალი

კონსტიტუციური დემოკრატია საფრთხეშია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რიგი ქვეყნების ლიდერები ცდილობენ ძირითადი გამოუთხარონ ამგვარ წესრიგს. დემოკრატიაზე ბოლოდროინდელი თავდასხმების მთავარი განმასხვავებელი ნიშანია მათი თითქოსდა კანონიერი ელფერი. ჩვენი დროის ავტორიტარები მეტწილად ფორმალურ და არაფორმალურ საკონსტიტუციო ცვლილებებს, ჩვეულებრივ სამართლებრივ საშუალებებს მიმართავენ კონსტიტუციური წესრიგის იმგვარად გადასაკეთებლად, რომ საარჩევნო თამაში საკუთარ ინტერესებს მოარგონ.

თანამედროვე ავტორიტარების ხელთ არსებული საშუალებებიდან ერთ-ერთია სასამართლო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, რაც მართლმსაჯულებას რეჟიმის მნიშვნელოვან იარაღად, მის განმახორციელებელ ორგანოებს კი - ავტორიტარების შორსმიმავალი გეგმის არსებით ნაწილად მოიაზრებს.

თანამედროვე აკადემიურ ლიტერატურაში სულ უფრო ხშირად გვხვდება სასამართლო სისტემის კონკრეტული აქტორების - საკონსტიტუციო სასამართლოების და მათ მიერ განხორციელებული საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების შემთხვევების ანალიზი, რომლის თეორიული კონცეპტუალიზაცია დევიდ ლანდაუმ და როზალინდ დიქსონმა შემოგვთავაზეს 2020 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში - „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოების წინააღმდეგ“¹. თეორიული ჩარჩო მკითხველს სთავაზობს „საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების“ განმარტებას, ვრცლად აანალიზებს სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენების, როგორც ავტორიტარული რეჟიმების სტრატეგიის ლოგიკას - რატომ და როგორ მიმართავენ რეჟიმები სასამართლოს დახმარებას, და მის ტიპოლოგიას - „ძლიერი“ და „სუსტი“ ფორმების სახით. სუსტ შემთხვევებს ადგილი აქვს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოები საკუთარი დუმილით ან სტრატეგიული დათმობით მხარს უჭერენ ან ხელს უწყობენ პოლიტიკური ხელისუფლებების ავტორიტარულ მიდრეკილებებს, ძლიერი ფორმის დროს კი, ისინი აქტიურად მონაწილეობენ რეჟიმის მიერ დემოკრატიული და კონსტიტუციური წესრიგის ჩამოშლის პროცესში. საბოლოოდ, საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება ავტორიტარული მმართველობების, როგორც არსებითად ლეგიტიმაციაზე ნაკლები რეჟიმების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოების ნდობასა და ლეგიტიმაციაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პარაზიტირების შემთხვევაა, რომელიც რეჟიმის მხრიდან დროსა და სათანადო მოხერხებით გამოყენებას საჭიროებს. თუმცა გეგმის წარუმატებლობის შემთხვევაში ასეთი სასამართლოები ვერც რეჟიმებისთვის ასრულებენ სასურველ როლს და ამ პროცესში საკუთარ ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასა და საზოგადოებრივ ნდობასაც კარგავენ. ეს მოცემულობა დემოკრატიული ცვლილებების შანსის შემთხვევაში, საბოლოოდ, მათ რეჟიმის ნანგრევების ქვეშ აქცევს. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა კი სასამართლოს სრულად რეფორმირებით და დაკარგული ლეგიტიმაციის წლობით თავიდან შენებით არის შესაძლებელი.

¹ დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატიის წინააღმდეგ“, UC Davis Law Review, Vo. 53, 2020, ქართული თარგმანი ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/zrcEGzLi>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

წინამდებარე დოკუმენტი ამ თეორიული ჩარჩოს საფუძველზე განიხილავს საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ქართულ მოდელს, რომელიც მისი უნიკალური მახასიათებლების მიუხედავად, სამწუხაროდ, სრულად ჯდება ამ ჩარჩოში. დოკუმენტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მთელი არსებობის მანძილზე განხორციელებული ინსტიტუციური, საკანონმდებლო და პერსონალური ცვლილებების, ასევე ამ სასამართლოს მიერ ბოლო წლებში მიღებული, ქვეყნის კონსტიტუციური წყობილებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების კრიტიკული ანალიზის ფონზე განიხილავს, როგორ იქცა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული და საზოგადოებრივი ნდობით აღჭურვილი ინსტიტუცია ჯერ ავტორიტარული მიდრეკილებების მქონე პოლიტიკური ხელისუფლების მდუმარე მოკავშირედ, შემდეგ კი ავტორიტარული კონსოლიდაციის გზაზე შემდგარი რეჟიმის აქტიურ აპოლოგეტად, რომლის გადაწყვეტილებების სავალალო შედეგები დღემდე უმძიმეს გავლენას ახდენს საქართველოში ბოლო წლებში მუდმივად მზარდ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კონსტიტუციურ კრიზისზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი კრიტიკა დღეს არსებულ სამართლებრივ თუ პოლიტიკურ კონტექსტში აუცილებელი, თუმცა ნაწილობრივ დაგვიანებულიცაა. „ქართული ოცნების“ მმართველობის რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პერიოდში სამოქალაქო სექტორს და ფართო საზოგადოებას წლები დასჭირდა იმისათვის, რათა ამ სასამართლოს პოლიტიკური დამორჩილების სამწუხარო ფაქტისთვის თვალი გაესწორებინა, მიუხედავად იმისა, რომ რეტროსპექტივაში ეს პროცესი ჯერ კიდევ 2016 წელს დასრულდა და არა შემდგომ პერიოდში, პოლიტიკური ხელისუფლებისათვის მისაღები პირების მოსამართლეებად გამწესების, მნიშვნელოვან საქმეთა წლობით გაჭიანურებისა და მოგვიანებით უკვე საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმების დამკვიდრების შედეგად. ეს პროცესი ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საერთო სასამართლოების სისტემის და მისი ჩავარდნილი რეფორმის კრიტიკისაგან, რომელზეც კონსენსუსი უკვე წლებია არსებობს და რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა, მათ შორის, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციურ ჩამოშლაზე.

ამის მიუხედავად, დღეს, როდესაც ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოვლენების ფონზე დემოკრატიული რეფორმების ჩავარდნა და ინსტიტუტების მიტაცება აშკარაა, ამ შედეგების სისტემური ანალიზი და კრიტიკა მაინც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დემოკრატიული ცვლილებების შესაძლებლობის შემთხვევაში მხოლოდ პრობლემის სწორად მოხელთებითაა შესაძლებელი მისი გრძელვადიანად გადაწყვეტა. წინამდებარე დოკუმენტიც სწორედ ასეთი მცდელობაა და ვიმედოვნებთ, საკუთარ წვლილს შეიტანს საქართველოს მომავალზე მიმდინარე საზოგადოებრივ დისკუსიასა და დემოკრატიული ცვლილებების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს საფუძვლიან გაჯანსაღებასა და მის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მშენებლობის საქმეში.

1. საკონსტიტუციო კონტროლი და აპექს სასამართლოები კონსტიტუციური დემოკრატიის სადარაჯოზე - მითი თუ რეალობა

კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს მთავარი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტის, სასამართლო წესით აღსრულებადობა უკვე დიდი ხანია კონსტიტუციური დემოკრატიების აუცილებელი და მნიშვნელოვანი მექანიზმია.² შესაბამისად, თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის განუყოფელი ნაწილი გახდა სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება. თუმცა ამ ფენომენმა კონსტიტუციური დემოკრატიების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა და მრავალფეროვან და კომპლექსურ ფენომენად ჩამოყალიბდა.³

თუკი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთ-ერთ პირველ კონსტიტუციურ დემოკრატიაში, საკონსტიტუციო კონტროლი თავად სასამართლოების მიერ, დეცენტრალიზებული ფორმით დამკვიდრდა, მოგვიანებით, ევროპაში ამგვარი კონტროლის კონცენტრირებული, ცენტრალიზებული მოდელი შეიქმნა, რაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების კონკრეტული, ცალკე მდგომი ორგანოს მიერ განხორციელებას გულისხმობდა.

მსგავსად მრავალფეროვანია საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლოების უფლებამოსილებები. თუმცა შინაარსობრივად ისინი სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- კონსტიტუციის ძირითადი სტრუქტურისა და კონსტიტუციური იდენტობის დაცვა;
- ძირითადი კონსტიტუციური უფლებების დაცვა/აღსრულება;
- ხელისუფლების დანაწილებისა და შეკავებისა და გაწონასწორების პრინციპების პრაქტიკაში აღსრულება.⁴

თუკი პირველი კომპონენტის დაცვა და აღსრულება ყოველთვის არ მიეკუთვნება სასამართლოების კომპეტენციას და ზოგიერთ ქვეყანაში მასზე ზრუნვა თავად კონსტიტუციის ცვლილების რთული და მრავალსაფეხუროვანი პროცედურებით მიიღწევა, დანარჩენი ორი უფლებამოსილება თითქმის ყველგანაა და ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული. კერძოდ, ძირითადი უფლებების დაცვით აპექს სასამართლოები, იმავე დროს, პოლიტიკური ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიერ თავიანთი უფლებამოსილებების კონსტიტუციურად განხორციელებას უწევენ კონტროლს და პირიქით, ხელისუფლების შეზღუდვისა და სხვადასხვა შტოს უფლებამოსილებების დამდგენი ნორმების განმარტებისას, ეს სასამართლოები, საბოლოოდ, ადამიანის უფლებების დაცვას უზრუნველყოფენ. იმავე დროს, მსგავს ურთიერთდაკავშირებულ შედეგებს ვიღებთ იმ

² Steven G Calabresi, "The Global Rise of Judicial Review Since 1945," Cath. UL Rev. 69 (2020): 401.; მითითებულია კვლევაში: დავით ზედელაშვილი, თაბარ ქეცაია, „საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა“, გნომონ ვაისი, 2024, გვ 8, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/4rcEjllNs>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ.9

შემთხვევაში, როდესაც აპექს სასამართლოები ამ უფლებამოსილებებიდან ერთს ან რამდენიმეს არასათანადოდ ან არაკეთილსინდისიერად ახორციელებენ.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებებისა და შესასრულებელი თუ შესრულებული როლის წყალობით, საკონსტიტუციო კონტროლის და აპექს სასამართლების ფენომენი განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა გასული საუკუნის მიწურულს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოებმა გარდამავალ პერიოდში ახალი დემოკრატიების შექმნის პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირის პერიოდის კონსტიტუციები საბჭოთა რესპუბლიკებში მხოლოდ ფორმალურად ეფუძნებოდა კანონიერების პრინციპს, რომელიც, როგორც პროცედურულად, ისე შინაარსობრივად შეუსაბამო იყო სამართლის უზენაესობის გაგებასთან. ასეთ სახელმწიფოში საკანონმდებლო ორგანო წარმოდგენილი იყო როგორც უზენაესი, წარმომადგენლობითი ინსტიტუტი. თუმცა კონსტიტუციურად აღიარებული კომუნისტური პარტიის პრიმატის პირობებში, ცხადია, პარლამენტს მთლიანად პარტია აკონტროლებდა და ის პარტიის ინსტრუმენტად იყო ქვეყნის. შესაბამისად, სოციალისტურ რესპუბლიკებში არსებული კანონიერების გაგება, რეალურად კომუნისტური პარტიის უზენაესობას განამტკიცებდა და გამორიცხავდა მის შეზღუდვას რომელიმე სხვა ორგანოს, მით უმეტეს, სასამართლოს მხრიდან.⁵ ყოველივე აქედან გამომდინარე კი, გასაკვირიც არ არის, რომ ასეთ სისტემაში საკონსტიტუციო კონტროლის ადგილი არ რჩებოდა და რომც ყოფილიყო, იმ პერიოდის სასამართლო სისტემის ბედს გაიზიარებდა, რომელიც ასევე კომუნისტური პარტიისა და აღმასრულებლის კონტროლს ექვემდებარებოდა.⁶

სწორედ მე-20 საუკუნის მიწურულს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა უარი თქვეს კანონიერების ამგვარ გაუკუღმართებულ გაგებაზე და მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწიეს სამართლებრივ კონსტიტუციონალიზმზე გადასასვლელად. ამ პროცესში კი, საკონსტიტუციო სასამართლოები ფლაგმანის როლს ასრულებდნენ, რამდენადაც ხელისუფლებისა და სამართლებრივი სისტემის ხელახალი ჩამოყალიბება კონსტიტუციას, როგორც რეალურად მოქმედ სამართლის დოკუმენტს და სასამართლოს მიერ აღსრულებად უზენაეს სამართალს დაეფუძნა. საკონსტიტუციო სასამართლოები მოქმედებდნენ როგორც დამოუკიდებელი ორგანოები, რომლებიც ახორციელებდნენ ზემოთ განხილულ მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს: ძირითადი უფლებების დაცვასა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის პრაქტიკაში აღსრულებას, რითაც ხელს უშლიდნენ ხელისუფლების თვითნებობასა და ძალაუფლების კონსოლიდაციასა

⁵ Paul Blokker, “The (Re-)Emergence of Constitutionalism in East Central Europe”, in *Thinking Through Transition: Liberal Democracy, Authoritarian Pasts, and Intellectual History in East Central Europe After 1989*, eds. Michal Kopeček and Piotr Wciślik (Central European University Press, October 2015): 139-168; მითითებულია კვლევაში: დავით ზედელაშვილი, თაბარ ქეცბაია, „საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა“, გნომონ ვაისი, 2024, გვ. 30.

⁶ ანა პაპუაშვილი. „სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობის „ევროპული მოდელი“: ხსნა თუ დაბრკოლება წარმატებული სასამართლო რეფორმის გზაზე, გაკვეთილები საქართველოსთვის“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/wrcFZAbl>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

და მის ბოროტად, თვითნებურ გამოყენებას.⁷ მათმა აქტიურმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა მემკვიდრეობის დაძლევაში იმ გაგებით, რომ უარყო საკანონმდებლო ორგანოს უზენაესობა და აბსოლუტურობა, რომლითაც იფუთებოდა კომუნისტური პარტიის და მათი ხელმძღვანელების პრიმატი და მათ მიმართ მორჩილება.⁸

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის კონსტიტუციონალიზმის იმგვარი გაგების ფართოდ დამკვიდრება, რომელიც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა სასამართლო ხელისუფლებას ადამიანის დაცვაში პოლიტიკური ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან. ამას დროთა განმავლობაში მხარდამჭერი და კრიტიკოსიც ბევრი გამოუჩნდა. კრიტიკა უმეტესად ეხებოდა პოლიტიკის „იურიდიფიკაციას“ და სასამართლოების უფლებამოსილების თითქოსდა ზრდას, რომელიც დემოკრატიულ მმართველობას და პოლიტიკას საჯარო სივრციდან სასამართლო დარბაზებში ანაცვლებდა. მაშინ როდესაც სასამართლო კონტროლის მხარდამჭერები, პირიქით, საუბრობდნენ იმ შესაძლებლობებზე, რაც სასამართლოებს, შესაძლოა, ჰქონოდათ პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან მომავალი ძალაუფლების გადამეტებისა თუ მიტაცების საფრთხეებისგან თავის დასაცავად.

სამწუხაროდ, ეს ოპტიმისტური მოლოდინები საკონსტიტუციო სასამართლოებთან დაკავშირებით დიდად ვერ გამართლდა. დროის გასვლასთან ერთად, რომელმაც თანამედროვე ავტორიტარული რეჟიმების განსხვავებული, ბევრად ვერაგი და კომპლექსური სტრატეგიებიც გამოაშკარავა, ნათელი გახდა, რომ აპექს სასამართლოები ერთ-ერთი პირველი სამიზნეები და განსაკუთრებით მოწყვლადები აღმოჩნდნენ ამ გამოწვევის წინაშე. დღევანდელი გადმოსახედიდან ეს გასაკვირი არ არის, რადგან ახლად აღმოცენებულმა ავტორიტარებმა თავიანთი გეგმების განხორციელებაში მთავარ იარაღად სამართალი და კონსტიტუცია აქციეს⁹. შესაბამისად, სამწუხაროდ, დემოკრატიულ ტრანზიციებში შთამაგობლად წარმატებული როლის შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლოებმა, ბევრგან არათუ ვერ შეძლეს ასეთი რეჟიმებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, არამედ, რიგ შემთხვევებში, აქტიურად დაუჭირეს კიდეც მხარი ამ უკანასკნელს და თავიანთი ძალაუფლება რეჟიმის სამსახურისკენ და დემოკრატიის მინიმუმის ძირის გამოსათხრელად მიმართეს. ამ ფენომენს აკადემიურ დისკუსიებში დღეს „საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენებად“ მოიხსენიებენ.¹⁰

2. საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება თანამედროვე ავტორიტარულ რეჟიმებში

მე-20 საუკუნის მიწურულს გაჩენილი ოპტიმიზმი ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის შეუქცევად ჰეგემონიასა და ამგვარად, „ისტორიის

⁷ Alec Stone Sweet, "Constitutions and Judicial Power," essay, in *Comparative Politics*, Oxford: Oxford University Press, 2008.

⁸ დავით ზედელაშვილი, თაბარ ქეცაია, „საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა“, გნომონ ვაისი, 2024, გვ. 31.

⁹ Scheppele, Kim L. (2018) "Autocratic Legalism," *University of Chicago Law Review*: Vol. 85: Iss. 2, Article 2, available at: <https://cutt.ly/XrvZ45eB> ; accessed on : 27.05.2025.

¹⁰ დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოების დემოკრატიის წინააღმდეგ“, *UC Davis Law Review*, Vo. 53, 2020, გვ. 12.

დასასრულზე“¹¹ რეალობისგან საკმაოდ შორს აღმოჩნდა. ახალი ათასწლეულის პროგრესის პარალელურად, დემოკრატიულ-კონსტიტუციური წესრიგი მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო ღრმა კრიზისს განიცდის. დემოკრატიაზე თავდასხმები, ცხადია, სიახლე არ არის, თუმცა წინა კრიზისებისგან განსხვავებით, როდესაც ეს თავდასხმები უმეტესწილად ღიად კანონგარეშე და კონფრონტაციული მეთოდებით მიმდინარეობდა, როგორც, მაგალითად, სამხედრო გადატრიალებებია, თანამედროვე ავტორიტარები ამისათვის უფრო „რბილ“, თუმცა ბევრად სახიფათო მეთოდებს მიმართავენ, რომლებსაც ერთი შეხედვით კანონიერების ელფერი დაჰკრავთ. კერძოდ, ისინი ხშირად ჯერ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით მოიპოვებენ ძალაუფლებას, შემდგომ კი, მოპოვებულ ძალაუფლებას, ჩვეულებრივ სამართლებრივ საშუალებებსა და არსებული კონსტიტუციური წესრიგისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ წინააღმდეგობებს ახალი, თავისთვის სასარგებლო წესების შესაქმნელად იყენებენ.¹²

მეთოდები და სამართლებრივი საშუალებები, რომლებსაც რიგი სახელმწიფოების ლიდერები დემოკრატიულ-კონსტიტუციური წესრიგის ძირის გამოსათხრელად მიმართავენ, მრავალფეროვანია, თუმცა ისინი, მეტ-ნაკლებად ერთმანეთს გვანან კიდეც. იქ, სადაც ასეთმა რეჟიმებმა არჩევნებში კონსტიტუციური უმრავლესობის მოპოვება შეძლეს, პირველ რიგში ფორმალური კონსტიტუციური ცვლილებების გზით წავიდნენ. მაგალითისთვის, ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში შემსუბუქდა ან გაუქმდა შეზღუდვები საპრეზიდენტო ვადაზე,¹³ თურქეთში ერდოღანის ავტორიტარულმა რეჟიმმა საკონსტიტუციო ცვლილებებით გაზარდა საპრეზიდენტო ძალაუფლება და დაიქვემდებარა საკონსტიტუციო სასამართლო,¹⁴ უნგრეთში ორბანმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების სათავესოდ რეფორმირებისთვის.¹⁵ იქ, სადაც ხელისუფლებას საშუალება არ აქვს, ფორმალური კონსტიტუციური ცვლილებები განახორციელოს, არსებობს სხვა არაფორმალური ან ქვეკონსტიტუციური ცვლილებების ვრცელი პაკეტი. კერძოდ, მათ შეუძლიათ, მიიღონ ან შეცვალონ ორდინალური კანონმდებლობა, რომლითაც შეზღუდვავენ დამოუკიდებელი დემოკრატიული ინსტიტუტების, სასამართლოების, ომბუდსმენების თუ მედიის თავისუფლებას. ამასთანავე, მათ შეუძლიათ ცილისწამების, მედიის რეგულირების, საარჩევნო, სისხლის, ადმინისტრაციული თუ სხვა რელევანტური კანონმდებლობის შერჩევითად გამოყენება, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაცია, შევიწროება, სახელმწიფო ორგანოებში მათთვის მისაღები კადრების დანიშვნა და ა.შ. თუმცა

¹¹ The End of History?, Francis Fukuyama, The National Interest, No. 16 (Summer 1989), pp. 3-18.

¹² David Landau, Abusive Constitutionalism, 47 UC DAVIS L. REV. 189, 191 (2013); Kim Lane Scheppele, Autocratic Legalism, 85 U. CHI. L. REV. 545, 560-62 (2018); მითითებულია სტატიაში, დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატიის წინააღმდეგ“, UC Davis Law Review, Vol. 53, 2020, გვ. 5.

¹³ David Landau, Presidential Term Limits in Latin America: A Critical Analysis of the Migration of the Unconstitutional Constitutional Amendment Doctrine, 12 LAW & ETHICS HUM. RTS. 225, 226 (2018).

¹⁴ Steven A. Cook, How Erdogan Made Turkey Authoritarian Again, ATLANTIC (July 21, 2016), accessible at: <https://cutt.ly/LrcEMCSM>; accessed on : 27.05.2025; Maria Haimeri, The Turkish Constitutional Court Under the Amended Turkish Constitution, VERFASSUNGSBLOG (Jan. 27, 2017), accessible at: <https://cutt.ly/OrcE1ixf>; accessed on : 27.05.2025.

¹⁵ NORWEGIAN HELSINKI COMM., DEMOCRACY AT STAKE IN HUNGARY: THE ORBÁN GOVERNMENT'S CONSTITUTIONAL REVOLUTION 5-9 (2012), accessible at: <https://cutt.ly/brcE0eke>; accessed on : 27.05.2025.

რთული იქნებოდა ამგვარი პროგრამის წარმატება ხელისუფლების მესამე, არაპოლიტიკური შტოს - სასამართლოს მონაწილეობის გარეშე.

შესაბამისად, შემთხვევითი არ არის, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის დაცვის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად სასამართლო ხელისუფლება აღიქმება. მოსამართლეებს სულ უფრო ხშირად მოუწოდებენ დემოკრატიის უფრო აქტიურად დაცვისკენ¹⁶ და მათ გაბედული ქმედებების შემთხვევაში ნამდვილად შეუძლიათ ამგვარი წესრიგის გადარჩენა თუ არა, მისი ჩამოშლის პროცესის შეკავება, გახანგრძლივება, რაც დემოკრატიულ ძალებს კონსოლიდაციის შანსსა და დროს მისცემდა. ცხადია, ასეთ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ კონტექსტს და ასევე თავად სასამართლო ხელისუფლების სიძლიერეს. რაც უფრო ძლიერია სასამართლო და მას დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი ნდობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, მით უფრო მაღალია შანსი, რომ მან ამ ამოცანას თავი წარმატებით გაართვას.

თუმცა არსებობს ალტერნატიული სცენარიც, როდესაც სასამართლოები კონსტიტუციურ-დემოკრატიული წესრიგის დაცვის აქტიურ გზას არ მიმართავენ. მეტიც, მათი მხრიდან უმოქმედობა დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების საპასუხოდ, შესაძლოა, სულაც არ იყოს ყველაზე ცუდი სცენარი, არამედ მათი გარდაქმნა იმგვარად, რომ სასამართლოები აქტიურად ჩადგნენ რეჟიმის სამსახურში.¹⁷

2.1. რას ნიშნავს საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება?

წარმომადგენლობითი დემოკრატიის ბირთვზე სასამართლოების მიზანმიმართულ შეტევას ლანდაუ და დიქსონი „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენებას უწოდებენ“, რაც დემოკრატიული ეროვნის ამსახველი უკიდურესად შემაშფოთებელი ელემენტია.¹⁸

ასეთი სტრატეგია ფრიად სარისკოა და რეჟიმის მხრიდან საკმარის დროსა და სწორად მანევრირებას მოითხოვს, თუმცა წარმატების შემთხვევაში, სასამართლოებს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ კონსტიტუციური დემოკრატიის საწინააღმდეგო პროექტების განხორციელებასა და შემდგომ შენარჩუნებაში. ამის მაგალითია პოლონეთი, სადაც მმართველ პარტიას, „კანონი და სამართლიანობა“, კონსტიტუციური ცვლილებებისთვის საკმარისი უმრავლესობა არ ჰქონდა, თუმცა საკუთარი მიზნების მიღწევა მან სასამართლო ხელისუფლებაზე, განსაკუთრებით კი, საკონსტიტუციო ტრიბუნალზე კონტროლის მოპოვებით და არაკონსტიტუციური კანონმდებლობის მიღებით შეძლო, რომელიც შემდგომში ამგვარად „რეფორმირებულმა“ ტრიბუნალმა მოუწონა.¹⁹

თავად ტერმინი „ბოროტად გამოყენება“ შეიძლება გავიგოთ, როგორც კონსტიტუციური დემოკრატიის ინსტიტუტებისა თუ ღირებულებების გამოფიტვა იმ რეალური შინაარსისა და

¹⁶ დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატიის წინააღმდეგ“, UC Davis Law Review, Vol. 53, 2020, გვ. 5.

¹⁷ იქვე, გვ. 6.

¹⁸ იქვე.

¹⁹ Wojciech Sadurski, How Democracy Dies (in Poland): A Case Study of Anti-Constitutional Populist Backsliding (Sydney Law School Research Paper No. 18/01, 2018), accessible at: https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3103491 ; accessed on : 27.05.2025.

მიზნებისაგან, რაც მათ დემოკრატიის არქიტექტურაში გააჩნიათ. ანტიდემოკრატიულ პროექტებში ინსტიტუტები და განსაკუთრებით სასამართლოები რეჟიმს ემსახურებიან, როდესაც კონსტიტუციურ თუ დემოკრატიულ ღირებულებებს განმარტავენ რეჟიმის ამოცანების შესაბამისად,²⁰ კერძოდ, ამახინჯებენ კონსტიტუციის რეალურ მნიშვნელობას და არამართლზომიერად ეყრდნობიან კონცეფციებსა და დოქტრინებს, რომლებიც შექმნილია ლიბერალური დემოკრატიის დასაცავად. ეს აზიანებს ამ კონცეფციებისა და დოქტრინების ძირითად არსს და მათ ლიბერალურ დემოკრატიაზე თავდასხმის იარაღად აქცევს. თუმცა სასამართლოები ამას, ცხადია, ხმამაღლა არ აღიარებენ. „ბოროტად გამოყენების მთელი ბოროტება სწორედ იმაშია, რომ ისინი ცდილობენ კონსტიტუციური დემოკრატიის იდეალებისთვის ძირის გამოთხრა ავტოკრატიული რეჟიმის მიმდინარე პოლიტიკური საჭიროებების მისაღწევად წარმოაჩინონ, როგორც ამ იდეალების რეალიზაცია“.²¹

როდესაც სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენებაზე საუბარი, ლანდაუ და დიქსონი მიუთითებენ, რომ სახეზე უნდა იყოს, ერთი მხრივ, არამართლზომიერი ცვლილება დემოკრატიის მინიმუმზე სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, მეორე მხრივ, კი **განზრახვა** სასამართლოს ქმედებაში. არამართლზომიერად ისინი განიხილავენ ცვლილებას, რომელიც არსებულ კონკრეტულ კონტექსტში აუარესებს დემოკრატიულ და კონსტიტუციურ სტანდარტებს, და რეჟიმს აქცევს ნაკლებად დემოკრატიულს, ვიდრე იყო მანამდე.²² რაც შეეხება განზრახვას, ის გაცილებით ფართო საკითხია და რამდენიმე ასპექტს მოიცავს.

როგორც შემდეგ ქვეთავებშია განხილული, ანტიკონსტიტუციური და ანტიდემოკრატიული გადაწყვეტილებების გამოტანას, როგორც წესი, წინ უსწრებს სასამართლოს დამორჩილება, როდესაც სასამართლო ანტიდემოკრატიული აქტორების სტრატეგიის ნაწილი ხდება. შესაბამისად, განზრახვის ელემენტის დადგენა გადამწყვეტია იმის გარკვევისას, ეს სტრატეგია წარმატებით განხორციელდა თუ რაიმე სხვა მოვლენას აქვს ადგილი, რის გამოც სასამართლოებმა ეს კონკრეტული გადაწყვეტილება მიიღეს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მოტივსა და მიზანს მნიშვნელობა არ აქვს იმის დასადგენად, სასამართლოს ამგვარი ქმედებით დემოკრატია რა ზიანი ადგება, თუმცა ის მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორების მიერ სათანადო რეაგირების აუცილებლობის ნაწილში. სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება მნიშვნელოვნად განაპირობებს ავტორიტარული რეჟიმების მიერ დემოკრატიული ღირებულებებისა და ინსტიტუტებისთვის ძირის გამოთხრის გრძელვადიანი პროგრამის წარმატებულობას, ამიტომაც, მნიშვნელოვანია რეაგირებაც დროული და შესაბამისი იყოს.²³

სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენების განზრახვაზე საუბრისას გამოყოფენ შემთხვევებს, როდესაც ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებების

²⁰ დავით ზედელაშვილი, „როცა მეამინდე შტორმისას გადატოვს - სამოქალაქო საზოგადოება და საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება“, გნომონ ვაისი, მოსაზრება 21/01, გვ. 2, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/prcE9MGS>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²¹ იქვე, გვ. 3.

²² დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატიის წინააღმდეგ“, UC Davis Law Review, Vo. 53, 2020, გვ. 12-16.

²³ იქვე, გვ. 16-17.

მიღება შეიძლება მოსამართლეთა სამართლებრივად არასწორი, თუმცა გულწრფელი მიდგომის შედეგი იყოს, რადგან კონსტიტუციათა ტექსტები, როგორც წესი, საკმაოდ ბუნდოვანია და ფართოდ ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ცხადია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კონსტიტუციის ტექსტი და სტრუქტურა მოსამართლეს აიძულებდეს, მის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებამდე მივიდეს. თუმცა, ამგვარ შემთხვევაში რთულია პროფესიული კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის ნაკლებობას შორის ზღვრის გავლება.²⁴

კიდევ ერთი შემთხვევა, შესაძლოა, იყოს მოსამართლეების მიერ კონკრეტული საკითხის განხილვაზე უარის თქმა ან დემოკრატიისათვის ნაკლებად ხელსაყრელი გადაწყვეტილებების მიღება წინდახედულების გამო და პოლიტიკურ ხელისუფლებასთან ღიად დაპირისპირების შედეგად სავარაუდოდ გამოწვეული უფრო დიდი საფრთხეების თავიდან ასარიდებლად.²⁵ ასეთ დროს მიიჩნევა, რომ მოსამართლეებმა, შესაძლოა, ამგვარი ქმედებით მოკლევადიან პერსპექტივაში დაიცვან კანონის უზენაესობა და რისკის ქვეშ არ დააყენონ პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ აშკარა დაუმორჩილებლობის გამოცხადება, გრძელვადიან პერსპექტივაში კი, დაიცვან სასამართლოს, როგორც ინსტიტუციის დამოუკიდებლობა და თავიდან აირიდონ მასზე პოლიტიკური თავდასხმა, რადგან ეს უკანასკნელი ამცირებს სასამართლოს მიმართ ნდობას და მისი ძალის და ლეგიტიმაციის აღქმას საზოგადოებაში.²⁶ თუმცა აქაც გადამწყვეტია, რა მნიშვნელობის საკითხს ეხება საქმე, ანუ რა დევს სასწორის მეორე მხარეს, რომლის ხარჯზეც სასამართლოები საკუთარი დამოუკიდებლობისა და სასამართლოს რეპუტაციის დაცვას ცდილობენ. იმ შემთხვევაში, თუკი პოლიტიკურ ხელისუფლებას ავტორიტარიზმისკენ სწრაფვა გადაწყვეტილი აქვს, მასთან დათმობაზე წასვლა არასწორ თუ არაგონივრულ დროს, შესაძლოა, დასასრულის მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდეს.²⁷

ზემოაღნიშნულიდანაც ჩანს, რომ ანტიდემოკრატიული განზრახვის გამოვლენა მარტივი არ არის, რადგან ამგვარი რეჟიმები და მათი სასამართლოები ძალაუფლებას ბოროტად ღიად და დაუფარავად არ იყენებენ. თუმცა, ლიტერატურაში გამოყოფენ რამდენიმე ინსტრუმენტს, რომელთა ერთობლივად გაანალიზების შემთხვევაში, შესაძლოა, დადგინდეს, სასამართლოები მიზანმიმართულად აზიანებენ თუ არა კონსტიტუციურ-დემოკრატიულ წესრიგს და დგანან თუ არა რეჟიმის სამსახურში.

კერძოდ, რამდენადაც სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება, ამ ინსტიტუციის დამორჩილებას უკავშირდება, პირველ რიგში საჭიროა დაკვირვება სასამართლოსა და

²⁴ იქვე, გვ. 17.

²⁵ Stephen Gardbaum, Are Strong Constitutional Courts Always a Good Thing for New Democracies?, 53 COLUM. J. TRANSNAT'L L. 285 (2015).

²⁶ Rosalind Dixon & Samuel Issacharoff, Living to Fight Another Day: Judicial Deferral in Defense of Democracy, 2016 WIS. L. REV. 683, 699 (2016).

²⁷ Khemthong Tonsakulrungruang, Thailand: An Abuse of Judicial Review, in JUDICIAL REVIEW OF ELECTIONS IN ASIA (Po Jen Yap ed., 2016).

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შელახვის მიმთითებელ გარემოებებზე, იქნება ეს **ფორმალური თუ არაფორმალური საშუალებები**, რაც პოლიტიკურ ხელისუფლებას ხელთ აქვს.

დამატებითი ინდიკატორები ასევე შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის **პროცედურული დარღვევები** საქმეთა განხილვის პროცესში, საქმეთა გაჭიანურება, შუამდგომლობების განხილვის არაგონივრულად გადადება ან დაკმაყოფილებაზე უარი. ცხადია, ვადების გაჭიანურება შესაძლებელია სხვა ობიექტური მიზეზებითაც იყოს განპირობებული, თუმცა გარკვეულ დროსა და ვითარებაში ასეთი შემთხვევები, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გამაფრთხილებელი ნიშანი აღმოჩნდეს.²⁸

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინდიკატორია **სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებაც და ამ დასაბუთების ხარისხი**. აქაც მნიშვნელოვანია საქმის კონტექსტი და გარემოებები, რამდენად უხვევს სასამართლო საკუთარი პრაქტიკიდან და პრეცედენტებიდან. აქვე, მიუთითებენ, რომ როდესაც სასამართლოები გაცნობიერებულად და მიზანმიმართულად ახორციელებენ ანტიდემოკრატიულ და ანტიკონსტიტუციურ კონტროლს, შესაძლოა, კონსტიტუციურ ნორმათა განმარტებისას ან საკუთარი პრაქტიკის გამოყენებისას, ამას აკეთებდნენ არამართლზომიერად, სხვაგვარად, ხდებოდა „სესხება“, „**კონტექსტიდან ამოგლეჯა**“. ასეთ შემთხვევებში: 1. **მსჯელობა უკიდურესად ზედაპირულია** და მიუთითებს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმის ფორმაზე, მაგრამ არა მის რეალურ შინაარსზე; 2. **მსჯელობა შერჩევითია**, როდესაც ხდება დემოკრატიული და კონსტიტუციური ელემენტების გადარჩევა და მათი დამახინჯებულად გამოყენება; 3. **მსჯელობა კონტექსტისგან დაცლილია**, როდესაც პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა ელემენტები უგულებელყოფილია; 4. **მსჯელობა ამახინჯებს დემოკრატიული და კონსტიტუციური ნორმებისა და იდეების მიზნებს** და მათი გამოყენებით ამ მიზნების საპირისპირო შედეგები მიიღება.²⁹ შედეგად, სასამართლოები, შესაძლოა, ამ მეთოდებიდან ერთის ან რამდენიმეს ერთდროულად გამოყენებით ცდილობენ დააბალანსონ, ერთი მხრივ, პრეცედენტის აღსრულების და დასაბუთების ვალდებულება, მეორე მხრივ, ამ გადაწყვეტილების ანტიკონსტიტუციურ-ანტიდემოკრატიული ეფექტები. საპირისპიროდ, სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენების ყველაზე აშკარა ფორმა იქნებოდა, მოსამართლეებს არც კი ეცადათ, სათანადოდ დაესაბუთებინათ საკუთარი გადაწყვეტილებები. თუმცა ამგვარი სასამართლო კონტროლი ნაკლებად ღირებულია ავტორიტარიზმის გზაზე შემდგარი აქტორებისთვის, რამდენადაც ეს იმდენად ცალსახად არამართლზომიერი იქნებოდა, რომ რეჟიმისათვის მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმაციას ვერ მოახდენდა და უფრო პირიქით, სასამართლო ხელისუფლების მასთან თანამშრომლობას ღიად წარმოაჩენდა. ამიტომაც, სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენების შედარებით ეფექტიანი ფორმაა უკეთესად დასაბუთებული და სამართლებრივი არგუმენტების პროცესში უფრო მეტად

²⁸ G. Pollock, Adequate and Independent State Grounds as a Means of Balancing the Relationship Between State and Federal Courts, 63 TEX. L. REV. 977, 977 (1985).

²⁹ დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატიის წინააღმდეგ“, UC Davis Law Review, Vo. 53, 2020, გვ. 22; Rosalind Dixon & David Landau, 1989-2019: From Democratic to Abusive Constitutional Borrowing, 17 INT'L J. CONST. L. 489, 489 (2019).

ტრადიციული გადაწყვეტილებები, რაც სხვა ინდიკატორების სათანადო ანალიზის გარეშე ართულებს სასამართლოს არამართლზომიერი კონტროლის მოტივების გამოაშკარავებას.

2.2. ბოროტად გამოყენების მიზნები - რატომ აპექს სასამართლოები?

როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე კონსტიტუციების აბსოლუტური უმრავლესობა მისი სასამართლო გზით აღსრულების მექანიზმებს შეიცავს. სასამართლო ხელისუფლების არსებობა და მისთვის საკონსტიტუციო კონტროლის მინიჭება, როგორც წესი, კონსტიტუციური დემოკრატიების არსებით მახასიათებლად მიიჩნევა.³⁰ ამასთანავე, რამდენადაც სასამართლო უფრო „სამართლებრივი“ და ნაკლებად პოლიტიკური ინსტიტუტია, ის გარკვეული ხარისხის ლეგიტიმურობის პრეზუმფციით არსებობს შექმნისთანავე.³¹ სასამართლო გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობა კი, პირველ რიგში საზოგადოებისა და სხვადასხვა აქტორების მხრიდან მის მიმართ სწორედ ნდობას, მის პატივისცემას და მისი ნებით აღსრულების ელემენტს გულისხმობს, რამდენადაც მიუღებელი არ უნდა იყოს კონკრეტული შედეგი საზოგადოების ამა თუ იმ სეგმენტისათვის. პატივისცემის ამგვარი პრეზუმფცია არსებობს საერთაშორისო აქტორების მხრიდანაც. თუკი საზოგადოება შიგნით თუ გარეთ, შეიძლება მკვეთრად კრიტიკული იყოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმართ, სასამართლო გადაწყვეტილებებზე ამგვარი კრიტიკა უფრო ფრთხილია და დროს, კონტექსტის სწორად გააზრებასა და შესაბამისი დასაბუთების ხარისხსაც გულისხმობს.³² ცხადია, რაც უფრო დამოუკიდებელი და ძლიერია კონკრეტულ სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლება და რაც უფრო ხანგრძლივია მისი დამოუკიდებლობის ინსტიტუციური მექანიზმები, მით უფრო დიდია პრაქტიკაში მისი ლეგიტიმაციისა და ნდობის ხარისხიც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ამისგან განსხვავებით, ავტოკრატია „არსებითად ლეგიტიმაცია-ნაკლული რეჟიმია“, რომელიც საკუთარი თავის შენარჩუნებას შეზღუდვითა და რეპრესიით ცდილობს. სწორედ ამ რეპრესიების გამართლებისა და ლეგიტიმაციის „შიშშილის“ დაკმაყოფილებისთვის, რეჟიმები მიმართავენ შეზღუდვის „კანონიერებაზე“ აპელირებას და კანონისა და სამართლის უზენაესობის და დემოკრატიული ინსტიტუტების ბოროტად გამოყენებას,³³ რომლებიც ნორმალურ მდგომარეობაში პრაქტიკაში უნდა აღასრულებდნენ ამ იდეალებს და შესაბამის შინაარსს სძენდნენ დემოკრატიულ და კონსტიტუციურ ღირებულებებს, გამყარებულს თავიანთი ლეგიტიმური გადაწყვეტილებებით. უფრო კონკრეტულად, როდესაც ასეთი რეჟიმები ბოროტად იყენებენ სასამართლო კონტროლს, ისინი ცდილობენ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ დემოკრატიულ და კონსტიტუციურ სისტემაში სასამართლო

³⁰ Alec Stone Sweet, Constitutional Courts, in THE OXFORD HANDBOOK OF COMPARATIVE CONSTITUTIONAL LAW 816, 816 (Michel Rosenfeld & Andr  s Saj   eds., 2012).

³¹ დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატიის წინააღმდეგ“, UC Davis Law Review, Vo. 53, 2020, გვ. 25-26.

³² იქვე, გვ. 26.

³³ დავით ზედელაშვილი, „როცა მეამინდე შტორმისას გღალატობს - სამოქალაქო საზოგადოება და საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება“, გნომონ ვაისი, მოსაზრება 21/01, გვ. 1-2.

ხელისუფლებისა და მისი გადაწყვეტილებებისათვის მინიჭებული ლეგიტიმურობის პრეზუმფცია.³⁴

ლეგიტიმაციის დეფიციტის ამოვსება ავტორიტარულ რეჟიმებს სჭირდებათ როგორც ქვეყნის შიგნით, თავიანთი მომხრეების დასარწმუნებლად და არადემოკრატიული შეზღუდვებისა თუ რეპრესიების მიმართ საზოგადოებრივი კრიტიკის შესამცირებლად, ისე ქვეყნის გარეთ რეჟიმის საერთაშორისო კრიტიკის შესარბილებლად და, რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით ინსტიტუტების მიტაცების საწყის ეტაპზე, ამგვარი კრიტიკისა და შესაბამისი თანმდევი ზომების დროში გადასაწევად. კონსტიტუციური წესრიგი, ისევე როგორც საერთაშორისო ნორმები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები, პოლიტიკურ ხელისუფლებას ხელს უშლის, ღიად უგულუბელყონ ან დაარღვიონ ისინი. ამგვარი ქმედებების პოლიტიკური ფასი საკმაოდ მაღალია და საერთაშორისო თუ რეგიონულმა ინსტიტუტებმა სანქციების საკითხიც კი შეიძლება დააყენოს დღის წესრიგში. მეორე მხრივ, სასამართლოებმა, განსაკუთრებით კი საკონსტიტუციო სასამართლოებმა, მათი მანდატის და კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმათა ზოგადი ხასიათის გათვალისწინებით, სათანადო უნარების შემთხვევაში, შეიძლება სცადონ და გაარღვიონ ან ოსტატურად შეცვალონ შეზღუდვები, რომლებსაც აწესებს ამა თუ იმ ქვეყნის კონსტიტუცია. ეს კი ნაკლებ გამოხმაურებას იწვევს საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან, რადგან რეაგირება სამართლებრივ ნორმებსა და გადაწყვეტილებებზე, გაცილებით რთულია და ხანდახან დროში გაწელილიც, ვიდრე ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემთხვევაში იქნებოდა. საბოლოოდ, *„სასამართლო კონტროლი შესაძლოა იყოს დემოკრატიული ეროვნის წარმოქმნის როგორც ნაკლებად ხილვადი, ასევე უფრო ლეგიტიმური გზა, რომელიც, შესაძლოა, სასარგებლო იყოს რეჟიმისთვის“*.³⁵

ლეგიტიმაციის დეფიციტის ამოვსების საკვანძო მისიის მიღმა, სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება, შესაძლოა, იყოს არადემოკრატიული კონსტიტუციური ცვლილებების არაფორმალური და დამხმარე ბერკეტი, მაშინ როდესაც მმართველ გუნდს ფორმალური კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა არ აქვს ან ამგვარი ცვლილებების ღიად განხორციელება ბევრად უფრო დიდი პოლიტიკური ხარჯის მომტანი იქნება.

ბოლოს, საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება შესაძლებელია იყოს **რეჟიმის ხელთ არსებული სხვა არადემოკრატიული ინსტრუმენტების ხელშემწყობი მექანიზმი**, როდესაც საქმე ეხება კონსტიტუციასთან შეუსაბამო საკანონმდებლო ცვლილებების „კონსტიტუციურობის გამართლებას“, სხვა დემოკრატიული და დამოუკიდებელი ინსტიტუტების დასუსტებას თუ მიტაცებას და სხვ.

³⁴ დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატიის წინააღმდეგ“, UC Davis Law Review, Vo. 53, 2020, გვ. 26.

³⁵ იქვე, გვ. 27.

2.3. ბოროტად გამოყენების მეთოდები - როგორ ხდება სასამართლოების დამორჩილება?

დემოკრატიული ინსტიტუტების ბოროტად გამოყენების პროცესში აპექს სასამართლოების ჩართვის მიზნით ავტორიტარულ ჯგუფებს მრავალფეროვანი მეთოდები აქვთ, რომლებიც შეიძლება ატარებდეს ფორმალურ ან არაფორმალურ, აშკარა ან შეფარულ ხასიათს.

აპექს სასამართლოების დამორჩილებისა და შემდგომში ბოროტად გამოყენების არაპირდაპირი, არაფორმალური ბერკეტები შეიძლება იყოს მოსყიდვის ან წახალისების სხვადასხვა ფორმის გამოყენება ან პირიქით, მოსამართლის დასჯა ვადამდე თანამდებობის დატოვებით ან მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების იძულება.³⁶ არაფორმალურ მეთოდებს მიაკუთვნებენ ასევე კამპანიური გზით სასამართლოს ან ცალკეულ, რეჟიმისთვის მიუღებელ მოსამართლეთა პრესტიჟის, პირადი თუ საქმიანი რეპუტაციის შელახვას ან შელახვის მუქარას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალურ მექანიზმებთან მიმართებით პირდაპირი და აშკარა მტკიცებულებების მოპოვება თუ გამოაშკარავება ბევრ ობიექტურ სირთულეს უკავშირდება. ხშირად მათი შემჩნევა მხოლოდ ფორმალურ მექანიზმებთან თანხვედრაში და ფართო კონტექსტის სწორად გააზრებით, ხანდახან კი მხოლოდ პოსტფაქტუმ - როდესაც სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება უკვე შესამჩნევ და თანმიმდევრულ ხასიათს იღებს - არის შესაძლებელი.

რაც შეეხება სასამართლოების დამორჩილების ფორმალურ სამართლებრივ ბერკეტებს, პოლიტიკური ხელისუფლება, როგორც წესი, მიმართავს ორ გზას: სასამართლოს შემადგენლობის ცვლილებასა და სასამართლოს უფლებამოსილებათა მოდიფიცირებას. ამ შემთხვევებში სამართლებრივი ცვლილების მეშვეობით რეჟიმი ცდილობს „დააკომპლექტოს“ სასამართლო პირდაპირ ან ირიბად, მის შემადგენლობაზე გავლენის მოპოვებით, ან „მოდრიკოს“ იგი მისი ინსტიტუციური ძალაუფლების ან რესურსების შეზღუდვით ან ამგვარი შეზღუდვის მუქარით.³⁷

ფორმალური სამართლებრივი მექანიზმებიდან ყველაზე მარტივი და „ტრადიციული“ გზა, ვაკანტურ პოზიციაზე რეჟიმის მიმართ კეთილგანწყობილი მოსამართლეების დანიშვნაა.³⁸ დემოკრატიულ კონსტიტუციურ წესრიგში, იმისათვის, რათა ერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ვერ შეძლოს სასამართლოს სრული შემადგენლობის დაკომპლექტება, მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა, როგორც წესი, აჭარბებს პოლიტიკური ხელისუფლების საქმიანობის ერთ (ხანდახან 2) ვადას. შესაბამისად, ხელისუფლების მონაცვლეობის პირობებში რთულდება სასამართლოს უმრავლესობის ხელისუფლების სურვილისამებრ დაკომპლექტების შესაძლებლობა. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებაში, შესაძლოა, ჩართული იყოს ხელისუფლების სხვადასხვა შტო. თუმცა იმ პირობებში, თუკი მმართველი გუნდი არჩევნების გზით დიდი ხნის განმავლობაში არ იცვლება და თანაც, სახეზეა

³⁶ GRETCHEN HELMKE, INSTITUTIONS ON THE EDGE: THE ORIGINS AND CONSEQUENCES OF INTER-BRANCH CRISES IN LATIN AMERICA, pp. 126-50 (2017).

³⁷ დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატიის წინააღმდეგ“, UC Davis Law Review, Vol. 53, 2020, გვ. 29.

³⁸ მაგალითისთვის, უნგრეთის შემთხვევა, იხ. Zoltán Sente, The Political Orientation of the Members of the Hungarian Constitutional Court Between 2010 and 2014, 1 CONST. STUD. Pp.123, 131 (2016).

ავტორიტარული რეჟიმის კონსოლიდაციისკენ სწრაფვა, ცხადია, დაკისრებულ როლს ვეღარც ამგვარი ფორმალური დამაბრკოლებელი მექანიზმები ასრულებს.

სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის დროში გაცილებით სწრაფად შეცვლის შესაძლებლობა შეიძლება ხელისუფლებამ სხვა ფორმალური სამართლებრივი ცვლილებების მეშვეობით შეძლოს, როგორცაა მაგალითად, საკანონმდებლო დონეზე მოსამართლის **საპენსიო ასაკის** შემცირება,³⁹ მოსამართლეთა რაოდენობის, კვორუმის ან კონკრეტული კოლეგიების სიდიდის შეცვლა. სასამართლოს შემადგენლობის ფორმალური ცვლილების მცდელობა ასევე შეიძლება იყოს იმგვარი მექანიზმის შემოღება, რომელიც **კონკრეტული საქმის მიხედვით სასამართლოს შემადგენლობის შეცვლის** ან მისი მანიპულირების შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება არა კონკრეტული მოსამართლეების, არამედ მთლიანად სასამართლო ინსტიტუტის მიზანში ამოღებას მის დასამორჩილებლად, პოლიტიკური ხელისუფლების ხელთაა ისეთი მრავალფეროვანი მეთოდებიც, როგორცაა **სასამართლოს ბიუჯეტის შემცირება, უფლებამოსილებათა შეზღუდვა, გადაწყვეტილების გამოქვეყნების დაბრკოლება ან მის აღსრულებაზე უარი და სულაც სასამართლოს პრესტიჟის დაკნინება მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანიების წარმოების გზით**. ყველა ეს მეთოდი, ჯამში, ამცირებს სასამართლოს რეპუტაციას, მის მიმართ სანდოობას და ამ ინსტიტუტის ეფექტიანობას. ცხადია, სასამართლოებს შეუძლიათ და სხვადასხვა შემთხვევაში უკვე შეძლეს, ეპოვათ ის გზები, რომელთა საშუალებითაც შეძლებდნენ მათ იურისდიქციაზე დაწესებული ამგვარი შეზღუდვების გაუქმებას ან თავიდან არიდებას. თუმცა თავად ეს ნაბიჯი აყენებს სასამართლოებს პოტენციურად რთულ მდგომარეობაში, როდესაც მოეთხოვებათ გააკეთონ არჩევანი პატივი სცენ ფორმალურ სამართლებრივ შეზღუდვებს, თუ შეასრულონ თავიანთი, როგორც კონსტიტუციის მცველების, ზოგადი როლი. ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილმა აქტორებმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი აქტორების თვალში მოახდინონ სასამართლოების დისკრედიტაცია. ამ მიზნის მისაღწევად ისინი აიძულებენ სასამართლოებს მათზე დაკისრებული ზოგადი როლის შესრულებას შესწირონ თავიანთი სამართლებრივი ვალდებულებები.⁴⁰

არსებობს არაერთი ქვეყნის გამოცდილება, როდესაც ანტიდემოკრატიულმა რეჟიმებმა ზემოთ აღწერილ სხვადასხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ საშუალებას მიმართეს თანმიმდევრულად ან/და თანადროულად. თუმცა ამგვარი რეჟიმების მიერ აპექს სასამართლოების მიტაცების პროგრამა უმეტესწილად შემდეგნაირად გამოიყურება:

- სასამართლოს უფლებამოსილების შეზღუდვა;
- მისი გადავსება რეჟიმის მიმართ ლოიალურად განწყობილი მოსამართლეებით;
- მიტაცებული სასამართლოს ინსტრუმენტალიზაცია რეჟიმის ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური მიზნების მიღწევის პროცესში.

³⁹ Case C-286/12, Commission v Hungary, 1 C.M.L.R. 1243 (2012).

⁴⁰ დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატიის წინააღმდეგ“, UC Davis Law Review, Vo. 53, 2020, გვ. 32-33.

2.4. ბოროტად გამოყენების ტიპოლოგია - სასამართლო კონტროლის ძლიერი და სუსტი ფორმები

ზემოთ აღწერილი მეთოდების გამოყენებით ავტორიტარული რეჟიმების მიერ სასამართლო ხელისუფლების დამორჩილებისა და ხელში ჩაგდების შემდგომ, მოსამართლეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოკავშირეები ხდებიან ასეთი რეჟიმებისათვის, თუმცა მიტაცებისა და მოკავშირეობის ხარისხი დამოკიდებულია ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფორმასა და მასშტაბზე.

კონსტიტუციური მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენების ხარისხის მიხედვით გამოარჩევენ ორ ძირითად ტიპს - „სუსტ“ და „ძლიერ ფორმებს“.⁴¹ სუსტ ფორმად მიიჩნევა შემთხვევა, როდესაც სასამართლოები სხვადასხვა ფორმალური საშუალების გამოყენებით ქმნიან თავისუფალ სივრცეს პოლიტიკური ხელისუფლებისათვის. მაგალითად, ასეთი საშუალებები შეიძლება იყოს კონკრეტული მნიშვნელოვანი დავებისათვის სტრატეგიულად გვერდის ავლა ან უბრალოდ დუმილი, როდესაც სასამართლო სხვადასხვა პროცედურული საბაზის მოშველიებით დროულად არ წყვეტს სამართლებრივ დავებს და ამით საკუთარი დუმილით უწყობს ხელს რეჟიმს ანტიდემოკრატიულ ქმედებებში.⁴²

მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმის გამოყენებად კი კვალიფიცირდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლოები აქტიურად აუქმებენ ან ასუსტებენ დემოკრატიული დაცვის მექანიზმებს, იცავენ/ამართლებენ დემოკრატიისა და კონსტიტუციის ძირის გამომთხრელ კანონმდებლობას ან აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებებს და აქტიურად ახდენენ პოლიტიკური ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების ლეგიტიმაციას.⁴³

„ლეგიტიმაციის ეფექტი“ განსაკუთრებით ღირებულია ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი აქტორებისთვის იმ ეტაპზე, როდესაც ისინი საკუთარი ავტორიტარული მისწრაფებების დაფარვას, „შეფუთვას“ ცდილობენ და სურთ ანტიდემოკრატიული ცვლილებები იმგვარად განახორციელონ, რომ თავადაც და მათ მიერ მიტაცებულმა სასამართლო ინსტიტუტებმაც კონსტიტუციური დემოკრატიის დამცველის აღქმა შეინარჩუნონ.⁴⁴ ამასთანავე, მდგომარეობის საწყის ეტაპზე, როდესაც მიტაცებულ სასამართლო ორგანოებს ჯერ კიდევ ინერციულად მოჰყვებათ საზოგადოებრივი ლეგიტიმაციისა და ნდობის კაპიტალი, პოლიტიკური ხელისუფლების მიერ ინიცირებული თუ მიღებული პრობლემური გადაწყვეტილებები, შესაძლოა, კონსტიტუციური კონტროლის საგანი გახდეს პოლიტიკური ოპოზიციის ან სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის მხრიდან. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას სჭირდება სასამართლოს მხრიდან „თანხმობა“ ამ ცვლილებების პრაქტიკაში

⁴¹ სასამართლო კონტროლის სუსტი და ძლიერი ფორმების თეორიული ანალიზისთვის, იხ. MARK TUSHNET, WEAK COURTS, STRONG RIGHTS, pp. 33-36 (2008); Rosalind Dixon, Creating Dialogue About Socioeconomic Rights: Strong-Form v. Weak-Form Judicial Review Revisited, 5 INTL J. CONST. L. pp. 391, 402 (2007).

⁴² დავით ზედელაშვილი, „როცა მეამინდეს შტორმისას გღალატობს - სამოქალაქო საზოგადოება და საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება“, გნომონ ვაისი, მოსაზრება 21/01, გვ. 4.

⁴³ დევიდ ლანდაუ, როზალინდ დიქსონი, „სასამართლო კონტროლის ბოროტად გამოყენება: სასამართლოები დემოკრატიის წინააღმდეგ“, UC Davis Law Review, Vo. 53, 2020, გვ. 39.

⁴⁴ იქვე.

განხორციელებაზე, რაც ქმნის მათი ლეგიტიმაციის მოჩვენებით სურათს, თუკი რეჟიმი თავად ღიად არ უგულებელყოფს სასამართლო სისტემას და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ღია კონფრონტაციაში არ შედის ხელისუფლების მესამე შტოსთან.⁴⁵

გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი რეჟიმები ხშირად ცდილობენ, მათ მიერ მიტაცებული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით მოიპოვონ მათივე ლეგიტიმაციის სარგებელი ზოგადად და შეარბილონ ადგილობრივი და საერთაშორისო უკმაყოფილება ან მეტიც, გაზარდონ მათი მიმღებლობა. თუმცა როგორც ლანდაუ და დიქსონი მიუთითებენ, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ადგილობრივი კონტექსტი, სასამართლო ხელისუფლების ნდობისა და ლეგიტიმაციის ხარისხი, ისევე როგორც თავად კონკრეტული გადაწყვეტილებების შინაარსი, რადგან რეჟიმის სასარგებლოდ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას ვერ ექნება ერთნაირი ეფექტი რეჟიმის ლეგიტიმაციისთვის. თუკი სასამართლო საზოგადოებაში ისედაც არ აღიქმება დამოუკიდებელ და ძლიერ ინსტიტუციად, მისი გადაწყვეტილება სასურველ შედეგს ნაკლებად მოიტანს. მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რამდენად წავა მმართველი გუნდი „კომპრომისზე“ და გარკვეულ საქმეებზე სასამართლოს დაუტოვებს შესაძლებლობას, სივრცეს, მიიღოს დამოუკიდებელი და, მათ შორის, ხელისუფლების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებიც.⁴⁶ ამგვარი მდგომარეობა პრაქტიკაში ხშირად აზნევეს საზოგადოების კრიტიკულ ნაწილს და დროში ავადებს რეჟიმის რეალური ავტორიტარული მისწრაფებების სასამართლოს გამოყენებით განხორციელების მიზნის სარწმუნოდ აღქმას.

რაც შეეხება კონსტიტუციური მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენების ძლიერ ფორმებს, ამგვარად კვალიფიცირდება შემთხვევები, როდესაც სასამართლოები აქტიურ რეჟიმში იყენებენ „მკაცრი“, „აქტიური“ კონტროლის ფორმებს და ამით შლიან დემოკრატიულ და კონსტიტუციური სისტემის საკვანძო საყრდენებს, ზოგიერთ შემთხვევაში აქტიურად მოითხოვენ კონკრეტული ორგანოებისგან თუ თანამდებობის პირებისგან კონკრეტული ქმედებების განხორციელებას, აუქმებენ აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის დადგენილ შეზღუდვებს, კრძალავენ პოლიტიკურ პარტიებს, რამდენადაც ავტორიტარული რეჟიმებისთვის ამგვარი წინაღობების განეიტრალება ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა ძალაუფლების კონსოლიდაციისკენ მიმავალ გზაზე.⁴⁷ მკაცრი კონტროლის ფარგლებში სასამართლოები ეხმარებიან რეჟიმებს, მოშალონ შეზღუდვები, რომლებიც არსებობს ძალაუფლების ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ დონეზე გაყოფის ან კონსტიტუციურ ცვლილებებზე ფორმალური შეზღუდვების მიმართულებით და საჭიროა ფორმალურ-სამართლებრივი არგუმენტებით ამ შეზღუდვებისთვის გვერდის ავლა.⁴⁸

ბოლოს უნდა ითქვას, რომ ლიტერატურაში უფრო მეტად ნაკვლევია და კონცეპტუალიზებულია კონსტიტუციური კონტროლის ბოროტად გამოყენების სუსტი ფორმები, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტიპი მიმართულია დემოკრატიულ-

⁴⁵ იქვე, გვ. 39.

⁴⁶ იქვე, გვ. 39-40.

⁴⁷ იქვე, გვ. 40.

⁴⁸ იქვე, გვ. 40-41.

კონსტიტუციური ღირებულებებისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ. ასეთი მიდგომა შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმების შემთხვევაში სასამართლოსა და პოლიტიკური ხელისუფლების კავშირი იმდენად აშკარა და ხელშესახებია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები ვეღარც ლეგიტიმაციის მიღების მცდელობად ან ადგილობრივი და საერთაშორისო კრიტიკის ფარად გამოდგება.

როგორც შესავალში აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სისტემური კრიტიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, თუმცა შედარებით დაგვიანებულია. დაგვიანებული იმ გაგებით, რომ ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ჩამოშლის პროცესი წლების წინ დაიწყო და მმართველი ხელისუფლების ანტიდემოკრატიული სტრატეგიის დროული აღმოჩენისა და მხილების შემთხვევაში, შესაძლოა, ეს პროცესი დროში გადავადებულიყო ან სულაც განსხვავებული შედეგი გამოედო. თუმცა კრიტიკა დღეს მაინც მნიშვნელოვანია სამოქმედო განვითარებისთვის, რადგან მხოლოდ არსებული პრობლემისათვის სწორი დიაგნოზის დასმა შეიძლება იყოს წარმატების საფუძველი, დემოკრატიული ცვლილებების შანსის გაჩენის შემთხვევაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დღევანდელი მდგომარეობა, სამწუხაროდ, უკვე სრულად იძლევა შესაძლებლობას, მისი ინსტიტუციური განვითარება და პრაქტიკა აღნიშნულ თავში მიმოხილული „საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების“ თეორიული ჩარჩოს საფუძველზე გაანალიზდეს. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტის შემდგომ თავში, სწორედ ამ თეორიული ჩარჩოს ფარგლებში და შესაბამისი დროითი ინტერვალების გათვალისწინებით მიმოვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციურ განვითარებას, მისი შემადგენლობის განახლებას, რომელიც კონტროლის სუსტი ფორმების გამოყენების ფონზე მიმდინარეობდა და ბოლოს, მის მიერ განვითარებულ პრაქტიკას პერსონალური შემადგენლობის სრულად განახლების შემდგომ - გადაწყვეტილებებს, რომლებმაც არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინა სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ჩარჩოზე, დაასუსტა შეკავებისა და გაწონასწორების უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრინციპი, ხელი შეუწყო დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუტების გაუქმებას და შედეგად, არსებითად გააუარესა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის მდგომარეობა ქვეყანაში.

შედეგად, დღეს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სრულად აკმაყოფილებს საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმის განმარტებას და ის ამ მდგომარეობამდე წლების განმავლობაში, ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიდა.

3. რა მოხდა საქართველოში - საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ქართული მოდელი

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენება უმეტესად ბოლო ათწლეულის⁴⁹ ფენომენია. თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენისა და საკონსტიტუციო

⁴⁹ ავტორის შენიშვნა: ეს დაშვება იმთავითვე არ გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა სრულად გამართული იყო და მას მნიშვნელოვანი ხარვეზები არ ჰქონდა. თუმცა სწორედ 2012 წელს იწყება სასამართლოს ინტენსიური დემოკრატიული უკუსვლა, რომელმაც ანტიდემოკრატიული ინსტიტუციური და

სასამართლოს შექმნის შემდეგ მისი მოთვინიერების ცდუნება მეტ-ნაკლებად ყველა ხელისუფლებას ჰქონდა. საინტერესოა ისიც, რომ ეს პროცესი დროითა და ხასიათით მნიშვნელოვნად ემთხვევა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში აპექს სასამართლოების დამორჩილების ისტორიას. მეტიც, „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველი ვადის დასასრულს (2016 წელს) მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვნად ემთხვეოდა უნგრეთსა და პოლონეთში ამ სასამართლოების დასუსტებისა თუ დამორჩილების მიზნით განხორციელებულ რეფორმებს, რამაც საბოლოო ჯამში, მმართველი პარტიებისათვის იქაც და საქართველოშიც, სასურველი შედეგი მოიტანა.

„ქართული ოცნების“ მმართველობის ავტორიტარიზმისკენ შეუქცევადად სვლისა და ყველა დემოკრატიული ინსტიტუციის დამორჩილების განზრახვა ფართო საზოგადოებისთვის ნათელი უმეტესად 2020 წლის შემდგომ, პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებასთან ერთად გახდა, თუმცა მართლმსაჯულების სისტემა ერთ-ერთი პირველი სფერო იყო, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი ავტორიტარული მიდრეკილებები ჯერ კიდევ თავისი მმართველობის პირველ ვადაში გამოამჟღავნა. საკონსტიტუციო სასამართლო კი, ფაქტობრივად პირველი დემოკრატიული ინსტიტუცია გახდა, რომელიც ამ მიდრეკილებების მსხვერპლი აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით დასაწინაა იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლების ცვლილების გარდამავალ პერიოდში ქართული აპექს სასამართლო ერთ-ერთი მზარდი საზოგადოებრივი ლეგიტიმაციის მქონე ინსტიტუცია იყო, რომელმაც მედეგობის მნიშვნელოვანი მცდელობა გამოავლინა. სამწუხაროდ, მიუხედავად ლეგიტიმაციისა და საზოგადოებისა თუ სამოქალაქო სექტორისგან მხარდაჭერის მაღალი ხარისხისა, სასამართლო საბოლოოდ მაინც ვერ გაუმკლავდა მის წინაშე არსებულ პოლიტიკურ გამოწვევებს. დღეს ის ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის დასკვნით ეტაპზე მყოფი „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში სრულად დამორჩილებული ინსტიტუციაა, რომელიც რეჟიმისათვის ლეგიტიმაციის მინიჭების ფუნქციასაც ვეღარ ასრულებს, რადგან მის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა უკვე ფართო საზოგადოებისთვის გახადა ცნობილი სასამართლოში არსებული კრიზისისა და არსებული რეჟიმის მიმართ მისი პოლიტიკური ლოიალობის თაობაზე. თუმცა რეჟიმი მაინც ჯიუტად იყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი ანტიდემოკრატიული და ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებების დასადასტურებლად და იმ მცირე დონის თავისუფლებასაც აღარ აძლევს ამ უკანასკნელს, რომ მიმდინარე მძიმე პოლიტიკურ კრიზისში სტრატეგიული დუმილით საკუთარი თავი გადაირჩინოს ადგილობრივი თუ საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკისგან.

ერთადერთი შვება საკონსტიტუციო კონტროლისთვის ამ პირობებში იმ რამდენიმე მოსამართლის მიერ დაწერილი განსხვავებული აზრების მთელი კომპილაციაა, რომელიც სამართლებრივად კარგად ააშკარავებს საკონსტიტუციო სასამართლოში არსებულ სავალალო მდგომარეობას და, რომელსაც დემოკრატიული ცვლილების შემთხვევაში, სასამართლოს

პერსონალის რეფორმების განხორციელების შედეგად საფუძველი დაუდო საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების დღევანდელ ძლიერ ფორმებს.

განახლებული, კონსტიტუციისა და ადამიანის ძირითადი უფლებების ერთგულებასა და დაცვაზე ორიენტირებული პრაქტიკა შეიძლება დაეფუძნოს.

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისა და, საბოლოოდ, მისი ბოროტად გამოყენების ისტორიაში სამი მნიშვნელოვანი ეტაპი შეიძლება გამოიყოს:

- 1996-2016 წლები - როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ახლად შექმნილი ინსტიტუცია იყო, რომელიც საკუთარი ლეგიტიმაციისა და ინსტიტუციური თვითდამკვიდრებისთვის იბრძოდა; აქვე, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს 2012-2016 წლები - როგორც სასამართლოს მიერ პოლიტიკური ხელისუფლების მიმართ აქტიური წინააღმდეგობის პერიოდი;
- 2016-2020 წლები - როდესაც სასამართლოს ლეგიტიმაციისა და დამოუკიდებლობის ხარისხი პოლიტიკური ხელისუფლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რამაც ის ინსტიტუციური დამორჩილებისა და ხელისუფლების ავტორიტარული გეგმების ნაწილად აქცია, ჯერ შემზღუდველი საკანონმდებლო რეფორმებით, შემდეგ კი ლოიალური მოსამართლეების დანიშვნით. ამავე პერიოდში დაიწყო საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების სუსტი ფორმების დამკვიდრება სასამართლოს პრაქტიკაში;
- 2020 წლიდან დღემდე - როდესაც ინსტიტუციურად და პერსონალურად დამორჩილებულ საკონსტიტუციო სასამართლოს „ქართული ოცნების“ რეჟიმი აქტიურად იყენებს საკუთარი ავტორიტარული გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციისთვის და კანონიერების ფასადის შესანარჩუნებლად. ამ პერიოდში ფართო საზოგადოებისთვის აშკარად მკვიდრდება საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმა, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკის აქტიურ სუბიექტად აქცევს.

სწორედ ამ პერიოდების დეტალურ და კრიტიკულ ანალიზს ეთმობა წინამდებარე დოკუმენტის შემდგომი ქვეთავებიც.

3.1. 1996-2016: ბრძოლა ინსტიტუციური დამოუკიდებლობისთვის

საქართველოში კონსტიტუციურ კონტროლს სპეციალიზებული, დამოუკიდებელი და ცენტრალიზებული სასამართლო ახორციელებს.

საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ინსტიტუცია, პირველად საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში გაჩნდა⁵⁰ და უფლებამოსილებათა განხორციელებას 1996 წელს შეუდგა. საინტერესოა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდისგან განსხვავებით, 1921 წლის კონსტიტუციაზე მუშაობისას კომისიის წევრებისთვის სახალხო სუვერენიტეტის

⁵⁰ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალური ორგანოს შექმნას. კონსტიტუციისა და კანონების თვალყურის დევნება და აღსრულება, ერთი მხრივ, მთავრობის უფლებამოსილება იყო (მუხლი 72ბ), მეორე მხრივ კი, კანონის დაცვის მეთვალყურე ორგანოდ კონსტიტუცია სენატს ასახელებდა, რომელიც რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე უმაღლესი სასამართლო ორგანო იყო (მუხლი 76).

პრინციპთან და საპარლამენტო მმართველობასთან შეუთავსებლად ჩაითვალა იმგვარი სასამართლო ორგანოს არსებობა, რომელიც პარლამენტის და ხალხის ნაცვლად თავად იტყოდა საბოლოო სიტყვას კონსტიტუციის განმარტებისა და კანონმდებლობის კონსტიტუციურობის დადგენასთან დაკავშირებით.⁵¹

საკონსტიტუციო კონტროლის შექმნის პირველ წლებში, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზე იყო, ცხადია, საზოგადოებამ ნაკლებად იცოდა საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობისა და, მით უმეტეს, მისი უფლებამოსილების თაობაზე. ქვეყანაში ისტორიის არმქონე სრულიად ახალი ინსტიტუტის შექმნასა და მის მიერ ავტორიტეტის მოპოვებაზე შიშებს გამოთქვამდა კონსტიტუციის ავტორების ნაწილიც.⁵² შესაბამისად, სასამართლოს უპირველესად საკუთარი უფლებამოსილება სწორად უნდა გაეაზრებინა და საკუთარ თავში ამ უფლებამოსილებათა აქტიურად დაცვის და განხორციელების ძალა უნდა აღმოეჩინა, რომელიც დროთა განმავლობაში მას პოლიტიკური ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევ ძალად აქცევდა.

არსებობს მოსაზრებაც, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ტრადიციის არარსებობამ დადებითად იმოქმედა საკონსტიტუციო სასამართლოს განვითარებაზე, რადგან მას საბჭოთა პერიოდიდან არ აუთვისებია ის სტანდარტები და სოციალისტური კანონიერების იდეები⁵³, რაც, როგორც ჩანს, დღემდე მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყანაში დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის აუცილებელი სხვა ინსტიტუტების განვითარებას.

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის საწყის ეტაპზევე მოუწია საკუთარი ლეგიტიმაციისათვის ბრძოლა და თავისი გადაწყვეტილებების აღსრულების პოლიტიკური ნების ნაკლებობასთან შეჯახება. როგორც სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ჯონი ხეცურიანი იხსენებს, სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე უარის პარალელურად იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ ძალადაკარგულად ცნობილ კანონს თუ სხვა ნორმატიულ აქტს პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლები თავიდან იღებდნენ, სასამართლოს გადაწყვეტილების გამო კი, გულისწყრომას გამოთქვამდნენ.⁵⁴ მაგალითად, 2002 წელს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო იმ დროისთვის ერთ-ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება ელექტროენერგიის ტარიფების თაობაზე,⁵⁵ მას საქართველოს პრეზიდენტის კრიტიკა მოჰყვა, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან წინასწარ თათბირის შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობის გამო. ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლოს ამის უფლებამოსილება საერთოდ არ ჰქონია და

⁵¹ დავით ზედელაშვილი, თაბარ ქეცბაია, „საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა“, გნომონ ვაისი, 2024, გვ. 29.

⁵² ვ. ბაბუკი, „კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995)“, გვ. 248.

⁵³ დავით ზედელაშვილი, თაბარ ქეცბაია, „საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა“, გნომონ ვაისი, 2024.

⁵⁴ ქეთევან ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ.17; ჯ. ხეცურიანი, „დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსკენ, თბილისი, 2026, გვ. 313, 315.

⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/136 საქმეზე, „მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“.

აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან მსგავსი კომენტარები კიდევ ერთხელ მიუთითებდა სასამართლოს როლისა და უფლებამოსილებების გააზრების სირთულეზე.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ქეთევან ერემაძე იხსენებს, „იმ ისტორიულ კონტექსტში, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა, მას, საკუთარი მანდატის ეფექტურად გამოყენებით, მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ქვეყნის, საზოგადოების ღირებულებით ტრანსფორმაციაში, მათ შორის ხელისუფლების ავტორიტარული მიდრეკილებების გაუვნებელყოფაში. ბუნებრივია, ის სირთულეების წინაშე აღმოჩნდებოდა. ამ პროცესს ყოველთვის, ყველაზე დიდ წინააღმდეგობას სწორედ პოლიტიკური ხელისუფლება უწევდა. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო კანონს არაკონსტიტუციურად ცნობდა... ხშირად სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი არგუმენტების გააზრება და დაჯერება მმართველ პოლიტიკურ ძალას არ სურდა. ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ხელისუფლება საკუთარი პრობლემისთვის თვალის გასწორებას სასამართლოს პოლიტიკების საჯაროდ მტკიცებას ამჯობინებდა. პოლიტიკურ პროცესთან სიმჭიდროვეს კიდევ უფრო ზრდიდა შემთხვევები, როდესაც მოსარჩელეს ოპოზიცია წარმოადგენდა. რთული იყო და ზოგჯერ შეუძლებელიც, პოლიტიკური პროცესის ერთ-ერთი მხარის დარწმუნება, რომ მან კონკრეტული დავა წააგო არა მოსამართლის მიკერძოებულობისა და პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის მიზეზით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ასეთი იყო მის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე მისივე ქვეყნის კონსტიტუციის პასუხი“.⁵⁶

საბოლოოდ, დაარსებიდან „ვარდების რევოლუციამდე“ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მთავარი გამოწვევა საკუთარი თავის ინსტიტუციური დამკვიდრება და ლეგიტიმაციის მოპოვება აღმოჩნდა. იმ დროისთვის არსებულ ტურბულენტურ პერიოდში და სუსტი ინსტიტუტების ფონზე კი, ეს გასაკვირი სულაც არ არის.

საკონსტიტუციო სასამართლო უყურადღებოდ არც მომდევნო ხელისუფლების პერიოდში დარჩენილა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გამარჯვებული პოლიტიკური ძალა - პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მასშტაბურ ინსტიტუციურ რეფორმებს შეუდგა, რომელიც დღის წესრიგში აყენებდა კონსტიტუციური ცვლილებების საკითხსაც.

2004 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტმა“ შეიმუშავა და ხელისუფლებას წარუდგინა კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც ახლებურად განსაზღვრავდა კონსტიტუციის მე-2 თავით მოწესრიგებულ ადამიანის ძირითად უფლებებს, ასევე ითვალისწინებდა მთელი რიგი ინსტიტუტების, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმას. კანონპროექტის თანახმად, საქართველოში მკვიდრდებოდა საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული მოდელი, კერძოდ, უქმდებოდა საკონსტიტუციო სასამართლო და მის უფლებამოსილებათა ნაწილი გადადიოდა უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავდა საქართველოს პრეზიდენტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნომინაციისა და პარლამენტის თანხმობის

⁵⁶ ქეთევან ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 16,

საფუძველზე. ასევე საინტერესო იყო, რომ ამ ცვლილებებიდან გამომდინარე უზენაესი სასამართლოს ახალი შემადგენლობა უნდა განსაზღვრულიყო კანონის მიღებიდან 6 თვეში, რაც, ცხადია, ძველი შემადგენლობის, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლეების უფლებამოსილების შეწყვეტას გულისხმობდა.⁵⁷ დამატებით, წარმოდგენილი კანონპროექტით საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმების შემდეგ უზენაეს სასამართლოზე გადასაცემ უფლებამოსილებათა ჩამონათვალს მიღმა რჩებოდა უმნიშვნელოვანესი და, ამავე დროს, პოლიტიკურად ძალიან სენსიტიური - არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შემოწმების საკითხი.

წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონპროექტი ერთობლივად შეაფასეს ვენეციის კომისიამ და ეუთო/ოდირმა. დასკვნის თანახმად, კრიტიკულად შეფასდა საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული ცვლილება და აღინიშნა, რომ გასაგები არ იყო, რატომ უნდა მომხდარიყო ამგვარი რადიკალური ინსტიტუციური რეფორმა. შეფასების თანახმად, მართალია, საკონსტიტუციო კონტროლის, როგორც ამერიკულ, ისე ევროპულ მოდელებს აქვთ დადებითი და უარყოფითი მხარეები და, შესაბამისად, ქვეყნებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ მათთვის მისაღები მოდელი. თუმცა, როდესაც არსებობს მოქმედი საკონსტიტუციო სასამართლო, მიზანშეწონილი არ იქნებოდა მისი გაუქმება შესაძლო სარგებლის მკაფიოდ განუსაზღვრელად.⁵⁸

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი რეფორმა, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სასამართლოს ინსტიტუციური და პერსონალის რეფორმის თანადროულად განხორციელებისა და მისი ახლებურად დაკომპლექტების მცდელობის პირველი პრეცედენტი იყო. თუმცა მოქმედი მოსამართლეების თანამდებობიდან ვადაზე ადრე დათხოვნა, დემოკრატიული სტანდარტებისგან შორს იყო. პერსონალის რეფორმის პარალელურად, არჩევნებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო კონტროლის დავიწროება კი, მისი განმახორციელებელი სასამართლოს მიმართ პოლიტიკური ხელისუფლების შიშებზე და მისი მოთვინიერების სურვილზე მეტყველებდა. დამატებით საინტერესოა ისიც, რომ ამ ინიციატივის თაობაზე თავად საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მხოლოდ ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი.⁵⁹

საერთაშორისო შეფასებების გამოქვეყნების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა, მალევე, 2004 წლის დეკემბერში, პარლამენტს წარუდგინა კონსტიტუციური კანონის პროექტი,⁶⁰ რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ინსტიტუციად კვლავ

CDL(2004)019, Proposal For a Constitutional Law on Changes and Amendments to the Constitution of Georgia Prepared by the Liberty Institute, Strasbourg, 12 November 2004, available at: <https://cutt.ly/ErvZ6fug> ; accessed on : 27.05.2025.

⁵⁸ CDL-AD(2005)003, Join Opinion on a Proposal for a Constitutional Law on Changes and Amendments to the Constitution of Georgia by the Venice Commission and OSCE/ODIHR endorsed by the Commission at its 61st Plenary Session (Vencie, 3-4 December 2004), par.109, available at: <https://cutt.ly/WrvZ61ZO> ; accessed on : 27.05.2025.

⁵⁹ ქეთევან ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 17.

⁶⁰ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, 2004 წლის 17 დეკემბრის კანონპროექტი N07-1/99/5., ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/116629> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

საკონსტიტუციო სასამართლოს განსაზღვრავდა. მის წევრებს კი პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტი ირჩევდა. მეტიც, კანონპროექტი სასამართლოსთვის რეალური კონსტიტუციური კონტროლის, ანუ საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის (ძირითად უფლებებთან შესაბამისობის) შემოწმების უფლებამოსილებას ითვალისწინებდა. ეს ინიციატივა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო, რომელიც აფართოებდა სასამართლოს უფლებამოსილებას და კონსტიტუციურ კონტროლს უკვე ხელისუფლების სამივე შტოზე ავრცელებდა. ამასთანავე, „თავისუფლების ინსტიტუტის“ კანონპროექტისგან განსხვავებით, ამ ცვლილებებით საკონსტიტუციო სასამართლოს უბრუნდებოდა არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შემოწმების უფლებამოსილება, თუმცა შეზღუდულად. კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით, სასამართლო იხილავდა „რეფერენდუმებისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავებს“. განმარტებითი ბარათის თანახმად, ამგვარი ფართო უფლებამოსილება უხეშად იჭრებოდა საერთო სასამართლოების კომპეტენციაში, რამდენადაც კონკრეტული გადაწყვეტილებების მართლზომიერების შემოწმება საერთო სასამართლოების უფლებამოსილება იყო.⁶¹ შესაბამისად, კანონპროექტით გათვალისწინებული იყო ჩანაწერი, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებად იქცა არჩევნებისა და რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების/რეფერენდუმების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებული დავების განხილვა.

ჩამოთვლილი, მეტ-ნაკლებად დადებითი ცვლილებების პარალელურად, კანონპროექტში კვლავ გათვალისწინებული იყო ყველაზე პრობლემური - საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალის შეცვლის საკითხი. კერძოდ, კანონპროექტის გარდამავალი დებულებები კონსტიტუციური კანონის მიღებიდან 2 კვირის ვადაში საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის სრულ განახლებას ითვალისწინებდა. ამჯერად უკვე აშკარა იყო, რომ ახალი ხელისუფლების მხრიდან სასამართლოს პერსონალური შემადგენლობის ცვლილება რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო. მართალია, საბოლოოდ, ეს ინიციატივა კანონად ვერ იქცა და ჩანაწერი პირველი მოსმენის დროს სრულად გაქრა კანონპროექტიდან, თუმცა აშკარად გამოჩნდა პოლიტიკური ხელისუფლების ნება და ცდუნება, თანამდებობაზე მისთვის მისაღები მოსამართლეები განემწყესებინა, სრული შემადგენლობა კი, პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტს უნდა მიეღო.

კონსტიტუციური კანონის პროექტი ამჯერად ვენეციის კომისიამ შეაფასა.⁶² კომისიამ მოსამართლეთა არჩევის არსებული დივერსიფიცირებული წესი ამჯობინა პრეზიდენტის მიერ კანდიდატების ერთპიროვნულად შერჩევისა და პარლამენტისთვის წარდგენის შესაძლებლობას, რამდენადაც პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფალი, ძლიერ

⁶¹ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, 2004 წლის 17 დეკემბრის N07-1/99/5 კანონპროექტზე პირველი მოსმენით წარდგენილი კანონპროექტის განმარტებითი ბარათი (14/12/2005), ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/324122> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁶² CDL-AD(2005)005, Opinion on Draft Constitutional Amendments relating to the Reform of the Judiciary in Georgia adopted by the Venice Commission at its 62nd Plenary Session (Venice, 11-12 March 2005) , available at: <https://cutt.ly/arvXwBas> ; accessed on: 27.05.2025.

უფლებამოსილებას და პარლამენტის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერას ფლობდა. კომისიამ დადებითად შეაფასა რეალური კონსტიტუციური კონტროლის უფლებამოსილების შემოღების ინიციატივა, თუმცა ხელისუფლებას მოუწოდა გაეთვალისწინებინა სასამართლოს გადატვირთვის შესაძლებლობა და მასთან გამკლავების შესაძლო გზებიც.

საბოლოოდ, შემუშავებული 2 კონსტიტუციური კანონპროექტიდან ბევრი არაფერი დარჩა. პირველი მოსმენით მიღების შემდეგ პროექტიდან გაქრა რეალური კონსტიტუციური კონტროლის, ასევე პრეზიდენტის მიერ სასამართლოს სრულად დაკომპლექტების შესაძლებლობა. საბოლოო კანონში კი, მხოლოდ მოსამართლეთა დაწეული ასაკობრივი ცენზი (30 წელი) და არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შემოწმების შეზღუდული უფლებამოსილება შემორჩა.⁶³

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით სხვა საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებიც მას გააძლიერებდა ან პირიქით, დაასუსტებდა - ადგილი არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მათი მმართველობის ბოლო წლებში გაიზარდა სასამართლოს ლეგიტიმაცია, რამდენადაც ამ პერიოდში ადამიანის უფლებების გაფართოებაზე ორიენტირებული არაერთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

დასკვნის სახით, თუკი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის პირველი წლები სუსტი ცნობადობისა და ლეგიტიმაციის პირობებში წარიმართა, რაც ქვეყნის იმ დროისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით და ინსტიტუტების სისუსტით შეიძლება აიხსნას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დასაწყისიდანვე სასამართლო პოლიტიკური ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს ის პერიოდია, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, მმართველი ხელისუფლება ყოვლისმომცველი და ხისტი ინსტიტუციური რეფორმებით ქვეყნის მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის დაჩქარების გაცხადებული მიზნებით მოქმედებდა. თუმცა, მოვლენების ისტორიული პერსპექტივიდან დანახვა ცხადყოფს, რომ მმართველი ხელისუფლება მალევე გასცდა რეფორმირების კეთილშობილურ მიზნებს და მისმა მმართველობამ ავტორიტარული ხასიათი მიიღო, და ის, ადამიანის უფლებათა მასობრივი და მზარდი დარღვევების გამო, ქართველმა ხალხმა 2012 წელს დემოკრატიული - არჩევნების გზით შეცვალა. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლებამ, საერთო სასამართლოების სისტემისგან განსხვავებით, მართალია, უარი თქვა ფორსირებულ პერსონალის ცვლილებებზე, თუმცა არც იმგვარი ნაბიჯები გადაუდგამს, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციურად კიდევ უფრო გააძლიერებდა, თუნდაც მისთვის რეალური, ინდივიდუალური კონსტიტუციური კონტროლის მინიჭების გზით. მეტიც, სწორედ ამ პერიოდში შეიზღუდა სასამართლოს უფლებამოსილებები არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმებასთან დაკავშირებით, რისი შიშიც მომდევნო

⁶³ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, 2004 წლის 17 დეკემბრის N07-1/99/5 კანონპროექტი (პირველი მოსმენით დამტკიცებული) 14/12/2005, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/324121> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

ხელისუფლებასაც გადმოჰყვა და ეს უფლებამოსილება კონსტიტუციის დონეზე კიდევ უფრო დაავიწროვა.

3.2. 2016-2020: ინსტიტუციური და პერსონალური დამორჩილების ქრონიკა საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების სუსტი ფორმის ფონზე

„ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო ინსტიტუცია აღმოჩნდა, რომელიც პოლიტიკურმა ხელისუფლებამ დაიმორჩილა. თუმცა „ოცნების“ მმართველობის დასაწყისის სასამართლოსთან მიმართებით სრულიად განსხვავებულად გამოიყურებოდა.

2012 წელს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისას, მმართველი გუნდი კეთილგანწყობილი იყო სასამართლოს მიმართ. მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით,⁶⁴ „... კონსტიტუციური სასამართლოს მიმართ პრაქტიკულად შეკითხვები არ არსებობს და პოზიტივის გარდა, საზოგადოებაში ვერაფერს ვერ მოისმენ...“. მეტიც, „ქართული ოცნება“ საკუთარ წინასაარჩევნო დაპირებებში საკონსტიტუციო სასამართლოს გაძლიერებასა და მისი უფლებამოსილებების გაფართოებაზე საუბრობდა. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში ხელისუფლებას უკვე გაცხადებული დაპირისპირება ჰქონდა საერთო სასამართლოების სისტემაში მყოფ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან და სამართლიანობის აღდგენის დაპირებით ხელისუფლებაში მოსული სასამართლო სისტემის ყოვლისმომცველ რეფორმას აანონსებდა, რომელიც შემდგომ წლებში არათუ რეალობად აქცია, არამედ თავად შევიდა პოლიტიკურ გარიგებაში სასამართლო „კლანთან“. შედეგად, მათი გავლენები სისტემაში საბოლოო ჩაბეტონდა და დროის გასვლასთან ერთად, სასამართლო სისტემიდან განსხვავებული აზრი და ინდივიდუალურ მოსამართლეთა რეალური დამოუკიდებლობის ნიშანწყალი სრულიად განიდევენა.⁶⁵ შესაბამისად, ერთი შეხედვით, საფიქრებელი იყო, რომ „ოცნების“ დაანონსებული „სამართლიანობის აღდგენა“ საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეეხებოდა.

ამის საპირისპიროდ, პოლიტიკური ხელისუფლების კეთილგანწყობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართ მალევე, 2014 წლის აპრილშივე, შეიცვალა, **საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების საქმეზე**,⁶⁶ როდესაც სასამართლოს პირველმა კოლეგიამ არაკონსტიტუციურად მიიჩნია სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. ამ გადაწყვეტილებას სასამართლოს შენობასთან საპროტესტო აქცია და სასამართლოს საკუთრების დაზიანებაც მოჰყვა, რაზეც თავად

⁶⁴ Civil.ge, „ივანიშვილი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდა“, 14 ივნისი, 2013, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/CrvXyjJa>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁶⁵ ანა პაპუაშვილი, ნინო ნოზაძე, გვანცა წულუკიძე, გიორგი დავითური, „მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2023, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/GrcRtO2B>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სასამართლომ გააკეთა განცხადება და სამართალდამცავ ორგანოებს ამ ინციდენტის დროული და ადეკვატური შესწავლისა და შეფასებისკენ მოუწოდა.⁶⁷

მომდევნო, ხელისუფლებისთვის მიუღებელი გადაწყვეტილება 2014 წლის ივნისში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენაზე დადგენილი მორატორიუმის გაუქმებას შეეხებოდა.⁶⁸ ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით, საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა ძალადაკარგულად ცნო ის ნორმა, რომელიც უცხოელებს უკრძალავდა გამხდარიყვნენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეები. 2013 წლის ივნისში კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეჩერებული იყო უცხოელი ფიზიკური პირებისთვის ამგვარი მიწის შეძენის უფლება. მორატორიუმის თაობაზე სასამართლოს სარჩელით მიმართა ავსტრიის მოქალაქემ და ამ სადავო ნორმების ძალადაკარგულად ცნობა მოითხოვა. სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ნორმას იგივე შინაარსი ჰქონდა, რაც ნორმას, რომელიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი პლენუმის 2012 წლის გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილებას მწვავე გამოხმაურებები მოჰყვა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების,⁶⁹ ასევე საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან.⁷⁰ საინტერესო იყო, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება კონსტიტუციასთან ერთად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებულ ვალდებულებასაც შეესაბამებოდა.

2014 წლის ბოლოსვე, „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში პირველად დადგა საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი მოსამართლის არჩევის საკითხი. საინტერესოა, რომ პარლამენტმა სასამართლოს მოსამართლედ „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებული - **მერაბ ტურავას** კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა.⁷¹ ტურავას კანდიდატურამ პარლამენტის მხარდაჭერა მხოლოდ მეორე ცდაზე, 2015 წლის გაზაფხულზე მოიპოვა.⁷² დღემდე უცნობია, ზუსტად რამ გამოიწვია პარლამენტის წევრების აზრის შეცვლა მის კანდიდატურაზე, პირველი კენჭისყრის ჩავარდნის შემდგომ. თუმცა ფაქტია, წლების შემდეგ, მერაბ ტურავას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ გამწესებამ უმნიშვნელოვანესი როლი

⁶⁷ ბათუმელები, საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადება, 13 აპრილი, 2014, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/zrvXpbIV>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁶⁹ ინტერპრესნიუსი, ზურაბ ტყემალაძე - საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნის ინტერესებს არ ემსახურება, 24 ივნისი, 2014, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/urvXsoYj>; ასევე იხილეთ, ინტერპრესნიუსი, გიორგი კვირიკაშვილი - არავინ გვაავალდებულებს სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციაში ულტრალიბერალური ვიყოს, 2 ივლისი, 2014, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/jrvXsCYS>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁷⁰ ინტერპრესნიუსი, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწის გასხვისების შესახებ საპატრიარქო ილია მეორის განცხადებას ავრცელებს, 2 ივლისი, 2014, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/crvXdAaG>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁷¹ ინტერპრესნიუსი, პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ მერაბ ტურავას კანდიდატურა ჩააგდო, 25 დეკემბერი, 2014, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/9rvXfLNR>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁷² ინტერპრესნიუსი, პარლამენტმა მერაბ ტურავა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია, 20 მარტი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/arvXhbAn>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

შეასრულა სასამართლოს დასუსტების, შემდგომ კი - მისი პოლიტიკურად დამორჩილების პროცესში.

რაც შეეხება მის პროფესიულ ბიოგრაფიას, მერაბ ტურავა 1999-2006 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყო. 2000-2005 წლებში იკავებდა სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის პოზიციას. მოსამართლეობის პერიოდში და შემდგომ წლებშიც, მერაბ ტურავა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

2005 წელს უზენაესი სასამართლოს რამდენიმე მოსამართლემ, მათ შორის, მერაბ ტურავამ და ნინო გვენეტაძემ, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში ტურავას არჩევის პარალელურად დაინიშნა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ, უზენაესი სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი მოსამართლეებზე ზეწოლაში საჯაროდ დაადანაშაულეს.⁷³ მალევე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, კუბლაშვილის მიმართებით, იმ პერიოდში არსებული მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე, დისციპლინური სამართალწარმოება დაიწყო ამ მოსამართლეების წინააღმდეგ. მოსამართლეებს ბრალს დებდნენ რამდენიმე ეპიზოდში მართლმსაჯულების არასათანადო განხორციელებასა და კანონდარღვევაში. საერთო სასამართლოების დისციპლინურმა საბჭომ ისინი სამართალდამრღვევად ცნო და თანამდებობიდან გაათავისუფლა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ, 2006 წლის 10 აგვისტოს, ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და ამ მოსამართლეებს სამოსამართლო პოზიციის დაკავება აუკრძალა.⁷⁴ იმ პერიოდში სადისციპლინო პალატის წევრი იყო ლევან მურუსიძე.

საინტერესოა, რომ საჯარო წყაროებსა და მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, უზენაეს სასამართლოში ყოფნის პერიოდში, ნინო გვენეტაძე და მერაბ ტურავა გადაცემა „60 წუთის“ ჟურნალისტების დაკავებას მოითხოვდნენ 2003 წელს გადაღებული ვიდეომასალის გავრცელების გამო, სადაც, „რუსთავი 2-ის“ გავრცელებული ინფორმაციით, ნაჩვენებია იყო მოსამართლეების და სასამართლოს სხვა წარმომადგენლების მხრიდან მოქალაქისათვის ფულის გამოძალვის შემთხვევა. როგორც „რუსთავი 2“ მიუთითებდა, ამ პერიოდში ნინო გვენეტაძემ და მერაბ ტურავამ „სამი პრესკონფერენცია გამართეს და ფუნდამენტურად, საფუძვლიანად დაგმეს „60 წუთი“ და გენერალურ პროკურორს მიმართეს მოთხოვნით, გადაემოწმებინა გადაცემა „60 წუთის“ სიუჟეტები და შეესწავლა, ხომ არ შეიცავდა ისინი „სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშნებს“. გვენეტაძის და ტურავას მოთხოვნას,

⁷³ ტაბულა, მერაბ ტურავა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად აირჩიეს, 20 მარტი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/XrvXjC7L> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁷⁴ Applications nos. 7607/07 and 8710/07, Merab TURAVA and Others against Georgia and Tamar LALIASHVILI against Georgia, 27/11/2018, available at: <https://cutt.ly/DrvXILMj> ; accessed on : 27.05.2025.

„რუსთავი 2-ის“ განცხადებით, კრიტიკა მოჰყვა როგორც საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე საერთაშორისო წარმომადგენლების მხრიდან.⁷⁵

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობების დატოვების შემდეგ, ყოფილმა მოსამართლეებმა, 2007 წელს, საჩივრით მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თუმცა ეს საქმე სასამართლოს წლების განმავლობაში არ განუხილავს. 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლიდან მალევე - 2014 წელს, საკანონმდებლო ცვლილებებით ამ მოსამართლეებისთვის, მათ შორის, მერაბ ტურავასთვის, სამოსამართლო პოზიციის დაკავების აკრძალვა გაუქმდა. როგორც აღინიშნა, მალევე ტურავა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ, ნინო გვენეტაძე კი - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩიეს. გვენეტაძისგან განსხვავებით, ტურავას ამ ფაქტობრივი გარემოებების შეცვლის თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის, ამ უკანასკნელის არაერთი მოთხოვნისა და კითხვის მიუხედავად, არ უცნობებია. შედეგად, სასამართლომ 2017 წელს ეს ფაქტი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის თანამშრომლობის სურვილის ნაკლებობად მიიღო და სხვა აპლიკანტების საქმეებთან ერთად ამ საქმეზე სამართალწარმოება შეწყვიტა ისე, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.⁷⁶ ამ ფაქტზე თავად ტურავამაც მიუთითა, რომ მისი საქმე სასამართლომ 10 წლის განმავლობაში არ განიხილა და, შესაბამისად, მისი შედეგით დაინტერესებული არ ყოფილა.⁷⁷

საკონსტიტუციო სასამართლოში გრძელდებოდა პოლიტიკური ხელისუფლებისთვის მგრძნობიარე საკითხებზე საქმეთა შეტანა. 2015 წლის გაზაფხულზევე სასამართლოში გაიგზავნა სახალხო დამცველისა და სამოქალაქო სექტორის⁷⁸ მიერ მომზადებული სარჩელები ე.წ. „ფარული მოსმენების“ შესახებ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, მასშტაბური საინფორმაციო კამპანიის, „ეს შენ გეხება“, ფარგლებში. საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ყოფილმა მერმა - გიგი უგულავამაც.⁷⁹

ამ პერიოდისთვის უკვე აშკარა იყო, რომ იზრდებოდა, ერთი მხრივ, პოლიტიკური ხელისუფლების უკმაყოფილება და, შეიძლება ითქვას, შიშიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით, ასევე მზარდი იყო საზოგადოებისა და სამოქალაქო სექტორის უკმაყოფილება „ქართული ოცნების“ მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით სასამართლო სისტემას შეეხებოდა, სადაც, „ოცნება“ გარიგებაზე წავიდა საერთო სასამართლოებში არსებულ მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფთან და უარი თქვა სისტემის ჰოლისტურ, ყოვლისმომცველ და რეალურ რეფორმაზე. თუმცა

⁷⁵ ტაბულა, ნინო გვენეტაძე გადაცემა 60 წუთის ჟურნალისტების დაკავებას ითხოვდა, 21 თებერვალი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/brvXznni> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁷⁶ Applications nos. 7607/07 and 8710/07, Merab TURAVA and Others against Georgia and Tamar LALIASHVILI against Georgia, 27/11/2018.

⁷⁷ ნეტგაზეთი, მერაბ ტურავას განმარტება სასამართლოში კლანზე, 25 ივნისი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/463582/> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁷⁸ ინტერპრესნიუსი, ე.წ. ფარული მოსმენების შესახებ კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/brvXcrBQ> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁷⁹ ინტერპრესნიუსი, გიგი უგულავა დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართავს, 30 აპრილი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/5rvXcOgK> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

მანამდე პოლიტიკური ბრძოლის ხაზი საკონსტიტუციო სასამართლოზე გადიოდა, სადაც რეალური დამაბულობა სწორედ 2015 წელს დაიწყო.

2015 წლის სექტემბერში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება,⁸⁰ რომლის საფუძველზეც გიგი უგულავა 14-თვიანი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდა, რადგან სასამართლომ ბრალდებულის 9-თვიან ვადაზე დიდხანს პატიმრობაში ყოფნა არაკონსტიტუციურად მიიჩნია. სწორედ ამ გადაწყვეტილებასთან მიმართებით გამოიკვეთა „ქართული ოცნების“ მხრიდან **საკონსტიტუციო სასამართლოს დამორჩილების გეგმის პირველი კონტურები**, როდესაც „ოცნების“ პარლამენტის მიერ არჩეულმა პირველმა მოსამართლემ - მერაბ ტურავამ უარი განაცხადა⁸¹ გადაწყვეტილების ხელმოწერაზე. ტურავამ უარის მიზეზად თავდაპირველად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და საავადმყოფოში მოთავსება, შემდეგ კი გადაწყვეტილების გასაცნობად არასაკმარისი დრო და სასამართლოს სხვა წევრების მხრიდან მასზე განხორციელებული ზეწოლა დაასახელა.⁸² ბრალდებას საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა განცხადებით უპასუხა და ტურავას განცხადებას უსაფუძვლო უწოდა, ამასთანავე, განმარტა, რომ „*საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეს უფლება არა აქვს, უარი განაცხადოს კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე, თავი შეიკავოს კენჭისყრისას და არ მოაწეროს ხელი გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, თუ რა პოზიცია ეკავა მას კენჭისყრის პროცესში*“.⁸³ საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტულებით, მერაბ ტურავას საკითხი სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიას გადაეცა შესასწავლად, გიგი უგულავას შესახებ გადაწყვეტილება კი, ტურავას ხელმოწერის გარეშე მეორე დღეს გამოაცხადა.

უგულავას გადაწყვეტილებას კვლავ პროტესტი მოჰყვა სასამართლოსთან და მოსამართლეთა საცხოვრებელ სახლებთან. ამ უკანასკნელის თაობაზე მოსამართლეებმა პრეტენზია გამოთქვეს, რაზეც იმდროინდელმა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ „მოქალაქეს აქვს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება“, მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელ ადგილთან დემონსტრაცია კანონმდებლობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენდა. წულუკიანმა ასევე ღიად გაკიცხა სასამართლოს თავმჯდომარე და სასამართლო „პროცედურული დარღვევების კასკადით“ გადაწყვეტილების მიღებაში დაადანაშაულა.⁸⁴ ეს ერთ-ერთი პირველი შემთხვევა იყო, მომავალში მრავალთაგან, როდესაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მათთვის პოლიტიკურად მიუღებელი გადაწყვეტილების გამო სასამართლოს კრიტიკას და მისი დისკრედიტაციის მცდელობას

⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბერის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁸¹ რადიო თავისუფლება, მოსამართლე ტურავამ გიგი უგულავა წინასწარ პატიმრობაში დატოვა, 16 სექტემბერი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1rvXbyz7>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁸² იქვე.

⁸³ ტაბულა, საკონსტიტუციო: მოსამართლეს გადაწყვეტილების ხელმოწერაზე უარის უფლება არ აქვს, 15 სექტემბერი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/DrvXb0BU>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁸⁴ ნეტგაზეთი, წულუკიანი: საკონსტიტუციო სასამართლოში პროცედურული დარღვევების კასკადია უგულავას საქმეზე, 22 სექტემბერი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/44153/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

მიმართავდნენ. ეს კი დემოკრატიული ინსტიტუტების დამორჩილების ცდუნების ერთ-ერთი პირველი ინდიკატორი იყო.

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გიორგი უგულავა პატიმრობიდან გაათავისუფლეს, თუმცა მისმა თავისუფლებამ მხოლოდ 1 დღე გასტანა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი საქალაქო სასამართლომ მეორე დღესვე გამოაცხადა.⁸⁵ შესაბამისად, ამ ფონზე სულ მცირე ექვებს აჩენდა მერაბ ტურავას დაჟინებული მოთხოვნა გადაწყვეტილების გასაცნობად დამატებითი დროის მოთხოვნის თაობაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს მორიგი, პოლიტიკურად მგრძნობიარე გადაწყვეტილება 2015 წლის 12 ოქტომბერს **ეროვნული ბანკისთვის საზედამხედველო უფლებამოსილების ჩამორთმევის შესახებ კანონის დროებით შეჩერებას უკავშირდება.**⁸⁶ საკანონმდებლო ცვლილებების კონსტიტუციურობის შესახებ საპარლამენტო ოპოზიცია დავობდა და მისი ინიცირების მიზეზად, ერთ მხრივ, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან მმართველი გუნდის უთანხმოებას და მის ზედამხედველობაში მყოფი ინსტიტუტების დასუსტებას, მეორე მხრივ კი, ეროვნული ბანკის მიმართ დანერგილ უნდობლობას ასახელებდა, რომ თითქოს ეროვნული ვალუტის კრიზისი ხელისუფლებამ შექმნა და გაუფასურება ეროვნული ბანკის დამსახურებით მოხდა.⁸⁷ აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ეროვნული ბანკის პრეზიდენტი წინა ხელისუფლების გუნდის წევრი - გიორგი ქადაგიძე (2009-2016) იყო. პრეზიდენტმა კანონს ვეტო დაადო, თუმცა პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია და კანონი საბოლოოდ მაინც მიიღო.⁸⁸

კონსტიტუციის თანახმად, ეროვნული ბანკის უფლებამოსილებებს განეკუთვნებოდა ფინანსური სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია. ბანკის საბჭოს დაკომპლექტებაში კი მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტიც. ამ უფლებამოსილების ცალკე გამოტანით და პარლამენტის მიერ განცალკევებული საბჭოს შექმნით, რომლის დაკომპლექტებაშიც პრეზიდენტი აღარ მონაწილეობდა, ფაქტობრივად ეროვნულ ბანკს ართმევდა მის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას და, ამავე დროს, მის დაკომპლექტებაში გამორიცხავდა პრეზიდენტის მონაწილეობას. რამდენადაც „ქართულ ოცნებას“ იმ პერიოდში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰქონდა, მან მიზნის მისაღწევად ჩვეულებრივი საკანონმდებლო გზა აირჩია.⁸⁹ საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო და ახლად მიღებული კანონის მოქმედება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა, რასაც კვლავ მმართველი პარტიის კრიტიკა და

⁸⁵ Civil.ge უგულავა სასამართლომ გაფლანგვაში დამნაშავედ ცნო და 4.5 წლით პატიმრობა შეუფარდა, 19 სექტემბერი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/6rvXQUaw> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁸⁷ რადიო თავისუფლება, საკონსტიტუციო სარჩელი საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს წინააღმდეგ, სექტემბერი 22, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1rvXElu9> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁸⁸ ნეტგაზეთი, საკონსტიტუციო სასამართლომ ეროვნული ბანკის შესახებ სარჩელის განხილვას იწყებს, 3 თებერვალი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/business/93595/> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁸⁹ რადიო თავისუფლება, შეჩერებული საფინანსო ზედამხედველობა, ოქტომბერი 13, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/brvXRMR7> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

სასამართლოს პოლიტიკურ მიკერძოებაში დადანაშაულება მოჰყვა. გია ვოლსკის აღნიშვნით, „საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვანწილად მოდის იმ გუნდიდან, რომელიც მართავდა ქვეყანას და არასოდეს არ ჰქონია მათ საქმიანობაზე შენიშვნა და, ვფიქრობ, პაპუაშვილს ამ გუნდის წევრობა ავალეს, გამოხატოს პოლიტიკურად ანგაჟირებული დამოკიდებულება“.⁹⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 10 წლის გასვლის შემდეგაც კი, ამ საქმეზე გადაწყვეტილება დღემდე მიღებული არ არის, ეროვნული ბანკი კი ჩვეულებრივ განაგრძობს ფუნქციონირებას.

იმავე წელს, მორიგი საკითხი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს დღის წესრიგში დადგა, ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ მედიას ეხებოდა. საქმე ეხებოდა **ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საკუთრებასთან დაკავშირებულ დავას**, რომელიც წინასაარჩევნოდ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის გამო, მისი გაჩუმების მცდელობად შეფასდა.⁹¹

2015 წლის 2 ნოემბერს სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე სადავოდ ხდიდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების ერთ-ერთ საფუძველს. სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ამავე გადაწყვეტილებით სადავო ნორმების მოქმედება გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა.⁹² შედეგად, ქიბარ ხალვაშსა და „რუსთავი 2-ს“ შორის სამოქალაქო დავის ქიბარ ხალვაშის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება გამოირიცხა. საინტერესოა, რომ მეორე დღეს, 3 ნოემბერს, უკვე საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და დააკმაყოფილა ქიბარ ხალვაშის სარჩელი, რითაც ტელეკომპანიის წილები მას მიეკუთვნა. მოპასუხე მხარემ ამ გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასასაჩივრებლად მზადება დაიწყო. თუმცა, მათთვის მოულოდნელად, 5 ნოემბერს, ცნობილი გახდა, რომ მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ ქიბარ ხალვაშის მოთხოვნა დააკმაყოფილა და საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიიჩნია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მიღება. განჩინების მიხედვით, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ ხელმძღვანელობაზე, მართვასა და წარმომადგენლობაზე იმ დროისთვის უფლებამოსილ პირებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე (ყველა ინსტანციის ამოწურვამდე) უფლებამოსილებები შეუჩერდათ და მათ ნაცვლად, კომპანიის დროებით მმართველებად დავით დვალი და რევაზ საყვეარიშვილი დაინიშნენ.⁹³

საპასუხოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ 13 ნოემბრის საოქმო ჩანაწერით არსებითად განსახილველად მიიღო „რუსთავი 2-ის“ წარმომადგენლების კონსტიტუციური სარჩელი,

⁹⁰ იქვე.

⁹¹ დავით ზედელაშვილი, თაბარ ქეცბაია, „საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა“, გნომონ ვაისი, 2024, გვ. 62.

⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 2 ნოემბრის №1/6/675 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁹³ ფაქტჩეკი, რა მიზანი ჰქონდა რუსთავი 2-ში დროებითი მმართველის დანიშვნას და რამდენად კანონიერი იყო იგი, 24 ნოემბერი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/6rvXYFVM>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

რომელიც სწორედ იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვდა, რომლებიც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად. საქმე კვლავ საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ განიხილა და სადავო ნორმების მოქმედებაც შეაჩერა.⁹⁴ შესაბამისად, სწრაფი მოქმედებით, საკონსტიტუციო სასამართლომ შეძლო ამ საქმის გარშემო არსებული დამაბული მდგომარეობის განმუხტვა და კრიტიკული მედიის სარედაქციო პოლიტიკის დაუყოვნებლივი ცვლილებების შეჩერება. თუმცა სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, ბოლო წვეთი აღმოჩნდა მმართველი პარტიისთვის.

მაღევე დღის წესრიგში საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის რეფორმის საკითხი დადგა, რომლის მთავარი მიზანი, როგორც შემდგომში ნათელი გახდა, მმართველი გუნდისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საქმეების განხილვისას პირველი კოლეგიის იმ მოსამართლეების საქმიანობის მაქსიმალური შეფერხება იყო, რომლებიც „ქართული ოცნებისთვის“ მიუღებლები აღმოჩნდნენ და მასთან კოოპტაციაზე უარს ამბობდნენ. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს დამორჩილების გრძელ გზაზე ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი - სასამართლოს უფლებამოსილებების შემზღუდველი კანონმდებლობის მიღება, სრულიად ლოგიკურად, აღმოჩნდა. მით უმეტეს, რომ, როგორც აღინიშნა, ამ პერიოდში მსგავსი ანტიდემოკრატიული კანონმდებლობების მიღება აქტიურად მიმდინარეობდა უნგრეთსა და პოლონეთში, რომელთა საკონსტიტუციო სასამართლოებიც, საბოლოოდ, იქაური პოლიტიკური ხელისუფლებების სამსახურში აღმოჩნდნენ.

2015 წლის დეკემბერში თეა წულუკიანმა საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმის თაობაზე მზაობა დააანონსა და მიზეზად პირდაპირ მიუთითა, რომ „რუსთავი 2-ის“ საქმის განმხილველი კოლეგია მიკერძოებული იყო.⁹⁵ საინტერესოა, რომ 2016 წლის თებერვალში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა საზოგადოებას განუცხადა, რომ იუსტიციის მინისტრმა მას და სასამართლოს კიდევ ერთ მოსამართლეს ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის სანაცვლოდ ვენეციის კომისიის წევრობის შენარჩუნება შესთავაზა.⁹⁶ ამის თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცესის პერიოდში გახდა ცნობილი, რომელშიც პაპუაშვილიც მონაწილეობდა და სადაც საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრი - თეა წულუკიანი იყო.

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი საქართველოს პარლამენტში 2016 წლის 10 მარტს დაინიციირდა. განმარტებით ბარათში ცვლილებების ოფიციალურ ლეგიტიმურ მიზნად კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და ბუნდოვანებების აღმოფხვრა/დაზუსტება დასახელდა.⁹⁷ ცვლილებების ინიცირებას

⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის საოქმო ჩანაწერი №1/7/681 საქმეზე, „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁹⁵ ტაბულა, წულუკიანი: საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმის დარგში პირველ ნაბიჯს გადავდგამ, 3 დეკ, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ZrvXUWUA> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁹⁶ ნეტგაზეთი, პაპუაშვილის თქმით, წულუკიანმა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ გარიგება შესთავაზა, 29 თებერვალი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/law/98192/> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁹⁷ განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/114240>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

კრიტიკული გამოხმაურებები მოჰყვა ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის მხრიდან.⁹⁸ როგორც აღინიშნა, ამავე წლის შემდგომში საპარლამენტო არჩევნები იმართებოდა, რაც „ქართული ოცნების“ ლეგიტიმაციის გადამოწმების პირველი შემთხვევა იყო. შესაბამისად, დღევანდელი გადმოსახედიდან გასაკვირი აღარ არის, რომ საკანონმდებლო პროცესი პარლამენტში დაჩქარებულად წარიმართა და 14 მაისს ცვლილებები უკვე სამივე მოსმენით იყო მიღებული. ცვლილებებს მხოლოდ მიღების შემდგომ მოუსწრო ვენეციის კომისიის შეფასებამაც, რომელიც ყველაზე საკვანძო და კრიტიკული საკანონმდებლო ჩანაწერების მიმართ, ცხადია, კრიტიკული აღმოჩნდა.⁹⁹ ცვლილებების უმრავლესობა ასუსტებდა სასამართლო კოლეგიების უფლებამოსილებებს და თანაც, ინდივიდუალურ მოსამართლეებს სასამართლოს საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენის გაზრდილ უფლებამოსილებას ანიჭებდა. კერძოდ, ცვლილებების¹⁰⁰ თანახმად,

- სასამართლო კოლეგიას ჩამოერთვა საარჩევნო და რეფერენდუმთან დაკავშირებული დავების, საერთო სასამართლოების წარდგინებების, ასევე ორგანული კანონის კონსტიტუციურობის განხილვის უფლებამოსილებები;
- ინდივიდუალურ მოსამართლეს მიენიჭა უფლებამოსილება, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე კოლეგიის მიერ განსახილველი საქმის პლენუმისთვის გადაცემის უფლება იმ შემთხვევებში, როდესაც მისი პოზიცია განსხვავდებოდა სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში გამოხატული პოზიციისგან, ან თუ საქმე თავისი შინაარსით წარმოშობდა კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას; თავის მხრივ, გართულდა პლენუმისთვის ასეთ მოთხოვნაზე უარის თქმის შესაძლებლობა - საჭირო გახდა მინიმუმ 6 მოსამართლის დასაბუთებული გადაწყვეტილება;
- სასამართლო კოლეგიას შეეზღუდა სადავო ნორმის შეჩერების უფლებამოსილება და ის ექსკლუზიურად პლენუმის ხელში გადავიდა. თავის მხრივ, ნორმის მოქმედების შეჩერების გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გახდა არანაკლებ სასამართლოს 6 წევრის მხარდაჭერა;
- გართულდა პლენუმის მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა - კვორუმი 6 მოსამართლიდან 7 მოსამართლემდე გაიზარდა. გადაწყვეტილების მისაღებად უბრალო უმრავლესობის ნაცვლად კი, განისაზღვრა დამსწრე 6 წევრის მხარდაჭერის აუცილებლობა;

⁹⁸კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით მიღებულ ცვლილებებზე, 14 მაისი 2016, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/lrvXSgNp>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

⁹⁹ CDL-AD(2016)017, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) GEORGIA OPINION ON THE AMENDMENTS TO THE ORGANIC LAW ON THE CONSTITUTIONAL COURT AND TO THE LAW ON CONSTITUTIONAL LEGAL PROCEEDINGS Endorsed by the Venice Commission at its 107th Plenary Session (Venice, 10-11 June 2016), available at: <https://cutt.ly/trvXOU0T>; accessed on : 27.05.2025.

¹⁰⁰საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/120042>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

- მოსამართლის უფლებამოსილების ვადად მკაცრად განისაზღვრა 10-წლიანი პერიოდი, რომლის ამოწურვის შემთხვევაში, მოსამართლეს მანდატი უწყდებოდა დაუყოვნებლივ, ყველა საქმეზე, მიუხედავად იმისა, ამ პერიოდისთვის უკვე დანიშნული/არჩეული იყო თუ არა მისი ჩამნაცვლებელი მოსამართლე. ამასთანავე, უფლებამოსილების ამოწურვამდე 3 თვის განმავლობაში, გამონაკლისების გარდა, მოსამართლეს აეკრძალა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება. აიკრძალა სასამართლოს თავმჯდომარედ და მის მოადგილედ იმ პირის არჩევა, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა;
- გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტად განისაზღვრა მისი გამოქვეყნება „საკანონმდებლო მაცნეში“. თუმცა განხილვების დროს ეს წესი კვლავ შეიცვალა და ასეთ მომენტად განისაზღვრა გადაწყვეტილების საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება, რაც ერთადერთი პოზიტიური ცვლილება იყო.

პრეზიდენტმა ამ კანონსაც ვეტო დაადო და მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს. „ქართული ოცნებისთვის“ ეს იყო მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, უარი ეთქვა საკონსტიტუციო სასამართლოს დამორჩილების მცდელობაზე და გაეთვალისწინებინა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ არც პრეზიდენტის შენიშვნებს გაეთვალისწინებია ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია და მის მიერ წარდგენილი ალტერნატიული კანონპროექტი კანონმდებლობაში ტოვებდა მნიშვნელოვან ბერკეტებს ხელისუფლებისათვის. შენიშვნები¹⁰¹ ითვალისწინებდა 3 ძირითად საკითხს:

- საქმის განხილვისთვის გათვალისწინებული მაღალი კვორუმი უქმდებოდა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში;¹⁰²

¹⁰¹ Civil.ge, პრეზიდენტის სამი შენიშვნა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ სადავო კანონპროექტზე, 1 ივნისი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/155089> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁰² საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის იმუნიტეტის, არჩევნების და რეფერენდუმის ნორმების, იმპიჩმენტის, ორგანული კანონის კონსტიტუციურობის საკითხები. • პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ვარიანტის მიხედვით, 9-წევრიანი პლენუმის სხდომას 7 წევრი მაინც უნდა ესწრებოდეს, რათა მან სულ ცოტა 6 ხმით მხარი დაუჭიროს ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა არჩევნებისა და რეფერენდუმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავა; ორგანული კანონების შესაბამისობა კონსტიტუციასთან; პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, გენერალური აუდიტორისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტი; და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის იმუნიტეტის მოხსნასთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოში სულ 17 ორგანული კანონი მოქმედებს, რომელთა შორისაა ასევე კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ. სხვა დანარჩენ საკითხებზე, პრეზიდენტის შენიშვნების თანახმად, პლენუმი გადაწყვეტილებას სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ანუ 5 ხმით იღებს იმ პირობით, რომ სხდომას სულ ცოტა 6 წევრი მაინც უნდა ესწრებოდეს. მოქმედი კანონმდებლობით პლენუმს სულ ცოტა 6 წევრი უნდა ესწრებოდეს, რათა უფლებამოსილი იყოს, რომ გადაწყვეტილება დამსწრეთა ნახევარზე მეტით მიიღოს. სრული შემადგენლობის უმრავლესობით ანუ შედარებით დაბალი კვორუმით პლენუმის მიერ გადასაწყვეტ საკითხებს შორისაა კონსტიტუციური შეთანხმებების, არაორგანული კანონების, ნორმატიული აქტების; ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური კანონის, საერთაშორისო ხელშეკრულებათა კონსტიტუციურობის საკითხები და ასევე სადავო ნორმების მოქმედების შეჩერება მანამ, სანამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება დადგება.

- უქმდებოდა მოსამართლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 3-თვიანი შეზღუდვა საქმეთა განხილვაზე, მაგრამ ძალაში რჩებოდა მკაცრი ჩანაწერი 10-წლიან ვადაზე;
- სასამართლოს ერთი წევრის მიერ საქმის პლენუმისათვის გადაცემის შუამდგომლობაზე უარისთვის საჭირო უმრავლესობა სრული შემადგენლობის უმრავლესობამდე (5 წევრამდე) მცირდებოდა;
- პრეზიდენტის კრიტიკის მიღმა დარჩა ნორმის შეჩერების გადაცემა პლენუმზე.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა, რომელიც ცვლილებების ინიციატორი იყო, 1 ივნისს გამართულ სხდომაზე მხარი დაუჭირა პრეზიდენტის შენიშვნებს. 3 ივნისს კი პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე შენიშვნები საბოლოოდ გაიზიარა და მიღებული ცვლილებები პრეზიდენტს ხელმოსაწერად გაუგზავნა.

საინტერესოა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებიდან რამდენიმე დღეში - 8 ივნისს, ცვლილებებით მინიჭებული უფლებამოსილებები პირველად გამოიყენა პირველი კოლეგიის მოსამართლემ - მერაბ ტურავამ და პლენუმს პოლიტიკურად მგრძნობიარე 3 საქმეზე („რუსთავი 2-ის“, გიგი უგულავას და ე.წ. „კაბელების“ საქმეების კონსტიტუციური სარჩელები) გადაცემის შუამდგომლობით მიმართა. პლენუმმა შუამდგომლობა 15 ივნისს დააკმაყოფილა და ეს საქმეები არსებითად განსახილველად მიიღო. როგორც იმ დროს პირველი კოლეგიის მოსამართლე ქეთევან ერემაძე იხსენებს, ამ საქმეებიდან ორზე არსებითი განხილვის სხდომა მეორე დღეს იყო ჩანიშნული, ხოლო „რუსთავი 2-ის“ საქმის არსებითი განხილვა სასამართლოს დასრულებული ჰქონდა და რამდენიმე დღეში გეგმავდა გადაწყვეტილების გამოცხადებას.¹⁰³

ამ პროცესზე განსხვავებულ განმარტებას აკეთებდა მერაბ ტურავაც. ტურავას განცხადებით, „რუსთავი 2-ის“ საქმეზე, რომელზეც სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება 10 ივნისს გამოაცხადა, საკონსტიტუციო გადაწყვეტილების გამოცხადება იმ დროისთვის არ იგეგმებოდა.¹⁰⁴ ამგვარად, ტურავა ირწმუნებოდა, რომ მისი მიზანი საქმის გაჭიანურება არ ყოფილა. თუმცა, რეალურად, პლენუმისთვის საქმეების გადაცემით, „რუსთავი 2-ის“ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა იმდენად გახანგრძლივდა, რომ ამასობაში - 2016 წლის 30 სექტემბერს - პირველი კოლეგიის დანარჩენ მოსამართლეებს უფლებამოსილების ვადა ამოეწურათ. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას (2017 წლის 29 დეკემბერი)¹⁰⁵ წინ უძღოდა ამ საქმეზე ზემო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლებმაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას რეალურად აზრი დაუკარგა, მისი რეტროაქტიული ეფექტის არარსებობის გამო. გიორგი

¹⁰³ ქეთევან ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 39.

¹⁰⁴ ნეტგაზეთი, ტურავა: რუსთავი 2-ის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ დავასწრებდით, 17 ივნისი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/law/123845/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

უგულავასა და ე.წ. „კაბელების საქმეზე“ გადაწყვეტილება კი სასამართლომ 8 წლის შემდეგ, 2024 წლის 7 ივნისს გამოაცხადა და არ დააკმაყოფილა.¹⁰⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ცვლილებები მალევე გასაჩივრდა თავად სასამართლოში საპარლამენტო უმცირესობის და სამოქალაქო სექტორის მიერ. ეს უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანად დაეცვა საკუთარი თავი. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ ამ პერიოდში პოლიტიკური ხელისუფლების პირველადი მიზანი - „ურჩი მოსამართლეების“ სასამართლოდან გაშვება და კანონმდებლობის საკუთარი მიზნებისთვის მორგება - მიღწეული იყო, სასამართლომ ამ პროცესს თავი ბოლომდე წარმატებულად ვერ გაართვა. პირველ ჯერზე, მაშინ როდესაც სასამართლო ჯერ კიდევ „ძველი“ შემადგენლობით ფუნქციონირებდა - საოქმო ჩანაწერით ამ საქმეზე სასამართლომ არ შეაჩერა სადავო ნორმების მოქმედება,¹⁰⁷ რაც საქმის განხილვას განსხვავებული საკანონმდებლო მოცემულობით გამოიწვევდა.

ამასთანავე, ამ ერთგვარად გარდამავალ პერიოდში ძალიან კარგად გამოჩნდა პოლიტიკური ხელისუფლების ძალისხმევის პირველადი შედეგები, როდესაც დარჩენილმა მოსამართლეებმა, რომლებიც დაყვნენ პოლიტიკური ხელისუფლების ძალისხმევას, ხელი შეუწყვეს მის გეგმას და განაპირობეს ახალი საკანონმდებლო ცვლილებების წარმატება. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, მათ აქტიურად შეუწყვეს ხელი სასამართლოს შიგნიდან მოშლას და მისი ლეგიტიმაციის ეროზიას.¹⁰⁸

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ 2016 წლის 21 ივლისს საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სასამართლოს ცალკეულ მოსამართლეებზე ხორციელდებოდა ზეწოლა და თვალთვალი მათი დამანტაჟების მიზნით. ამ განცხადებით მოგვიანებით პროკურატურაც დაინტერესდა და გამოძიება დაიწყო, თუმცა, ცხადია, უშედეგოდ.¹⁰⁹ ამასთანავე, სასამართლოს ხუთმა მოსამართლემ¹¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს განცხადებით¹¹¹ მიმართა, სადაც პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეების დაჩქარებული წესით განხილვაში დაადანაშაულა და მისივე განცხადებაზე გამოძიების დასრულებამდე განხილვის დროებით შეჩერებისკენ მოუწოდა. პაპუაშვილმა ეს

¹⁰⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება N3/1/740, 764 საქმეზე „გიორგი უგულავა, ნუგზარ კაიშაური, დავით წიფურია, გიზო ღლონტი, გიორგი ლომჯანიძე და არჩილ ალავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2016 წლის 17 ივნისის N3/4/768,769 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს პარლამენტის ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁰⁸ დავით ზედელაშვილი, თაბარ ქეცაია, „საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის რეფორმა: სრული ინსტიტუციონალიზაცია და სისტემური მიუკერძოებლობა“, გნომონ ვაისი, 2024, გვ. 72-73

¹⁰⁹ რადიო თავისუფლება, მთავარი პროკურატურა გიორგი პაპუაშვილის განცხადებით დაინტერესდა, ივლისი 21, 2016, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/27871862.html> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹¹⁰ ზაზა თავაძე, ლალი ფაფიაშვილი, თამაზ ცაბუტაშვილი, ოთარ სიჭინავა და მერაბ ტურავა.

¹¹¹ ნეტგაზეთი, 5 მოსამართლის მიმართვა გიორგი პაპუაშვილს და რუსთავი 2-ის საქმე, 29 ივლისი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/131911/> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და აბსურდულად შეაფასა სასამართლოს მხრიდან ადამიანის უფლებების ეფექტიანად დასაცავად პროკურატურის ან სხვა რომელიმე უწყებისთვის დალოდება.¹¹² თუმცა განცხადებაზე ხელმომწერმა მოსამართლეებმა საქმეების გაჭიანურება პრაქტიკაში მაინც შეძლეს. მაგალითად, მოსამართლე ლალი ფაფიაშვილმა, „რუსთავი 2“-ის ეთერში დედამისზე გასული სიუჟეტის შემდეგ სასამართლოს მიმართა და ე.წ. გახმაურებული საქმეების განხილვაში მონაწილეობისგან თვითაცილება მოითხოვა. მანამდე პერიოდში პლენუმისთვის გადაცემული ე.წ. „კაბელების“ და გიგი უგულავას გაერთიანებული საქმეების განხილვა რამდენჯერმე გადაიდო.¹¹³ მოსამართლე ოთარ სიჭინავა სასამართლო სხდომის გამართვის დღეს მედიამ თბილისში ძაღლების გასეირნებისას დააფიქსირა.¹¹⁴ სხდომებზე ასევე არ გამოცხადდა მერაბ ტურავა.

საბოლოოდ, როგორც აღინიშნა, ამ 3 საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებამდე სასამართლოს შემადგენლობა მნიშვნელოვნად განახლდა, რადგან იმ 4 მოსამართლეს, რომლებიც პოლიტიკური ხელისუფლებისთვის მიუღებლები იყვნენ, უფლებამოსილების ვადა ამოეწურათ.

საკუთარი უფლებამოსილებების მომწესრიგებელ კანონმდებლობაზე საბოლოო გადაწყვეტილება¹¹⁵ კი, საკონსტიტუციო სასამართლომ განახლებული შემადგენლობით - **2016 წლის ბოლოს, 29 დეკემბრის მიიღო**, სადაც არაკონსტიტუციურად შეაფასა:

- სასამართლოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის განმეორებით არჩევის აკრძალვა;¹¹⁶
- საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა 10-წლიანი ვადის ამოწურვისთანავე, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ არ აირჩია/დანიშნა სასამართლოს ახალი წევრი და, ეს საქმის განხილვის სათანადო კვორუმის არარსებობის გამო შეუძლებელს ხდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებას;¹¹⁷
- პლენუმის მიერ გადაწყვეტილების მიღება „სრული“ შემადგენლობის უმრავლესობით. ასევე ორგანული კანონზე გადაწყვეტილების მიღებისას მაღალი კვორუმის მოთხოვნა;¹¹⁸
- პლენუმის ექსკლუზიური კომპეტენცია სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზე;¹¹⁹

¹¹² ნეტგაზეთი, პაპუაშვილი მოსამართლეების წერილზე: სიცხეს და გამოძიებით მიღებულ სტრესებს დავაბრალოთ, 29 ივლისი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/131914/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹¹³ ნეტგაზეთი, მოსამართლე ლალი ფაფიაშვილი გახმაურებულ საქმეებზე თვითაცილებას ითხოვს, 30 აგვისტო, 2016, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/137735/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹¹⁴ ნეტგაზეთი, გვარამიას თქმით, ოთარ სიჭინავა იუსტიციის საბჭოში სააკაშვილის მეზობლობის გამო დაინიშნა, 1 სექტემბერი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/138387/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2016 წლის 19 დეკემბრის N 3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹¹⁶ იქვე, პარა. 2.52.

¹¹⁷ იქვე, პარა. 2.89.

¹¹⁸ გამონაკლისად დარჩა კონკრეტულ თემებზე 7 წევრის კვორუმი და 6 კაციანი თანხმობა (44-ე მუხლი).

¹¹⁹ ძალაში დარჩა პლენუმის მიერ ორგანული კანონის განხილვის შესაძლებლობა; გადაწყვეტილება. პარა. 2.164

- გადაწყვეტილების სრული ტექსტის გამოცხადების ვალდებულება.

ყველაზე პრობლემური ჩანაწერი - კოლეგიის წევრის მიერ პლენუმისთვის საქმის გადაცემა - არ იქნა მიჩნეული არაკონსტიტუციურად, თუმცა განისაზღვრა, რომ პლენუმს შეუძლია, უბრალო უმრავლესობით უთხრას უარი საქმის განსახილველად მიღებაზე.¹²⁰

შედეგად, პრობლემური საკითხების უმრავლესობა კი გაუქმდა, მაგრამ რეალურად ის დროებითი მიზანი, რაც კანონმდებელს ჰქონდა - პოლიტიკურად მისთვის მგრძნობიარე საქმეების გაჭიანურება იმდენად, რომ პირველი კოლეგიის მოსამართლეები შეცვლილიყვნენ, მმართველმა გუნდმა მოკლევადიან პერსპექტივაში წარმატებით განახორციელა.

როგორც ყოფილი მოსამართლე, ქეთევან ერემაძე იხსენებს: „დაგვიანებულმა გამოფხიზლებამ დამაჯერებელი გახდა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი ხელისუფლებისთვის უკვე მიღწეული იყო, შესაბამისად, დაინტერესება, რაზეც არაორაზროვნად მიანიშნა ასევე ხელისუფლების უჩვეულო დუმილმა გადაწყვეტილების შედეგებთან დაკავშირებით. არცერთი კრიტიკული მოსაზრება, მცირედი უკმაყოფილება ან თუნდაც ერთი არგუმენტი იმ საკანონმდებლო ცვლილებების უმეტესობის არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით, რომელთა მიღების სასიცოცხლო აუცილებლობაზე ხმამაღლა საუბრობდნენ მისი ინიციატორები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები“.¹²¹

დასკვნის სახით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე, როდესაც „ქართულ ოცნებას“ პირველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოცდა უნდა გაეევლო და გარკვეულიყო, ქართული საზოგადოება კიდევ ერთი ვადით მისცემდა თუ არა მას სახელისუფლებო მანდატს, მმართველმა პარტიამ საკონსტიტუციო სასამართლოს განეიტრალების მოკლევადიანი გეგმა წარმატებით განახორციელა. მოსამართლეები, რომლებმაც უარი თქვეს მისთვის პოლიტიკურად მისაღები გადაწყვეტილებების მიღებაზე, სასამართლოში აღარ იყვნენ. სასამართლოს დასასუსტებლად მიღებულ კანონმდებლობაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა „ოცნებამ“, ერთი მხრივ, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების ნაწილობრივ და პრეზიდენტის შენიშვნების სრულად გათვალისწინების შედეგად შეიმსუბუქა, მეორე მხრივ კი, თავად სასამართლომ ვერ შეძლო საკუთარი თავის ბოლომდე ეფექტიანად დაცვა. თუკი წინამდებარე დოკუმენტის მეორე თავში ჩვენს მიერ განხილულ, აპექს სასამართლოების დამორჩილების თეორიულ ჩარჩოს შევხედავთ, ამ პერიოდში პოლიტიკურმა ხელისუფლებამ საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური დამორჩილების ფორმალური და არაფორმალური დამორჩილების ბევრი ელემენტი გამოიყენა, სასამართლოს რეპუტაციის დაზიანების, საქმეთა გაჭიანურების, სასამართლოს საქმიანობის შეფერხების, მისი უფლებამოსილებების შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებების მიღების თუ პერსონალური დანიშვნების სახით, რამაც საკანონმდებლო რეფორმის ტარგეტირებულად გამოყენებასთან ტანდემში პოლიტიკური ხელისუფლებისთვის გარკვეულ მყისიერ დადებით შედეგებს მიაღწია.

¹²⁰ პარა. 2.179.

¹²¹ ქეთევან ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018, გვ. 47.

აშკარა იყო, რომ ამ კრიზისული პერიოდის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოს რეპუტაცია და მის მიმართ საზოგადოებრივი ნდობა მნიშვნელოვნად დაზიანდა და სამართლიანადაც. თუმცა სამოქალაქო სექტორს და ფართო საზოგადოებას მაინც შემდგომი წლები დასჭირდა იმისათვის, რათა სასამართლოს პოლიტიკური დამორჩილების სამწუხარო ფაქტისთვის თვალი გაესწორებინა, მიუხედავად იმისა, რომ რეტროსპექტივაში ეს პროცესი სწორედ 2016 წელს დასრულდა და არა შემდგომ პერიოდში, პოლიტიკური ხელისუფლებისათვის მისაღები პირების მოსამართლეებად გამწესების, მნიშვნელოვან საქმეთა წლობით გაჭიანურებისა და მოგვიანებით უკვე საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმების დამკვიდრების შედეგად. საფიქრებელია, რომ დიდწილად სწორედ ამით არის გამოწვეული საერთო სასამართლოების სისტემის კრიტიკაზე კონსენსუსისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრობლემებზე კრიტიკული შეფასებების ნაკლებობა. წინამდებარე კვლევაც, მათ შორის, ამ დანაკლისის შევსების მცდელობაა.

თუმცა სრული სურათის წარმოჩენისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს გარშემო განვითარებული მოვლენები, რომლებმაც მისი სავალალო ბედი საბოლოოდ ცხადყო. სწორედ ამ პერიოდში, საპარლამენტო არჩევნების შედეგად კონსტიტუციური უმრავლესობით დაბრუნებულმა „ქართულმა ოცნებამ“, სასამართლოს უფლებამოსილებების შემდგომი შეზღუდვების მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებები განახორციელა, ასევე, ამ და მომდევნო საპარლამენტო ვადაში დაასრულა სასამართლოს მისთვის ლოიალური მოსამართლეებით სრულად დაკომპლექტების პროცესიც. ამასთანავე, თუკი 2016-2020 წლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს ნაწილობრივ განახლებული შემადგენლობა საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ძირითადად სუსტ ფორმებს მიმართავდა და სენსიტიურ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებას უმეტესად აჭიანურებდა, 2020 წლის შემდგომ, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებასთან ერთად, მისი მანევრირების სივრცე და, შესაბამისად, ხშირად ჩრდილში დარჩენის პრაქტიკა შეიცვალა. სწორედ ამ პერიოდში იქცა საკონსტიტუციო სასამართლო საბოლოოდ პოლიტიკური ხელისუფლების აქტიურ დამხმარედ მის ავტორიტარულ მისწრაფებებში. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის გაძლიერება, სისტემის დახურულობის ხარისხის ზრდა და განსხვავებული აზრის დევნა, რაც პირდაპირ აისახა საკონსტიტუციო სასამართლოში მომდევნო წლების პერსონალურ დანიშვნებზე, სადაც ძალაუფლება „კლანის“ ერთგულმა კადრებმა გადაიბარეს.

შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტის შემდგომი თავები სწორედ ამ მოვლენების და მის ფონზე საკონსტიტუციო კონტროლის პოლიტიკურად დამორჩილების პროცესის გაგრძელებისა და დასრულების ანალიზს ეთმობა.

„ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობა და 2017-2018 წლების ცვლილებები კონსტიტუციაში

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ კონსტიტუციური უმრავლესობა მიიღო. შესაბამისად, გასაკვირი არ იყო, რომ 2017 წელს მასშტაბური საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა და ის საკონსტიტუციო სასამართლოსაც შეეხო.

პირველ რიგში სასამართლოს ჩამოერთვა ფორმალური კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა, რაც, ერთი შეხედვით, ნაკლებად მნიშვნელოვანი, თუმცა რეალურად წონადი უფლებამოსილება იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში ჯერაც ძალაშია ჩანაწერი ამ სახის უფლებამოსილების შესახებ.¹²²

ფორმალური კონტროლის უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავდა და წყვეტდა საქართველოს კონსტიტუციასთან ქვეყნის საკანონმდებლო აქტებისა და პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის საგანი იყო ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების არა შინაარსი, მატერიალური მხარე, არამედ მათი ფორმალური მხარე და ის მიზნად ისახავდა საკანონმდებლო ხელისუფლების სამართალშემოქმედების პროცესში კონსტიტუციით დადგენილი წესების დაცვის უზრუნველყოფას. ნორმათა ფორმალურ კონტროლს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ, მართალია, კანონმდებლობით ის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების დამოუკიდებელ სახეობას წარმოადგენდა, მაგრამ, ამასთანავე, სასამართლოს შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თვითინიციატივით მისი განხორციელების სავალდებულობა ნორმათა კონტროლის თაობაზე სხვა უფლებამოსილებების განხორციელებისას. კანონმდებელი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ითვალისწინებდა ნორმატიული აქტების ნამდვილობის ზოგად წესს, რომლის თანახმად, ნორმატიულ აქტს იურიდიული ძალა არა აქვს არა მხოლოდ მაშინ, როცა მისი შინაარსი არ შეესაბამება კონსტიტუციას, არამედ მაშინაც, თუ დარღვეულია ნორმატიული აქტის მიღებისა და ამოქმედებისათვის კონსტიტუციით დადგენილი პროცედურა.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, ჯონი ხეცურიანი იმ დროისთვის აღნიშნავდა, „*საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ, შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც პარლამენტის რომელიმე საკანონმდებლო აქტი ან ნორმატიული დადგენილება თავისი შინაარსით კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ, ამასთანავე, უხეშად იყოს დარღვეული მისი მიღებისა და ამოქმედების კონსტიტუციით დადგენილი წესები. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის მექანიზმი ასეთი შემთხვევებისათვის აღარ იარსებებს და პარლამენტის შეკავება, რათა მან არ დაარღვიოს კონსტიტუცია, შეუძლებელი გახდება. ამიტომ*

¹²² „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

მიზანშეწონილი არ იყო ამ უფლებამოსილების ჩამორთმევა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის¹²³. ამგვარი შეფასება, სამწუხაროდ, მომდევნო წლებში რეალობა აღმოჩნდა, როდესაც პოლიტიკური კრიზისის გაღმავლებასთან ერთად პარლამენტმა ჯერ ნაწილობრივ, შემდგომში კი თითქმის სრულად უგულებელყო ნორმალური საკანონმდებლო პროცესის არსებითი პრინციპების დაცვა, თუმცა მისი სადავოდ გახდომის არც ფორმალური საფუძველი და არც მისი შემფასებელი დამოუკიდებელი და ძლიერი ინსტიტუცია ამ დროისთვის აღარ არსებობდა.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება უკვე კარგად ნაცნობ არჩევნებისა და რეფერენდუმის საკონსტიტუციო კონტროლის კომპეტენციას შეეხო. როგორც ყოფილი მოსამართლე, ქეთევან ერემაძე იხსენებს, მიზეზი საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი, ხელისუფლებისთვის „სკანდალური“ – 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება იყო. ამ გადაწყვეტილებით, მართალია, არ დაკმაყოფილდა პარლამენტის წევრთა ჯგუფის სარჩელი საარჩევნო ოლქების გადანაწილების წესის თაობაზე, თუმცა ერთ-ერთ სადავო საკითხზე 4 მოსამართლის განსხვავებულმა აზრმა მმართველი გუნდი, როგორც ჩანს, იმდენად შეაშინა, რომ არჩევნებისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე ნერვიულობის გამო სამართლებრივი ზომების მიღება გადაწყვიტა. კერძოდ, კონსტიტუციით დაუშვებლად გამოცხადდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 1 წლის განმავლობაში არ იყო მიღებული.¹²⁴ ამასთანავე, გადაწყვეტილება უნდა გამოცხადებულიყო შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა და პლენუმის შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობით. ვენეციის კომისიამ ეს ცვლილება გააკრიტიკა და მიუთითა, რომ კონკრეტულ პერიოდში საარჩევნო ნორმებზე ნებისმიერი სახის კონტროლის გამორიცხვა არაპროპორციული შეზღუდვა იყო.¹²⁵ პარლამენტს ვენეციის კომისიის რეკომენდაცია არ გაუთვალისწინებია, თუმცა ნორმა მცირედით შეიცვალა 2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ფარგლებში და 1 წელი 15 თვემდე გაიზარდა.

სასამართლოს შემადგენლობის განახლება

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შეფერხების და მისთვის პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეებზე გადაწყვეტილებების გაჭიანურების მოკლევადიანი მიზნების მიღწევის შემდეგ, დღის წესრიგში, საკონსტიტუციო სასამართლოს სრულად დამორჩილება დადგა. როგორც წინამდებარე დოკუმენტის მეორე თავში გაანალიზებული თეორიული ჩარჩოც მოწმობს, საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, პოლიტიკური ხელისუფლების

¹²³ ჯონი ხეცურიანი, საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალი, გვ. 37-38, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/prvX1Sak> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹²⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი.

¹²⁵ CDL-AD(2017)023, “Georgia – Opinion on the draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017, adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017), par. 44, available at: <https://cutt.ly/crvX0dDi> ; accessed on : 27.05.2025.

ხელთ სასამართლოს დამორჩილების მნიშვნელოვანი ბერკეტი მისი პერსონალის ცვლილებები, ანუ ახალი მოსამართლეების არჩევა/დანიშვნის პროცესი აღმოჩნდა.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 10 წლის ვადით გამწესებული 9 მოსამართლისაგან, რომელთაგან 3 მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 მოსამართლეს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი, ხოლო 3 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და გამორჩეული პროფესიული კვალიფიკაცია.¹²⁶

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლო კომპლექტდება პარიტეტის პრინციპის საფუძველზე, სადაც მოსამართლეთა დანიშვნების უფლებამოსილება სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოზეა გადანაწილებული. დემოკრატიულ სახელმწიფოებში დანიშვნების ამგვარი წესი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ამ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ორგანოს დაკომპლექტების პროცესში უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების ჩართულობას და, შესაბამისად, მისი ლეგიტიმაციის მაღალ ხარისხს. მეორე მხრივ კი, ის ერთგვარი დამზღვევი მექანიზმია, რათა კონკრეტული პოლიტიკური ხელისუფლების ხელთ არ აღმოჩნდეს სასამართლოს აბსოლუტური უმრავლესობის დაკომპლექტება მისთვის მისაღები მოსამართლეებით, თუკი ამის ცდუნება იარსებებს. ცხადია, ამგვარი პოლიტიკური ცდუნება მუდმივად ჩნდება არა მხოლოდ საქართველოს მსგავს, არამედ შემდგარი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებშიც. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვერცერთი პრინციპი ვერ დააზღვევს შემთხვევას, როდესაც კონკრეტული პოლიტიკური პარტია ხელისუფლებას ხანგრძლივი დროით, სულაც 4 საპარლამენტო ვადის განმავლობაში ინარჩუნებს, რამდენადაც იმ სხვა სახელმწიფო ორგანოების/თანამდებობების დაკომპლექტება - განსაკუთრებით საპარლამენტო რესპუბლიკებში - რომლებიც, თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს აკომპლექტებენ, უმთავრესად საკანონმდებლო ორგანოს ხელშია. შესაბამისად, გასაკვირიც არ არის ის სურათი, რაც 2025 წლის მდგომარეობით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მივიღეთ, როდესაც მისი შემადგენლობა ფაქტობრივად სრულად განახლდა სწორედ „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლისთვის კონსტიტუციით დადგენილ მოთხოვნებს, ისინი საკმაოდ ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათისაა და ძირითადად ასაკობრივ ცენზსა და სამუშაო გამოცდილებას უკავშირდება. დამატებით, მნიშვნელოვან კომპონენტად უნდა ჩაითვალოს მოთხოვნა კანდიდატის გამორჩეულ კვალიფიკაციაზე, თუმცა ჩანაწერი არაფერს ამბობს კანდიდატის რეპუტაციასა თუ მის კეთილსინდისიერებაზე, როგორც, მაგალითად, ეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შემთხვევაშია, რომელთა კანდიდატებიც კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კონსტიტუციურ

¹²⁶ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი.

კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ. ეს კრიტერიუმები კი დეტალურად ქვემდებარე კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს 4 მოსამართლეს - გიორგი პაპუაშვილს, კონსტანტინე ვარძელაშვილს, ქეთევან ერემაძეს და ოთარ სიჭინავას - უფლებამოსილების ვადა 2016 წლის 30 სექტემბერს ამოეწურა. ამათგან, პირველი სამი მოსამართლე იყო ის, ვინც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან კოოპტაციაზე უარი თქვა. შესაბამისად, მათი ჩანაცვლება, ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევდა სასამართლოში მომდევნო წლების განმავლობაში და ეს გარკვეულწილად ასეც მოხდა. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ იმ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტი - გიორგი მარგველაშვილი, რომელიც არჩევისას „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი იყო, მალე ამ უკანასკნელთან უთანხმოებაში აღმოჩნდა და თანამდებობაზე მისი ყოფნის დროის გასვლასთან ერთად ეს აზრთა სხვადასხვაობა კიდევ უფრო გამწვავდა.

გიორგი პაპუაშვილი და კონსტანტინე ვარძელაშვილი თანამდებობაზე საქართველოს პრეზიდენტის კვოტით იყვნენ გამწესებულები, ქეთევან ერემაძე - პარლამენტის მიერ იყო არჩეული, ოთარ სიჭინავა კი მოსამართლედ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა წარადგინა.

მათ შემცვლელებად, შესაბამისად, გიორგი მარგველაშვილმა - **გიორგი კვერენჩილაძე** და **ირინე იმერლიშვილი** წარადგინა, ოთარ სიჭინავას ნაცვლად კი უზენაესი სასამართლოს პლენუმმა **თეიმურაზ ტულუში დანიშნა**. სამივე მოსამართლემ ფიცი 2016 წლის 2 ოქტომბერს დადო. რაც შეეხება პარლამენტის კვოტით ასარჩევ კანდიდატურას, ქეთევან ერემაძის შემცვლელად პარლამენტმა **მანანა კობახიძე** აირჩია. კობახიძე უფლებამოსილების განხორციელებას 2017 წლის 15 თებერვლიდან შეუდგა.

გიორგი კვერენჩილაძის წარდგენა პრეზიდენტის მხრიდან არ ყოფილა მოულოდნელი გადაწყვეტილება, რამდენადაც მისი პროფესიული კვალიფიკაცია და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა სწორედ კონსტიტუციურ სამართალს უკავშირდება. კვერენჩილაძე 2006-2007 წლებში საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის უფროსი იყო. გარდა ამისა, ის ორგზის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრია და დღემდე ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით.¹²⁷ ამასთანავე, მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში - 2014-2016 წლებში - ის საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი იყო. სწორედ საპარლამენტო მდივნის რანგში გამოთქვამდა ის კრიტიკას საერთო სასამართლოების სისტემაში, განსაკუთრებით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული პრობლემების და საზოგადოების მხრიდან ამ ინსტიტუციის მიმართ ნდობის ნაკლებობის თაობაზე.¹²⁸

¹²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი, მოქმედი მოსამართლეები, გიორგი კვერენჩილაძის ბიოგრაფია, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/brvX7VRQ>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹²⁸ ნეტგაზეთი, კვერენჩილაძე: იუსტიციის საბჭო ამ შემადგენლობით შეუთავსებელია მართლმსაჯულების იდეასთან, 11 თებერვალი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/law/94974/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

სწორედ 2016 წელს დანიშნულ მოსამართლეებთან, თეიმურაზ ტულუშთან და ირინე იმერლიშვილთან ერთად, გიორგი კვერენჩილაძეა ის ერთ-ერთი მოსამართლე, რომელსაც სასამართლოს ბოლო წლების პრაქტიკაზე მეტი განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული.

გიორგი კვერენჩილაძისგან განსხვავებით, **ირინე იმერლიშვილის** პროფესიული საქმიანობა, მათ შორის, „ქართული ოცნების“ პერიოდში, დაკავშირებული იყო პოლიტიკურ საქმიანობასთან. ის იყო მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი, მათ შორის, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის თანაავტორიც. საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლედ გამწესებამდე იმერლიშვილი ასევე იყო ეროვნული უშიშროების საბჭოში პრეზიდენტის - გიორგი მარგველაშვილის თანაშემწე და ასევე უშიშროების საბჭოს მდივანი.¹²⁹

რაც შეეხება **თეიმურაზ ტულუშს**, მისი პროფესიული საქმიანობა მოსამართლედ გამწესებამდე 10 წლის განმავლობაში - 2006-2016 წლებში უკავშირდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს და სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე საქმიანობას.¹³⁰

თუმცა საინტერესო და ერთობ საკამათოა ის ფაქტი, რომ თეიმურაზ ტულუშში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ უზენაესი სასამართლოს პლენუმმა დანიშნა 2016 წელს, იმ პერიოდისთვის, როდესაც საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ გავლენებსა და პრობლემებზე, ასევე გაჭიანურებულ რეფორმებზე აქტიურად საუბრობდა საზოგადოება და სამოქალაქო სექტორი. ამ ფაქტის მიუხედავად, ტულუშში დღემდე რჩება იმ გამონაკლისის მოსამართლედ, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ყველაზე პრინციპული და კონსტიტუციური სტანდარტების ერთგული განსხვავებული აზრები აქვს დაწერილი, რაც უფრო დეტალურად მომდევნო ქვეთავში, სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული ანალიზისას იქნება განხილული.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიმდინარე შემადგენლობაში ირინე იმერლიშვილი არ არის ერთადერთი მოსამართლე, რომლის წარსული საქმიანობაც პოლიტიკასთან და კონკრეტულად „ქართულ ოცნებასთან“ მჭიდროდ არის დაკავშირებული. ასეთი მოსამართლეა **მანანა კობახიძე**.

კობახიძის პროფესიული ბიოგრაფია მის პოლიტიკურ კარიერამდე კერძო საადვოკატო საქმიანობას და არასამთავრობო სექტორში მუშაობას მოიცავს. ის წლების განმავლობაში საქმიანობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მათ შორის, იყო ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორიც. ის იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრიც. თუმცა 2012 წლიდან მანანა კობახიძის საქმიანობა აქტიურად უკავშირდება „ქართულ ოცნებას. ის „ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა და ორი მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. ამ

¹²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი, მოქმედი მოსამართლეები, ირინე იმერლიშვილის ბიოგრაფია, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/zrvCqCYj>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი, მოქმედი მოსამართლეები, თეიმურაზ ტულუშის ბიოგრაფია, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/RrvCwhBb>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

პერიოდში კობახიძეს ეკავა როგორც პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, ასევე იყო ორი საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

ამგვარად, მანანა კობახიძე ერთ-ერთია იმ მოსამართლეთაგან, რომლებმაც პოლიტიკური ხელისუფლებიდან პირდაპირ სასამართლოში გადაინაცვლეს იმგვარად, რომ სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება არ ჰქონიათ. მისი პოლიტიკური საქმიანობა ასევე უკავშირდება რამდენიმე კორუფციულ სკანდალს, რომლებთან დაკავშირებითაც საზოგადოებას საბოლოო და ამომწურავი პასუხი საგამოძიებო ორგანოების მხრიდან, სამწუხაროდ, არ მიუღია.

კერძოდ, 2016 წლის არჩევნებამდე 1 წლით ადრე თბილისის საკრებულოს დეპუტატმა და შეწყალების კომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა (2013-2014 წლებში) ალექსანდრე ელისაშვილმა მანანა კობახიძეს, დეპუტატ ეკა ბესელიასთან ერთად (რომელიც იმ დროისთვის პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო), შეწყალების თემაზე კორუფციულ გარიგებაში დასდო ბრალი.¹³¹ პროკურატურამ ამ საქმეზე დაწყებული გამოძიება ბრალის წაყენების გარეშე შეწყვიტა და განაცხადა, რომ ფაქტები არ დადასტურდა.¹³² კობახიძე ელისაშვილის წარდგენილ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა, თუმცა, იმავე დროს, საუბრობდა მის ინტერესზე ამ საქმესთან დაკავშირებული მსჯავრდებული პირების მიმართ, რადგან ის ხუთი წლით ადრე მიმდინარე სასამართლო პროცესზე მათი ადვოკატი იყო. კობახიძის თქმით, მას მიაჩნდა, რომ ეს საქმე „შეთითხნილი“ იყო და აცხადებდა, რომ შეწყალების კომისიას სთხოვდა განაცხადის შესწავლას, რათა ეს საქმე „თაროზე არ შემოდებულიყო“.¹³³

2016 წელს კორუფციული ბრალდებები გამოითქვა მანანა კობახიძის ძმის - თედო კობახიძის მიმართაც. კობახიძეს, როგორც თბილისის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს, მისი ყოფილი თანამშრომელი ტელეკომპანია „რუსთავი 2-თან“ საუბარში ფულის გამოძალვაში ადანაშაულებდა.¹³⁴¹³⁵ თავად მანანა კობახიძემ ამ ბრალდებებს საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მის წინააღმდეგ წამოწყებული „ცილისმწამებლური“ და „მიზანმიმართული კამპანია“ უწოდა და მერიის ყოფილი თანამშრომელი თავად დაადანაშაულა ფულის გამოძალვის მცდელობაში. კობახიძემ საგამოძიებო ორგანოებსაც მიმართა.¹³⁶ ამ საქმეზე გამოძიების დაწყებას მოითხოვდნენ

¹³¹ Civil.ge, ელისაშვილი ქართული ოცნების ორ დეპუტატს ზეგავლენით ვაჭრობაში ადანაშაულებს და საპარლამენტო გამოძიებას ითხოვს, 23 დეკემბერი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/irvCrbKX> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹³² Civil.ge, პროკურატურამ შეწყალების მიზნით ზეგავლენით შესაძლო ვაჭრობის საქმეზე გამოძიება ბრალის წაყენების გარეშე შეწყვიტა, 19 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ArvCtcaH> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹³³ Civil.ge, ელისაშვილი ქართული ოცნების ორ დეპუტატს ზეგავლენით ვაჭრობაში ადანაშაულებს და საპარლამენტო გამოძიებას ითხოვს, 23 დეკემბერი, 2015.

¹³⁴ ტაბულა, კახიძე: თედო კობახიძის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზე გამოძიება უნდა დაიწყოს, 22 აგვ, 2016, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/3rvCyWZC> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹³⁵ ტაბულა, საკრებულოს ყოფილი თანამშრომელი თედო კობახიძეს ფულის გამოძალვაში ადანაშაულებს, 12 ივნ, 2016, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/9rvCui8x> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025

¹³⁶ ტაბულა, კობახიძე: არ გამოუვათ ჩემი საქმიანი რეპუტაციის შელახვა, 13 ივნ, 2016, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/brvCu2Rs> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც და მიუთითებდნენ, რომ დაწყების გაჭიანურება საზოგადოებაში უნდობლობას აღრმავებდა.¹³⁷

მანანა კობახიძის პოლიტიკური კარიერისა და ზემოაღნიშნული ბრალდებების გათვალისწინებით, მის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ არჩევას კრიტიკულად შეხვდა საზოგადოებაც. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ კობახიძის კანდიდატურა ასაკობრივი ცენზისა და პროფესიული განათლების კუთხით აკმაყოფილებდა კანონის ფორმალურ მოთხოვნებს, ხელისუფლების მიერ მისი არჩევა დამაზიანებელი იყო სასამართლოს ავტორიტეტისთვის და სასამართლოს პოლიტიკების რისკებს აჩენდა.¹³⁸

2019 წელს ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაკეთებული ფარული ჩანაწერების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის, „ანი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,¹³⁹ (ე.წ. „აიისას“ საქმე) არსებითი განხილვის დაწყების შემდეგ ერთ-ერთმა სასულიერო პირმა მოსამართლე მანანა კობახიძეს ამ საქმის დეტალებზე სასაუბროდ დაურეკა. კობახიძე იმ კოლეგიის წევრი იყო, რომელიც ამ საქმეს განიხილავდა. როგორც მედიაში გავრცელებული დოკუმენტებიდან ირკვეოდა, სასულიერო პირმა თქვა, რომ საპატრიარქო პროცესს აკვირდებოდა და ამასთანავე, მან რჩევა ჰკითხა მოსამართლეს, როგორ შეეძლო ეკლესიას საკუთარი პოზიცია გამოეხატა და დაეცვა. ფარული ჩანაწერების თანახმად, კობახიძე პიროვნულად იზიარებდა ეკლესიის პოზიციას, თუმცა ეთიკის ნორმების გათვალისწინებით, ამაზე საჯაროდ ვერ ისაუბრებდა. შესაბამისად, მან საუბრის მონაწილეს სასამართლო მეგობრის ინსტიტუტის გამოყენებაზე და საპატრიარქოს პოზიციის ამგვარად წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე რჩევა მისცა.¹⁴⁰ კომუნიკაციის რეალურობას იმ დროისთვის ადასტურებდა საუბრის მონაწილე სასულიერო პირიც. კომუნიკაცია, თუმცა არა საუბრის შინაარსის ნამდვილობა, დაადასტურა თავად კობახიძემაც, და მალევე პროკურატურას დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნითაც მიმართა.¹⁴¹ „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ (GDI), რომელიც მოცემულ საქმეზე მოსარჩელის ინტერესებს იცავდა, საკონსტიტუციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა და მანანა კობახიძის აცილება, ასევე მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება მოითხოვა.¹⁴² სასამართლომ

¹³⁷ ტაბულა, მარიკაშვილი: პროკურატურის მიერ საქმის დაწყების დაგვიანება უნდობლობას აღრმავებს, 13 ივნ, 2016, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/1rev> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹³⁸ საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ მანანა კობახიძის წარდგენა ხელყოფს სასამართლოს ავტორიტეტს, 23 იანვარი, 2017, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/IrvCaljS> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის N2/15/1423 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ანი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁴⁰ ტაბულა, სუს-ის ფაილები: აიისას საქმის განხილვისას კობახიძე ეკლესიას იურიდიულ კონსულტაციას უწევდა, 15 სექ, 2021, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/5osc> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁴¹ ტაბულა, მანანა კობახიძემ სუს-ის კრებების საქმეზე იჩილა და დაზარალებულის სტატუსს ითხოვს, 29 ივნ, 2022, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/627f> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁴² ტაბულა, GDI-მ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსგან აიისას საქმეზე კობახიძის აცილება მოითხოვა, 22 სექ, 2021, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/5p22> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მეტიც, მანანა კობახიძე მალევე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და მეორე კოლეგიის თავმჯდომარედ აირჩიეს.¹⁴³

2017 წლის დეკემბერში უფლებამოსილების ვადა ამოეწურა საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ მოსამართლეს - ლალი ფაფიაშვილს, მის ნაცვლად კი საქართველოს პარლამენტმა **ევა გოცირიძე** აირჩია, რომელიც უფლებამოსილების განხორციელებას 2018 წლის იანვრიდან შეუდგა. გოცირიძის სახელი მის მიერ გამოთქმულ არაერთ პრობლემურ შეფასებასა და პოზიციას, ასევე საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ლიდერების დანიშვნებს უკავშირდება, რომ აღარაფერი ითქვას უკვე თავად საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მიერ მიერ მხარდაჭერილ არაერთ კონსტიტუციურ-სამართლებრივად პრობლემურ გადაწყვეტილებაზე, თუ გამოთქმულ განსხვავებულ და თანხვედრ აზრებზე.

ევა გოცირიძის პროფესიული ბიოგრაფია 1990-2000-იან წლებში საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკავშირდება, სადაც ის სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა. ის აქტიურად ეწეოდა და დღემდე ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. გოცირიძე ასევე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი 2013-2017 წლებში - ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ პერიოდში. ის იყო ერთ-ერთი საბჭოს წევრებიდან, რომელმაც მხარი დაუჭირა ლევან მურუსიძის სააპელაციო სასამართლოში დანიშვნას. მურუსიძე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2015 წლის ბოლოს, 10 ხმით¹⁴⁴ აირჩია.¹⁴⁵

როგორც თავად ევა გოცირიძემ განმარტა, ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზეზი ლევან მურუსიძის მიმართ მოსამართლეთა კორპუსის „უპრეცედენტო მხარდაჭერა“ იყო. გოცირიძის თქმით, „გადაწყვეტილება მივიღეთ, როგორც სახელმწიფო მოხელეებმა, ჩვენ უპირატესობა მივიღეთ, მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპს, იმას, რომ ბატონ ლევანს [მურუსიძეს] უჭერდა მთელი კორპუსი მხარს. მისი სამსახურიდან გაშვებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეტად უსიამოვნო პროცესები მთელ სასამართლო სისტემაში. ჩვენ გადაწყვეტილება მივიღეთ სასამართლო სისტემის სტაბილურობის სასარგებლოდ“.¹⁴⁶ იმ პირობებში, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა ცხადად განსაზღვრავს მოსამართლის შერჩევის კრიტერიუმებს (კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა), სრულიად გაუგებარი იყო გოცირიძის განმარტება მის მოტივებთან დაკავშირებით, რომ აღარაფერი ითქვას ლევან მურუსიძის პროფესიულ წარსულსა და მოსამართლეთა არაფორმალური გავლენიანი ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერობაზე. სწორედ მურუსიძე იყო ერთ-ერთი პირველი იმ მოსამართლეებს

¹⁴³ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების ნაცვლად მანანა კობახიძე დააწინაურეს, 2 დეკ, 2021, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/5sbr>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁴⁴ მურუსიძეს ხმა მისცეს თამარ ალანიაძე, მერაბ გაბინაშვილი, შოთა გეწაძე, ევა გოცირიძე, ილონა თოდუა, ვახტანგ თოდუა, ზაზა მეიშვილი, პაატა სილაგაძე, კახაბერ სოფრომაძე და ლევან თევზაძე.

¹⁴⁵ რადიო თავისუფლება, ლევან მურუსიძე ისევ მოსამართლეა, დეკემბერი 25, 2015, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ArvCk4GX>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁴⁶ ნეტგაზეთი, რატომ ეწინააღმდეგებიან არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ევა გოცირიძის კანდიდატურას, 28 ნოემბერი, 2017, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/237044/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

შორის, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში მონაწილეობის გამო“ დაასაჩქერა, „თანამდებობის ბოროტად გამოყენების, სამართლის უზენაესობისა და სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოებრივი ნდობისთვის ზიანის მიყენების“ ბრალდებით.¹⁴⁷

ევა გოცირიძე ასევე მონაწილეობდა 2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში, რომელიც იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. საინტერესოა, რომ კონკურსში მონაწილეობდა, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილიც.¹⁴⁸¹⁴⁹ კონკურსის შედეგად, საქართველოს მიერ შერჩეული 3 კანდიდატი წარედგინებოდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ შედგენილ მრჩეველთა კომიტეტს, რომელსაც უნდა შეემოწმებინა, წარდგენილი კანდიდატები აკმაყოფილებდნენ თუ არა კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. შემდეგ კი სია გადაეცემოდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას.

იმ პერიოდში, სახალხო დამცველმა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა, რომლებიც საკონკურსო კომისიის წევრები იყვნენ, არადაამკმაყოფილებლად შეაფასეს გოცირიძის გასაუბრება.¹⁵⁰ მიუხედავად ამისა, საკონკურსო კომისიის მიერ პირველ ეტაპზე შერჩეულ 5 კანდიდატურაში გოცირიძეც მოხვდა (ალექსანდრე ბარამიძე, ნანა მჭედლიძე, გიორგი ბადაშვილი, ანა დოლიძე და ევა გოცირიძე). მათგან 3 პირი საპარლამენტო ასამბლეისთვის წარსადგენად საბოლოოდ მთავრობამ შეარჩია და მხარი დაუჭირა ალექსანდრე ბარამიძის, გიორგი ბადაშვილისა და ევა გოცირიძის კანდიდატურებს. გოცირიძემ ნანა მჭედლიძე ჩაანაცვლა, რომელიც მისი კარიერული წინსვლის იმ ეტაპზე, ჩაითვალა, რომ ვერ აკმაყოფილებდა მოსამართლისთვის დადგენილ მაღალ კრიტერიუმებს.¹⁵¹ მთავრობის გადაწყვეტილებას მწვავე შეფასება მოჰყვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან, რამდენადაც ხელისუფლების შეფასებები აჩენდა განცდას, რომ „საჯარო კონკურსის მთლიანი პროცესი ფორმალურ ხასიათს ატარებდა და გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით მოხდა“.¹⁵² ამავე წლის სექტემბერში, პარიზში მოსამართლეთა შესარჩევი კომიტეტის სხდომაზე საქართველოდან წარდგენილი კანდიდატებიდან არცერთი არ დაუმტკიცებიათ.

¹⁴⁷ რადიო თავისუფლება, აშშ-მა საქართველოს 4 მოსამართლეს სანქციები დაუწესა, აპრილი 05, 2023, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32350958.html>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁴⁸ სულ 47 კანდიდატმა გამოთქვა კონკურსში მონაწილეობის სურვილი - იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ევა გოცირიძე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი კონსტანტინე კორკელია და სხვ.

¹⁴⁹ საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეობა 47 ადამიანს სურს, 11 თებ, 2016, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/fz1>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁵⁰ წულუკიანი: სამოქალაქო სექტორის შენიშვნები გაუგებარია, 29 თებ, 2016, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/vh7>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁵¹ სტრასბურგის მოსამართლეობისთვის ევა გოცირიძეც იბრძოლებს, 28 ივლ, 2016, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/1tiy>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁵² კოალიციის მიმართვა საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი 2016 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის კანდიდატურების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით. 11 მარტი 2016, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/GrvCvrtld>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

ევა გოცირიძეს ეკუთვნის კრიტიკული და პრობლემური შეფასება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 3 მარტის გადაწყვეტილებაზეც, რომლითაც ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საქმეზე უზენაესი სასამართლოს 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდა. გოცირიძის თქმით, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება მსუსხავ ეფექტს იქონიებდა მართლმსაჯულების ეფექტიანობაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ ყველა დავაზე, რომლებიც საქართველოს საერთო სასამართლოების წარმოებაში იმყოფებოდა და კიდევ უფრო გაახანგრძლივებდა ათწლეულების განმავლობაში, არსებულ სამართლებრივ გაურკვევლობას, გააძლიერებდა მხარეთა ნიჰილიზმსა და იმედს გაუცრუებდა ქართულ საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენისადმი მის მისწრაფებაში, რისი ლეგიტიმური მოლოდინიც მას გააჩნდა¹⁵³. მანამდე გოცირიძემ ასევე ღიად დაუჭირა მხარი მოსამართლე თამაზ ურთმელიძის 5 ნოემბრის განჩინებას, რომლის თანახმადაც, მოსამართლემ ეჭვქვეშ დააყენა შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის პარტნიორების მმართველობის პირობებში ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა და ტელეკომპანიაში დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ეს გადაწყვეტილება მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევად შეაფასეს,¹⁵⁴ მოგვიანებით კი საკონსტიტუციო სასამართლომ იმ ნორმების მოქმედება შეაჩერა, რომლებსაც ზემოაღნიშნული განჩინება ეფუძნებოდა. გოცირიძის თქმით, „როგორ შეიძლება, ყოფილიყო აღქმული და წაკითხული როგორც სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა, ჩემთვის არის დიდი საოცრება. ყველას შევახსენებ, რომ სამართლიანი რეპორტაჟის მეთოდი არის ის დებულება, ის საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპი, რომელიც საერთოა მთელ მსოფლიოში. ეს არის საერთო ევროპული სტანდარტი. მართლმსაჯულების ავტორიტეტი და პრესტიჟი არის აბსოლუტურად შეუვალი ღირებულება და მის დასაცავად შეიძლება, შეიზღუდოს ყველას გამოხატვის თავისუფლება, იმ ჟურნალისტთა გამოხატვის თავისუფლება, რომლებიც ავრცელებენ ცალმხრივ შეუმოწმებელ ინფორმაციებს“.¹⁵⁵ ეს განცხადება მწვავედ გააკრიტიკა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ანა ნაცვლიშვილმა, რომლის მითითებითაც „თვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, როდესაც ბალანსი არის გასავლები კერძო ინტერესსა და საჯარო ინტერესს შორის, ძალიან მკაფიო უპირატესობას ანიჭებს საჯარო ინტერესს. ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს საკუთრების უფლება უნდა შეილახოს, მაგრამ აქ საუბარია იმაზე, რომ ურთმელიძემ განჩინებაში ჩაწერა, რომ „რუსთავი 2“ ვერ ასრულებს იმ როლს, რომელსაც მედია უნდა ასრულებდეს დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ ეს არ არის მოსამართლის შესაფასებელი საკითხი, ამაზე უნდა იმსჯელოს მაყურებელმა“.¹⁵⁶

¹⁵³ გოცირიძე: აღსრულების შეჩერება მსუსხავ ეფექტს იქონიებს მართლმსაჯულების სისტემაზე, 14 მარ, 2017, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/28hj> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁵⁴ გოცირიძე: მართლმსაჯულების დასაცავად შეიძლება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, 9 ნოე, 2015, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/k3a> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ ნაცვლიშვილი: მედიის როლი არ არის მოსამართლის შესაფასებელი საკითხი, 9 ნოე, 2015, ხელმისაწვდომია: <http://tbl.ge/rp5> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლის კანდიდატების შესარჩევი პროცესის წარუმატებლად დასრულების შემდგომ, მალევე, ევა გოცირიძე პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია.¹⁵⁷ შერჩევის პროცესი სულ რამდენიმე დღე - 27 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე გაგრძელდა. გასაკვირი არ არის, რომ წინარე პროცესების გათვალისწინებით, გოცირიძის კანდიდატურა სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის კრიტიკის საგანი გახდა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მიუთითებდნენ როგორც პროცესის დაჩქარებულად და გაუმჭვირვალედ წარმართვაზე, ასევე საუბრობდნენ იმაზეც, რომ საზოგადოებას არ მიეცა საშუალება, ევა გოცირიძისთვის მნიშვნელოვანი კითხვები დაესვა მის პროფესიულ კარიერასა და საჯაროდ გამოთქმულ პოზიციებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მისი საქმიანობისას, რადგან სამოქალაქო სექტორს ჰქონდა კითხვები ამ პერიოდში მისი საქმიანობის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, მის პოზიციებზე „რუსთავი 2-ის“ საქმესთან, ასევე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ინიციატივებთან დაკავშირებით.

მოგვიანებით, საკონსტიტუციო სასამართლოს განვითარებული პრაქტიკით გამოიკვეთა, რომ ევა გოცირიძის საკამათო შეხედულებები ადამიანის უფლებებთან და თავად საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებთან დაკავშირებით გამონაკლისი არ აღმოჩნდა.

ევა გოცირიძის მოსამართლედ არჩევა, ფაქტობრივად, ბოლო პერსონალური ცვლილება იყო საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში 2020 წლამდე, კოვიდ-პანდემიამდე და ე.წ. „გავრილოვის ღამემდე“, რომლის შედეგადაც ქვეყანა მძიმე პოლიტიკურ კრიზისში შევიდა და დღეს „ქართული ოცნება“ უკვე ამ კრიზისს მზარდი ავტორიტარიზმის საბოლოო კონსოლიდაციისთვის იყენებს. სწორედ კოვიდ პანდემიის დროს, 2020 წლის პირველ ნახევარში გამწვანდა მოსამართლედ საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ ორი მოსამართლე - ხვიჩა კიკილაშვილი და ვასილ როინიშვილი უზენაესი სასამართლოს პლენუმის კვოტით, შემდეგ კი გიორგი თევდორაშვილი - 2021 წლის ზაფხულში, საქართველოს პრეზიდენტის კვოტით. ხვიჩა კიკილაშვილისა და ვასილ როინიშვილის არჩევიდან რამდენიმე დღეში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა სასამართლოს თავმჯდომარედ მერაბ ტურავა აირჩია. ტურავას პლენუმის 9 წევრიდან 5-მა დაუჭირა მხარი. მეორე კანდიდატმა - ირინე იმერლიშვილმა კი ოთხი ხმა მიიღო. ახლად გამწვანებული მოსამართლე როინიშვილი თავმჯდომარის მოადგილე და პირველი კოლეგიის თავმჯდომარე გახდა. ამ პროცესმა საზოგადოებაში საფუძვლიანი ეჭვები გააჩინა, რომ ტურავას სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევაში გადამწყვეტი როლი უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ დანიშნულმა და, შესაბამისად, სასამართლო „კლანის“ ლოიალურმა კადრებმა შეასრულეს.

ხვიჩა კიკილაშვილი უზენაესი სასამართლოს პლენუმმა 2020 წლის 3 აპრილს აირჩია. სასამართლოში ვაკანსია მას შემდეგ გაჩნდა, რაც 2019 წლის 4 დეკემბერს უფლებამოსილების ვადა ამოწურა კიდეც ერთ, პოლიტიკური ხელისუფლებისთვის არცთუ მისაღებ მოსამართლეს - მაია კოპალეიშვილს. კანონის თანახმად კი, უზენაეს სასამართლოს ახალი

¹⁵⁷ ნეტგაზეთი, პარლამენტმა ევა გოცირიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია, 1 დეკემბერი, 2017, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/237909/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

მოსამართლე 24 ნოემბრამდე უნდა აერჩია. ამ პერიოდში, კოვიდ პანდემიის გამო, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. შესაბამისად, სამოქალაქო სექტორმა უზენაეს სასამართლოს ამ მდგომარეობის დასრულებამდე ახალი მოსამართლის დანიშვნისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა.¹⁵⁸ თუმცა პლენუმმა ეს მოთხოვნა არ გაითვალისწინა. საინტერესო იყო ისიც, რომ პლენუმის სხდომაში მონაწილეობა არ მიუღია უზენაესი სასამართლოს რამდენიმე მოსამართლეს. „დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფის“ განცხადების თანახმად, რომელიც დამოუკიდებელი პროფესიული წარმომადგენლებისა და ყოფილი მოსამართლეებისგან შედგება, ხვია კიკილაშვილი სასამართლოს თავმჯდომარეების იმ „კასტის“ წარმომადგენელია, „რომლებიც დიდი ხანია ქართულ მართლმსაჯულებაში მოსამართლეების პოლიტიკური კონტროლის ფუნქციას ასრულებენ“.¹⁵⁹

ხვია კიკილაშვილის პროფესიული კარიერა საგამოძიებო უწყებებსა და საერთო სასამართლოების სისტემაში დაახლოებით თანაბარი ხანგრძლივობისაა. 1994-2006 წლებში კიკილაშვილი პროკურატურის სისტემაში მუშაობდა და 2006 წლიდან სხვადასხვა სასამართლოში იყო გამწესებული მოსამართლედ (სიღნაღის რაიონულ სასამართლოში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში). საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა მოსამართლეებისგან განსხვავებით, კიკილაშვილის პროფესიულ ბიოგრაფიაში არ არის მონაცემები მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის შესახებ.¹⁶⁰

ხვია კიკილაშვილის განხილულ საქმეებს შორისაა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი მდივნისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გიორგი მიქაუტაძის საქმის¹⁶¹ ერთ-ერთი ეპიზოდი. გონიოს პლაჟზე მომხდარ ინციდენტში არასრულწოვნის მშობლები - თამარ ხაჭაპურიძე და კახაბერ ხაჩიძე მოსამართლე მიქაუტაძეს მათი შვილის ცემაში ადანაშაულებდნენ. ბავშვის ცემის ფაქტზე დაწყებულ გამოძიებას იმავე დღეს კვალიფიკაცია შეეცვალა და გამოძიება მოსამართლის სიცოცხლის მოსპობის მუქარით გაგრძელდა. იმავე საღამოს დააკავეს არასრულწოვნის მშობლები. გონიოს ინციდენტამდე ერთი წლით ადრე, გიორგი მიქაუტაძემ ბავშვის დედის, თამარ ხაჭაპურიძის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განიხილა. მაშინ ხაჭაპურიძემ „ფეისბუქში“ შეურაცხყო მიქაუტაძე. მედიაში გავრცელებული ვერსიით, სწორედ ეს საქმე გახდა გონიოს პლაჟზე კონფლიქტის მიზეზი. საბოლოოდ, ხელვაჩაურის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსამართლის სიცოცხლის მოსპობის ფაქტი არ დადასტურდა და ბრალდებულ მშობლებს ხულიგნობის

¹⁵⁸ რადიო თავისუფლება, NGO-ები: დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობისას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის დანიშვნა, აპრილი 03, 2020, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30527159.html> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁵⁹ რადიო თავისუფლება, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ხვია კიკილაშვილი აირჩიეს, აპრილი 03, 2020, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/30527816.html> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ გვერდი, ყოფილი მოსამართლეები, ხვია კიკილაშვილის ბიოგრაფია, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/lrvCTwMF> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁶¹ რადიო თავისუფლება, იყენებს თუ არა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი თანამდებობას ბოროტად? სექტემბერი 24, 2018, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/YrvCTJ3H> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

მუხლით შეუფარდეს ჯარიმა 4 ათასი ლარის ოდენობით.¹⁶² ამ საქმის განხილვიდან მალევე კიკილაშვილი უვადო მოსამართლედ დაინიშნა. ხაჭაპურიძე-ხაჩიძის საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა.¹⁶³ მომჩივნების ოჯახმა კი საქართველო დატოვა და თავშესაფარი დიდ ბრიტანეთში მიიღო.¹⁶⁴

2023 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი არამოსამართლე წევრი აირჩია. მათ შორის იყო გოგა კიკილაშვილი, რომელიც ხვიჩა კიკილაშვილის შვილია.¹⁶⁵ ეს გადაწყვეტილება პარლამენტმა 1 დღის შემდეგ მიიღო, რაც სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტს საკონსტიტუციო სასამართლომ და, მათ შორის, ხვიჩა კიკილაშვილმა მხარი დაუჭირა. კიკილაშვილის საბჭოს არამოსამართლე წევრად არჩევა საეჭვოდ ემთხვევა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმეს იმის გათვალისწინებითაც, რომ მას მანამდეც ჰქონდა რამდენჯერმე განაცხადი გაკეთებული ამ თანამდებობაზე, თუმცა საკმარისი ხმების მოგროვება ვერცერთ ჯერზე ვერ მოახერხა. ეს მოცემულობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პრეზიდენტის ქმედებებით კონსტიტუციის დარღვევის დადასტურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღეს შეიცვალა.

2025 წლის 28 მარტს, 2 დღით ადრე, ვიდრე მერაბ ტურავას უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა ამოეწურებოდა, ხვიჩა კიკილაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა ვადაზე 5 წლით ადრე დატოვა და საფუძვლად „პირადი მიზეზები“ დაასახელა. პოლიტიკურ კრიზისში მყოფ „ქართულ ოცნებას“ ტურავას შემცვლელის არჩევა ხმების არასაკმარისობის გამო არ შეეძლო. თუმცა კიკილაშვილის შემცვლელად უზენაესი სასამართლოს პლენუმმა მალევე შეარჩია სასამართლოს „კლანთან“ დაახლოებული პირი - რევაზ ნადარაია.¹⁶⁶

ვასილ როინიშვილის პროფესიული კარიერა, ხვიჩა კიკილაშვილის მსგავსად, პროკურატურასა და მართლმსაჯულების სისტემას უკავშირდება. კერძოდ, 2006-2008 წლებში ის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი იყო, ხოლო 2008-2009 წლებში - საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე. 2009-2020 წლებში, როინიშვილი სხვადასხვა დროს იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე და სადისციპლინო პალატის წევრი. 2017 წელს იგი ერთ-ერთი იყო უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის იმ 9 მოსამართლეს შორის, რომელთაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ქიზარ ხალვაშისთვის მიკუთვნების

¹⁶² პუბლიკა, უზენაესი პლენუმმა საკონსტიტუციოს მოსამართლედ ხვიჩა კიკილაშვილი აირჩია, 03 აპრილი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ErVCUSKD> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁶³ CASE OF KHACHAPURIDZE AND KHACHIDZE v. GEORGIA (Applications nos. 59464/21 and 13079/22), 29/08/2024.

¹⁶⁴ ნეტგაზეთი, ჯანეხაშვილი: კიკილაშვილის დანიშვნა საკონსტიტუციო სასამართლოს აბუჩად აგდებაა, 3 აპრილი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/440558/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁶⁵ რადიო თავისუფლება, საკონსტიტუციოს მოსამართლის შვილი ამბობს, რომ იუსტიციის საბჭოს წევრად ნათესაური კავშირის გამო არ აურჩევიათ, ოქტომბერი 18, 2023, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32643040.html> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁶⁶ პუბლიკა, ვინ არის საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი მოსამართლე რევაზ ნადარაია, 03 აპრილი, 2025, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/vin-aris-sakonstitucio-sasamartlos-akhali-mosamartle-reva/> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

გადაწყვეტილებას დაუჭირეს მხარი. 2019 წლის დეკემბერში კი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლეობის კანდიდატი გახდა და მისი კანდიდატურა პარლამენტს წარედგინა, თუმცა დეპუტატებმა მას მხარი არ დაუჭირეს.

როინიშვილის აღიარებითვე, ის საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ლიდერის - მიხეილ ჩინჩალაძის დიდი ხნის მეგობარია.¹⁶⁷

როინიშვილის მეუღლე - დიანა ცინდელიანი რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში საქმიანობდა. როინიშვილის 2024 წელს შევსებული დეკლარაციის მიხედვით, მისი მეუღლე 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით, რუსეთის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში, კანონპროექტებზე მუშაობის განყოფილების უფროსის მოადგილე იყო.¹⁶⁸ სოციალურ ქსელ LinkedIn-ის მიხედვით, დიანა ცინდელიანი რუსეთში 2008 წლიდან მუშაობს, ვაჭრობის სამინისტროში კი - 2016 წლიდან, უკვე 8 წელია, სხვადასხვა თანამდებობას იკავებს.¹⁶⁹

აჭარის პროკურატურაში საქმიანობის დროს ვასილ როინიშვილი იყო ყოფილი სამხედრო მოსამსახურის, როინ შავაძის მკვლელობის საქმის პროკურორი, რომელიც ამ საქმეზე გამოძიების პროცესს ზედამხედველობდა. ამ საქმეზე, 2020 წლის 19 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველო სიცოცხლის უფლების როგორც პროცედურული, ისე არსებითი ნაწილის დარღვევაში დამნაშავედ ცნო.¹⁷⁰ ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მთავრობას მომჩივნის სასარგებლოდ 40 000 ევროს გადახდა დააკისრა.¹⁷¹

საკონსტიტუციო სასამართლოში პერსონალური დანიშვნების ციკლის ბოლო ცვლილება პრეზიდენტის - სალომე ზურაბიშვილის მიერ მოსამართლედ **გიორგი თევდორაშვილის** დანიშვნით დასრულდა. თევდორაშვილი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებას 2021 წლის 5 აგვისტოდან შეუდგა. მან თანამდებობაზე თამაზ ცაბუტაშვილი ჩაანაცვლა, რომელიც 2011 წელს პრეზიდენტის კვოტით დაინიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ. 2021 წლის 1 დეკემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა ის საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნად აირჩია.

¹⁶⁷ ნეტაზეთი, მე და ჩინჩალაძე მეგობრები ვართ, ღირსეული ადამიანია – როინიშვილი, 29 მაისი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/456568/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁶⁸ პუბლიკა, საკონსტიტუციოს მოსამართლე როინიშვილის ცოლი რუსეთის ვაჭრობის სამინისტროში მუშაობდა, 18 ივლისი, 2024, ხელმისაწვდომია: <https://publika.ge/sakonstitucios-mosamartle-roinishvilis-coli-rusetis-vachrobis-saministroshi-mushaobda/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁶⁹ იქვე.

¹⁷⁰ შავაძე საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი N72080/12, გადაწყვეტილება- 19 ნოემბერი 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/DrvCGhfm>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁷¹ Civil.ge, დამოუკიდებელი იურისტები მოსამართლე ვასილ როინიშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვენ, 21 ნოემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/383853>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

2019 წელს გიორგი თევდორაშვილი ერთ-ერთი იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს შორის, რომელთან გასაუბრებაც პარლამენტში გაიმართა, თუმცა უშედეგოდ.¹⁷²

1999-2021 წლებში მისი პროფესიული საქმიანობა უკავშირდება როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორს. ის არ ყოფილა სასამართლო სისტემის ნაწილი, თუმცა მისი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა აქტიურად არის დაკავშირებული საკონსტიტუციო სამართალთან 2003 წლიდან. 2003 წლიდან დღემდე ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, არის სამართლის დოქტორი, იურიდიული ფაკულტეტის საკონსტიტუციო სამართლის ასოცირებული პროფესორი და სადისერტაციო საბჭოს წევრი. მიუხედავად მისი პროფესიული კვალიფიკაციისა და მოსამართლედ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის კვოტით გამწესებისა, რაც პოლიტიკურ ხელისუფლებასთან ზურაბიშვილის მზარდი უთანხმოების ფონზე მოხდა, თევდორაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში, სამწუხაროდ, პრინციპულობა ვერ გამოავლინა და ამ გადაწყვეტილებათა უმრავლეს შემთხვევაში უმრავლესობის პოზიციას შეუერთდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს პერსონალური განახლების პროცესი 2021 წელს დასრულდა. ამ დროისთვის უკვე ადვილი მისახვედრი იყო, რომ პრინციპული და საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული დემოკრატიული პრინციპებისა და სულისკვეთების დამცველი მოსამართლეები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. საჭიროების შემთხვევაში კი მათი განეიტრალება 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით იყო შესაძლებელი, რომლის ყველაზე პრობლემური ნაწილი - ერთი მოსამართლის მიერ საქმის პლენუმისთვის ნებისმიერ დროს გადაცემის შესაძლებლობა - ძალაში დარჩა. შესაბამისად, პოლიტიკური ხელისუფლებისთვის ამგვარად დაკომპლექტებული საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკურ საფრთხეს არათუ აღარ წარმოადგენდა, მეტიც, მას, საჭიროების შემთხვევაში, ამ ინსტიტუციის საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაც შეეძლო. ეს საჭიროებები ჯერ საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების შედარებით სუსტი ფორმებით კმაყოფილდებოდა, რაც რიგ საქმეებზე სტრატეგიული დუმილით ან საბოლოო გადაწყვეტილებების წლობით გაჭიანურებებით გამოიხატებოდა.

საქართველოს კანონმდებლობით, კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა, სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრაციის მომენტიდან 9 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ორი თვისა. პრაქტიკაში, საკონსტიტუციო სასამართლო საქმის განხილვის 9-თვიან ვადაში მოიაზრებს სარჩელის არსებითად განხილვის ვადას, ხოლო რეგულირების მიღმა რჩება სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა. შედეგად, არათანმიმდევრულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღების ვადებთან დაკავშირებით და, ხშირ შემთხვევაში, საქმის

¹⁷² იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველები კანდიდატებად დაარეგისტრირა, 07 ივნისი 2019, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/GrvCDnuw> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

გადაწყვეტა ზედმეტად ჭიანჭურდება. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა 2021 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა მცირე კვლევა¹⁷³ სასამართლოს მიერ გაჭიანურებულ საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა შორისაც ორგანიზაციის მიერ წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელებიც შედიოდა ქვეყანაში არსებულ ისეთ მწვავე პრობლემებზე, როგორიცაა რეპრესიული ნარკოპოლიტიკა, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის მცირე გარანტიები და მიუსაფარ მოქალაქეთა საარსებო შემწეობით უზრუნველყოფა და სხვ. სასამართლოს დღემდე არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება ე.წ. „მოსმენების“ მეორე საქმესთან დაკავშირებით, რომლის განხილვა სასამართლოში ჯერ კიდევ 2018 წელს მიმდინარეობდა.¹⁷⁴

შესაბამისად, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საქმეთა გაჭიანურება, პოლიტიკურ ხელისუფლებასთან დათმობის დემონსტრირებისა და საკონსტიტუციო კონტროლის სუსტი ფორმის მთავარ გამოხატულებად იქცა სასამართლოს საქმიანობის ამ პერიოდში.

თუმცა ამავე პერიოდში ასევე მოიმატა არსებული პრაქტიკისგან განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღების სტატისტიკამ, მათ შორის, ნაკლებად „გახმაურებულ“ საქმეებზეც. ეს კი, საბოლოოდ, ფუნდამენტური დემოკრატიული და კონსტიტუციური პრინციპების საწინააღმდეგო პრაქტიკის დამკვიდრებით და საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმის დამკვიდრებით დასრულდა, რის ანალიზსაც წინამდებარე დოკუმენტის მომდევნო ქვეთავი ეთმობა.

3.3. 2020-2025: საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების სუსტიდან ძლიერ ფორმამდე: საკონსტიტუციო სასამართლოს ევოლუცია პრაქტიკაში

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში საქმეთა გაჭიანურებისა და სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების ტენდენციები სულ უფრო მკაფიო ხდებოდა სასამართლოს შემადგენლობის ცვლილებებთან ერთად, რომელიც დიდწილად 2020 წლის პირველ ნახევარში დასრულდა. სწორედ ამ დროიდან იწყება ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური კრიზისი, სულ უფრო აშკარა ხდება ხელისუფლებაში მესამედ მოსული „ქართული ოცნების“ ავტორიტარული ტენდენციები და ჩქარდება დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტებისა თუ მიტაცების პროცესები. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ პროცესებში პოლიტიკური ხელისუფლების სასარგებლოდ აქტიური როლი შეასრულა და დღემდე განაგრძობს ამგვარად საქმიანობას.

2020 წლიდან საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენებამ უკვე ძლიერი ფორმების სახე მიიღო, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში იმატა არსებული პოლიტიკური და სოციალური კონტექსტებიდან ამოგლეჯილმა, პრაქტიკისა და კონსტიტუციური თუ საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების უგულებელმყოფელმა და ხელისუფლების ანტიდემოკრატიული გადაწყვეტილებებისათვის ლეგიტიმაციის

¹⁷³ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეთა გაჭიანურების პრობლემა, 2021, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/9rvCSCTf>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁷⁴ ნეტგაზეთი, სუს-ის და სააგენტოს წარმომადგენლები ელიან, რას ჰკითხავენ მათ მოსამართლეები – მოსმენების საქმე, 10 მაისი, 2018, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/275304/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

მინიჭების მცდელობის მქონე დასაბუთებებმა და შესაბამისმა პრეცედენტებმა. ამავე დროს, თუკი წინა წლებში სასამართლო უფრო მეტად სამოქალაქო სექტორის თუ ოპოზიციის მიერ თავიანთი ინიციატივით იწვევებულ დავებს განიხილავდა და ამ პროცესში პოლიტიკური ხელისუფლება მოპასუხის როლში იყო, ბოლო პერიოდში თავად „ქართულმა ოცნებამ“ გააძლიერა ყურადღება სასამართლოზე, რადგან თავად აქტიურად დაიწყო მისთვის მიმართვა, რითაც ისედაც დამორჩილებულ სასამართლოს სრულად გამოაცალა ჩრდილში ყოფნის და, შესაბამისად, საზოგადოებრივი და საერთაშორისო კრიტიკის ნაკლებობის პრივილეგია. შედეგად, სასამართლოს მიმართ ყურადღების ზრდისა და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალი ძალით ამოხეთქილი მწვავე პოლიტიკური კრიზისის პროცესში ვერც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები დაემალნენ საპასუხო ზომებს, განსაკუთრებით საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში გვყავს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობა, რომლებიც თავიანთი საქმიანობის გამო სანქცირებულნი არიან საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან.¹⁷⁵ თუმცა ჩვენს მიერ ქვემოთ განხილული რამდენიმე კრიტიკულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ანალიზი ცხადყოფს, რამდენად დამსახურებულია პოლიტიკური თუ სამართლებრივი პასუხისმგებლობის ეს ზომები მათ მიმართ.

ეს გადაწყვეტილებები ეხება არა მხოლოდ ადამიანის ძირითად უფლებებს და მათ არასრულყოფილ დაცვას, არამედ პირდაპირ უკავშირდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დანარჩენ საკვანძო უფლებამოსილებებს - კონსტიტუციის ძირითადი სტრუქტურისა და კონსტიტუციური იდენტობის დაცვას, ასევე ხელისუფლების დანაწილებისა და შეკავებისა და გაწონასწორების პრინციპების პრაქტიკაში აღსრულებას. სწორედ ეს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საჯაროდ არჩევის პროცესს, კოვიდ-პანდემიისას აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის ფაქტობრივად საკანონმდებლო ფუნქციების მინიჭებას, დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუტის - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას, პრეზიდენტის იმპიჩმენტს, სამოქალაქო ორგანიზაციების დევნასა და საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმებას, იყო უკანასკნელ წლებში საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მთავარი ტესტი საკუთარი პოლიტიკური დამოუკიდებლობის, კონსტიტუციისა და დემოკრატიის ერთგულების დასამტკიცებლად. ყველა ამ საქმეში კონსტიტუციისა და დემოკრატიის პრინციპების შესაბამისი, პრინციპული და გაბედული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, როგორც მინიმუმ, მნიშვნელოვნად გართულდებოდა პოლიტიკური ხელისუფლების ავტორიტარული მისწრაფებების წარმატებით სისრულეში მოყვანა ან სასამართლოს ექნებოდა შესაძლებლობა, განგაშის ზარებისათვის შემოეკრა ფართო საზოგადოებისათვის ამ საფრთხეების თაობაზე, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული კონსოლიდაციის პროცესში. სხვაგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო იმ

¹⁷⁵ ტელეკომპანია პირველი, „ვის დაედო სანქციები - ლიეტუვა 102 გვარს ასაჯაროებს“. 15 აპრილი, 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/CrcRrtYn> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება ქვეყანაში, რასაც დამოუკიდებელი და საკუთარი კონსტიტუციური მანდატის ერთგული ინსტიტუციები უნდა ასრულებდნენ კონსტიტუციურ დემოკრატიებში.

სამწუხარო, თუმცა კრიტიკული ანალიზის ამ ეტაპზე, ლოგიკურია, რომ არცერთ ამ საქმეში სასამართლო არ აღმოჩნდა მედეგი და ვერც თავისი კონსტიტუციური მანდატის ერთგულება შეძლო. ერთადერთი, რასაც ამ გადაწყვეტილებების მიერ დამდგარი სამართლებრივი შედეგები ემსახურება, სასამართლოს დამორჩილების მასშტაბების სრული სიცხადით დემონსტრირებაა.

2019-2020 წლები: „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის საქმე“ - პროცესის ლეგიტიმაციის შეუძღვარი მცდელობა

2019 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად დადგა დღის წესრიგში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საჯარო პროცესით არჩევის საკითხი, რომელიც სასამართლო რეფორმის განხორციელების შედეგად 2-ეტაპად ჩატარდა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიტატების შერჩევას რამდენიმე ეტაპიანი პროცედურით იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფდა, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება ამ კანდიდატების არჩევის თაობაზე, უკვე საქართველოს პარლამენტს უნდა მიეღო. გასათვალისწინებელია, რომ ამ დროისთვის უკვე განხორციელებულ სასამართლო რეფორმებს ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად აფასებდნენ. ფასადურად და არასრულყოფილად განხორციელებულმა ინსტიტუციურმა რეფორმებმა ვერ უზრუნველყო სასამართლო სისტემაში არსებული არაფორმალური გავლენების აღმოფხვრა, უფრო პირიქით, პოლიტიკურ ხელისუფლებასთან კოორდინირებული მოქმედებით სწორედ სასამართლო „კლანის“ გაძლიერებას შეუწყო ხელი.¹⁷⁶ შესაბამისად, საკითხავი რჩებოდა, ახალი წესით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი დააზღვევდა არსებულ საფრთხეებს თუ გავლენიან ჯგუფს მისთვის და პოლიტიკური ხელისუფლებისთვის სასარგებლო კანდიდატების შერჩევის შესაძლებლობას მისცემდა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, 2019 წლის მაისი-დეკემბრის პერიოდში მიმდინარე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით გამოირჩეოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ამ პროცესში არაერთი შეფასება გაკეთდა როგორც არსებული კანონმდებლობის, ისე მის საფუძველზე ჩატარებული პროცესის თაობაზე. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ეს პროცესი სერიოზულ ეჭვებს აჩენდა მის ობიექტურად წარმართვასა და პარლამენტისთვის წარსადგენი და მის მიერ გამწესებული პირების კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობასთან დაკავშირებით.¹⁷⁷

¹⁷⁶ ანა პაპუაშვილი, ნინო ნოზაძე, გვანცა წულუკიძე, გიორგი დავითური, „მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2023.

¹⁷⁷ ვენეციის კომისიის 2019 წლის 24 ივნისის საგანგებო მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევასა და დანიშვნასთან დაკავშირებით; მიიღეს ვენეციის კომისიის 119-ე პლენარულ სესიაზე; 21-22 ივნისი,

შესაბამისად, იმ დროისათვის, როდესაც სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესის კონსტიტუციურობის შეფასება მოითხოვა, ქვეყანას ამ პროცესის პრაქტიკაში განხორციელების არცთუ სახარბიელო გამოცდილება უკვე ჰქონდა. სწორედ პრაქტიკაში გამოვლინდა არსებული კანონმდებლობის პრობლემურობა, რომელიც სასამართლოს კონსტიტუციით დაცულ საჯარო თანამდებობის დაკავებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებთან უნდა შეეფასებინა. რამდენადაც, სადავო ნორმები ორგანული კანონის ნაწილი იყო, საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 8 მოსამართლის შემადგენლობით განიხილა. მოსამართლე ვასილ როინიშვილმა, როგორც უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ, თვითაცილების შუამდგომლობა დააყენა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. საბოლოოდ, დარჩენილი 8 მოსამართლის ხმები თანაბრად გაიყო და საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელები 2020 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა.¹⁷⁸ გადაწყვეტილებაზე კრიტიკული და ყოვლისმომცველი განსხვავებული აზრი გამოთქვეს მოსამართლეებმა: თეიმურაზ ტულუშმა, ირინე იმერლიშვილმა, გიორგი კვერენჩილაძემ და თამაზ ცაბუტაშვილმა.¹⁷⁹

მოსარჩელის მითითებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სისტემა ვერ უზრუნველყოფდა შერჩევის სამართლიანი პროცედურებით განხორციელებას, რამდენადაც შესაძლებელი იყო საბჭოს შერჩევის პროცესი (რომელიც კენჭისყრის ფარულობას და გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობას ითვალისწინებდა) წარემართა თვითნებურად, კანდიდატთა უფლებების დარღვევის გზით. საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესში შებოჭილი არ იყო კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კონსტიტუციური კრიტერიუმებით, რაც შესაძლებელს ხდიდა, მოსამართლის თანამდებობაზე პარლამენტისთვის საუკეთესო კანდიდატები არ წარედგინათ და, საბოლოოდ, ზღუდავდა ნებისმიერი პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მისი საქმე განეხილა

2019 წელი; (CDL-AD(2019)009); ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2019\)009-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2019)009-e); ეუთოს/ODIHR საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველი ეტაპის ანგარიში; ივნისი-სექტემბერი; 2019 წელი (ანგარიშის ინგლისური და ქართული ვერსიები ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/429488>; ასევე ეუთოს/ODIHR საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში; ივნისი-დეკემბერი; 2019 წელი (ანგარიშის ინგლისური და ქართული ვერსიები ხელმისაწვდომია: <http://www.osce.org/odihr/443494>; კოალიციის, დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2019 წლის 12 სექტემბრის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესის შეფასება. ხელმისაწვდომია: http://www.coalition.ge/index.php?article_id=215&clang=0; ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება: ევროპული იმპლემენტაციის შეფასება (განახლებული); 2020 წლის აპრილი. (ხელმისაწვდომია: [https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=EPRS_STU\(2020\)642820&fbc_lid=IwAR0tU2Q0UeicoS_sCcPRXcCHMo_xkGjXggF49Bg2xsmA4sABONqKNnLoURK4](https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document.html?reference=EPRS_STU(2020)642820&fbc_lid=IwAR0tU2Q0UeicoS_sCcPRXcCHMo_xkGjXggF49Bg2xsmA4sABONqKNnLoURK4) გვ. 40; საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების მონიტორინგის ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებელთა 2019 წლის 25 სექტემბრის შეფასება. ხელმისაწვდომია: <https://pace.coe.int/en/news/7626/georgia-parliament-must-rectify-the-selection-process-for-supreme-court-judges-say-monitors>. წვდომის თარიღი: 27.05.2025.

¹⁷⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის - თეიმურაზ ტულუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი ლეგიტიმაციის მქონე სასამართლოს. იმავე დროს, ფარულობა, ისევე როგორც დასაბუთების არარსებობა, გამორიცხავდა საბჭოს წევრთა გადაწყვეტილების თანმიმდევრულობის შემოწმებას, ართულებდა მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და მიკერძოების შემთხვევების გამოვლენის შესაძლებლობას.

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის პოზიციით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შერჩევა არ წარმოადგენდა კონკურსს და ეს პროცესი განსხვავდებოდა პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეთა შერჩევის პროცესისაგან, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკით, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება დაადგინა.¹⁸⁰ საბჭოს მიერ კანდიდატების წარდგენა და შემდგომში პარლამენტის მიერ არჩევა ერთიანი პოლიტიკურ-სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესი იყო, რომელშიც ორი, მაღალი ლეგიტიმაციის მქონე კონსტიტუციური ორგანო მონაწილეობდა, სადაც საბჭო შემოიფარგლებოდა პარლამენტისათვის კანდიდატების წარდგენით (რაც არ გულისხმობდა სხვა კანდიდატების დაწუნებას), საბოლოო გადაწყვეტილებას კი იღებდა პარლამენტი. ამასთანავე, პარლამენტის პოზიციით, კონსტიტუციის მოთხოვნა იყო არა საუკეთესო, არამედ იმ კანდიდატის შერჩევა, რომელიც აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. საბჭო კი ამ კრიტერიუმებით შებოჭილი იყო გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე. კანონმდებლობით დადგენილი შერჩევის პროცედურა მისი ღიაობის, საჯაროობის, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესის და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობის მხედველობაში მიღებით, ნამდვილად უზრუნველყოფდა უზენაესი სასამართლოს შესაბამისი მოსამართლეებით დაკომპლექტებას. საბჭოს წევრების ხმის მიცემის ფარულობა კი დამატებით იცავდა საბჭოს წევრს გარე ფაქტორების ზეგავლენისაგან.

მოცემულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ, ფაქტობრივად, სრულად გაიზიარა საქართველოს პარლამენტის არგუმენტაცია, უზენაესი სასამართლების არჩევის პროცესთან დაკავშირებით არსებული კონტექსტისა და პრაქტიკული გამოცდილების, ადგილობრივი თუ საერთაშორისო შეფასებების სრულად უგულებელყოფით, რაც პირველი და მნიშვნელოვანი პრობლემური სიგნალი იყო პოლიტიკური ხელისუფლებისა და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის სასარგებლოდ. თუმცა სასამართლოს მსჯელობის ნიუანსები ამაზე გაცილებით შორს წავიდა და არადამაჯერებელი დასაბუთებით ჯერ წინააღმდეგობაში მოვიდა საკუთარ დადგენილ პრაქტიკასთან, ხოლო შემდგომ გადაწყვეტილების უმეტესი ნაწილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის წარმოჩენის მცდელობას მიუძღვნა, რამაც სერიოზული კითხვები გააჩინა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება, რეალურად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის ლეგიტიმაციის მცდელობა იყო, თუმცა, საბოლოო ჯამში,

¹⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნაკლებ შედეგიანად, პროცესის მიმართ არსებული ყოვლისმომცველი კრიტიკის ფონზე ქვეყნის შინ თუ გარეთ. შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმის ერთ-ერთი პირველი მკაფიო მაგალითია და წინამდებარე დოკუმენტის მეორე თავში განხილულ საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების თეორიული კონცეპტუალიზაციის ჩარჩოს შეესაბამება.

პირველ რიგში, დასაბუთების საწყის ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლომ სცადა არსობრივად ერთმანეთისგან გაემიჯნა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი (რომელშიც სასამართლოსვე დადგენილი პრაქტიკით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კენჭისყრა ღია, გადაწყვეტილება კი დასაბუთებული უნდა იყოს) უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა/არჩევის პროცესისგან და ამ პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი განსხვავებულად წარმოეჩინა.

სასამართლოს მტკიცებით, შესაბამისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზით ნათელი იყო, რომ ეს პროცესი სამართლებრივ-პოლიტიკური იყო, თუმცა მასში მთავარ გადაწყვეტილებას პოლიტიკური ორგანო - პარლამენტი იღებდა.¹⁸¹ მაგრამ სასამართლომ იქვე მიუთითა, რომ პროცესი ერთ მთლიან მექანიზმად უნდა აღქმულიყო და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლიც ამის გათვალისწინებით უნდა განსაზღვრულიყო.¹⁸² ამგვარი მსჯელობით სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესება რომ იყოს მთლიანად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში და იგი იღებდეს საბოლოო გადაწყვეტილებას, როგორც ეს ხდება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შემთხვევაში, მაშინ მიდგომა განსხვავებული იქნებოდა და იარსებებდა მისი გადაწყვეტილების დასაბუთების გაცილებით მეტი საჭიროება“.¹⁸³

განსხვავებული აზრის ავტორმა ოთხმა მოსამართლემ მკაფიოდ გააკრიტიკა ამგვარი განმარტება და მიუთითა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მანამდე დადგენილი პრაქტიკა ამ საკითხზე ცხადი და არაორაზროვანი იყო, რომლის თანახმადაც, „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის თანამდებობაზე განწესების პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციურსამართლებრივი მოთხოვნაა დაუსაბუთებელი თუ თვითნებური გადაწყვეტილების მიღების პრევენცია. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნა უკავშირდება შერჩევის მთელ პროცესს. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატის შერჩევის პროცესში გადაწყვეტილების დასაბუთებულობა უფლების ნაწილად არის მიჩნეული, იმის მიუხედავად, შერჩევა ცალკე ეტაპად იქნება განხილული თუ ერთიანი პროცესის ნაწილად. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოსამართლის

¹⁸¹საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარა. 2. 17.

¹⁸² იქვე, პარა. 2.18.

¹⁸³ იქვე, პარა. 2.20.

არჩევაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას არ გამორიცხავს¹⁸⁴. მოსამართლეთა პოზიციით, ისტორიულად, საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნას პოლიტიკურ ორგანოებს მიანდობდა. თუმცა ეს მიდგომა 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად შეიცვალა, რამაც არსებული ორეტაპიანი მოდელი დაამკვიდრა. შესაბამისად, კონსტიტუციის მიღებისას კანონმდებლის ნება აშკარად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნასთან დაკავშირებით პოლიტიკური ორგანოებისათვის დამახასიათებელი, მიზანშეწონილობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების შემცირების და დასაბუთებაზე დაფუძნებული გამჭვირვალე სისტემის შექმნისკენ იყო მიმართული. ამ ფონზე, სასამართლოს მიერ განვითარებულმა მიდგომამ, ფაქტობრივად, ნიველირება გაუკეთა კონსტიტუციური კანონმდებლის მიზნებს,¹⁸⁵ იუსტიციის უმაღლესი საბჭო კი აღჭურვა უკონტროლო ძალაუფლებით, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის არსს, დემოკრატიის პრინციპსა და სახალხო სუვერენიტეტის იდეას.¹⁸⁶ ამასთანავე, მოსამართლეებმა მიუთითეს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მომწესრიგებელ კანონმდებლობაზე,¹⁸⁷ რომლის თანახმადაც, პლენუმის გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც მოქმედ პრაქტიკას ეწინააღმდეგება, სჭირდებოდა, მინიმუმ, საკონსტიტუციო სასამართლოს 5 წევრის მხარდაჭერა. მოცემულ შემთხვევაში კი სარჩელის დაუკმაყოფილებლობას მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხმა წევრმა, შესაბამისად, ისინი არ იყვნენ უფლებამოსილი მიღებული გადაწყვეტილებით შეეცვალათ სასამართლოს პრაქტიკა.¹⁸⁸

გადაწყვეტილებაში განსაკუთრებით საინტერესო და მრავლისმეტყველია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის გარანტიებსა და მისი დამოუკიდებლობის ხარისხთან დაკავშირებით.

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც კონსტიტუციური ორგანო, დაკომპლექტებულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოებისგან არჩეული წევრებით, რომელთა ნაწილი პარლამენტისა და პრეზიდენტის ნდობითაა აღჭურვილი და ნაწილი - საკუთრივ მოსამართლეთა კორპუსის ნდობით. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს უმთავრესი დანიშნულება და ფუნქცია სწორედ მოსამართლეთა შერჩევაა, რასაც თავად კონსტიტუცია ადგენს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის ნდობა, რომელიც არამოსამართლე წევრებს გამოუცხადა პრეზიდენტმა, პარლამენტმა და მოსამართლე წევრებს - მოსამართლეთა კორპუსმა, უწინარესად, მოსამართლეთა შერჩევის

¹⁸⁴ განსხვავებული აზრი, პარა. 82.

¹⁸⁵ იქვე, პარა. 27.

¹⁸⁶ იქვე, პარა. 34.

¹⁸⁷ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁸⁸ განსხვავებული აზრი, პარ. 88

სფეროში საბჭოსადმი ინსტიტუციურ ნდობას მოიცავს¹⁸⁹ ამასთან ერთად, სასამართლომ დამატებით მიუთითა საბჭოს ანგარიშვალდებულებაზე მხოლოდ მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს - კონფერენციის წინაშე, ასევე მის ფინანსურ დამოუკიდებლობასა და გადაწყვეტილების 2/3-ის უმრავლესობით მიღების წესზე, რაც მისი მტკიცებით, გამორიცხავდა პროცესში კორპორატიული ან პოლიტიკური ინტერესებით გადაწყვეტილების მიღებას. შედეგად, ანგარიშვალდებულების ამგვარი წესები დამატებით უზრუნველყოფდა საბჭოს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს და აზღვევდა მისი თვითნებობის რისკებს. საბოლოოდ, სასამართლოს დასკვნით „იუსტიციის საბჭოს ფორმირების არსებული კონსტიტუციური მოდელი, მისი შემადგენლობა, გადაწყვეტილების მიღების წესი, ასევე უზრუნველყოფს იმას, რომ საბჭო არ გადაიქცეს დახურულ, ვიწროდ კორპორატიულ ინტერესებზე ორიენტირებულ სტრუქტურად“.¹⁹⁰

ამგვარი მსჯელობა ააშკარავებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გარშემო არსებული კრიტიკული კონტექსტის მიმართ მგრძნობელობის სრულ არარსებობას. მეტიც, იგი საბჭოს ფუნქციონირებისა და მისი მონაწილეობით წარმართული და სადავოდ გამხდარი უმნიშვნელოვანესი პროცესის ლეგიტიმაციის უვარგის მცდელობად შეიძლება შეფასდეს, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, თუ რა შეფასება მისცეს ამ პროცესს და განსაკუთრებით საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ნაწილს ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ხმის მიცემის ფარულობის და დასაბუთებულობის არარსებობის საკიხთან დაკავშირებითაც, საკონსტიტუციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პარლამენტის არგუმენტაცია, რითაც აქაც აშკარა წინააღმდეგობაში მოვიდა საკუთარ პრაქტიკასთან, როდესაც სრულიად ხელოვნურად გაყო საბჭოს წევრებისა და თავად საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ერთმანეთისგან. მეტიც, სასამართლო უფრო შორსაც წავიდა და აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებები, რომლებსაც ის საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს, თავისთავად ლეგიტიმურია არსებული საკანონმდებლო გარანტიებიდან გამომდინარე.¹⁹¹ განსხვავებულ აზრში ეს ნაწილიც კრიტიკილად შეფასდა, რომლის თანახმადაც, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და მისი წევრები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე უფრო მაღალი დამოუკიდებლობის გარანტიებით სარგებლობენ. თუმცა, ბუნებრივია, ეს სასამართლოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღების ლეგიტიმაციას არ აძლევს. რაც უფრო დიდია ამა თუ იმ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გავლენა ადამიანის უფლებებსა და ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე, მით უფრო იზრდება მისი გადაწყვეტილების დასაბუთების მნიშვნელობა“.¹⁹² მოსამართლეთა მითითებით, „გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნა უკავშირდება თავად მისაღები გადაწყვეტილების ბუნებას და გადაწყვეტილების მიმღები პირების

¹⁸⁹საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარ. 2.30.

¹⁹⁰ იქვე, პარ. 2.33.

¹⁹¹ იქვე, პარა. 2.49.

¹⁹² განსხვავებული აზრი, პარა. 13.

ანგარიშვალდებულებას. ხალხის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხელისუფლების ხალხისადმი ანგარიშვალდებულება დემოკრატიული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია. მართვის განხორციელება სათანადო ანგარიშვალდებულების გარეშე ხელისუფლების მითვისებას უთანაბრდება, რასაც კონსტიტუცია არაორაზროვნად კრძალავს“.¹⁹³

რაც შეეხება ხმის მიცემის ფარულობის საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი წესი საბჭოს მიერ საკუთარი ფუნქციების სათანადოდ შესრულების დამატებით გარანტიას ქმნიდა, რადგან საბჭოს მოსამართლე წევრებს ხშირად გადაწყვეტილებების მიღება უწევთ თავიანთი კოლეგების მიმართაც და ასეთ შემთხვევებშიც, კენჭისყრის ფარულობა გაცილებით მეტად უზრუნველყოფდა მათი ნების თავისუფალ გამოვლენას.¹⁹⁴ აღნიშნულ არგუმენტაციაზე განსხვავებული აზრის ავტორებმა სრულიად სამართლიანად მიუთითეს, რომ საბჭოს წევრების მიერ საკუთარ კოლეგებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების არგუმენტის ფარულობის სასარგებლოდ გამოყენება, შესაძლოა, მიუთითებდეს მხოლოდ იმაზე, რომ საბჭოს წევრებს გადაწყვეტილების მიღება უწევთ იმ პირობებთან მიმართებით, რომელთანაც გარკვეული პიროვნული ურთიერთობა და ანგარიშვალდებულება გააჩნიათ. შესაბამისად, სწორედ ასეთ პირობებში იზრდებოდა ინტერესთა კონფლიქტის და გადაწყვეტილების მიკერძოებულად მიღების საფრთხეები და არა პირიქით. მოსამართლეთა შეფასებით, *შერჩევის პროცედურის ღიაობის უმთავრესი მიზანი სწორედ შესაძლო მიკერძოებულობის თავიდან აცილებაა. ამ ფონზე, საკუთარ კოლეგებთან მიმართებით მისაღები გადაწყვეტილების ფარულობის სასარგებლო არგუმენტად გამოყენება კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენი კოლეგების მიერ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების არასწორ აღქმასა და ამ პროცესში სამართლიანობის პრინციპის უგულებელყოფაზე*.¹⁹⁵

ბოლოს, საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმის კიდევ ერთი თვალსაჩინოება მოცემულ გადაწყვეტილებაში, მისი დამატებითი დამაჯერებლობისთვის, სხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკის მოშველიებაა, ყოველგვარი კონტექსტისა და გამოცდილების, დემოკრატიის ხარისხისა და სახელმწიფოს არსებული სამართლებრივი წესრიგისა თუ საკანონმდებლო ტექნიკის ტრადიციების გაუთვალისწინებლად. კერძოდ, მსჯელობის დასკვნით ნაწილში სასამართლომ მოიშველია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ამ უკანასკნელმა არ დააკმაყოფილა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც მოსამართლეთა არჩევისთვის უფლებამოსილმა ორგანომ არ განამწესა და შემდგომ ეს გადაწყვეტილება დაუსაბუთებლობის გამო გაასაჩივრა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკმეში მიიჩნია, რომ „მოსამართლეთა ამრჩევი ორგანო არ იყო ვალდებული, დაესაბუთებინა, თუ რატომ განაწესა

¹⁹³ იქვე, პარა. 14.

¹⁹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარა. 2.54.

¹⁹⁵ განსხვავებული აზრი, პარა. 61.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე სხვა კანდიდატი და არა მოსარჩელე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსამართლეთა განწყობის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება არ გამომდინარეობს არც ეფექტური სამართლებრივი დაცვის პრინციპიდან¹⁹⁶.

ამ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების პროცესი მაინც გაგრძელდა. სასამართლოში არსებული ვაკანტური თანამდებობების უმრავლესობა უკვე შევსებული იყო, როდესაც საქართველოს პარლამენტმა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები გაითვალისწინა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესი ღია და გადაწყვეტილებები დასაბუთებული გახდა.¹⁹⁷ შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უკიდურესად პრობლემურმა გადაწყვეტილებამ ვერც მის თავდაპირველ მიზნებს მიაღწია, რომელიც 2019 წელს დაწყებული პროცესის ლეგიტიმაციას და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მტკიცებას ისახავდა მიზნად და გაცილებით ნაკლები როლი შეასრულა საერთო სასამართლოების საკანონმდებლო რეფორმის მომდევნო ეტაპზე, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებმა.

2021 წელი: ე.წ. „კოვიდის საქმეები“ - აღმასრულებლის გაძლიერება საკანონმდებლო ხელისუფლების ხარჯზე

2019 წლის ბოლოს ჩინეთში ახალმა კორონავირუსმა იჩინა თავი, რომლით ინფიცირების შემთხვევები მსოფლიოში სწრაფად ვრცელდებოდა. საქართველოში ინფიცირების პირველი შემთხვევა 2020 წლის თებერვალში გამოვლინდა, 11 მარტს კი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. ამ პირობებში ქვეყნებში ბუნებრივად დადგა ვირუსთან ეფექტიანად გამკლავებისა და ამ მიზნით ხელისუფლების სათანადოდ ფუნქციონირების საკითხი. საქართველოში საგანგებო მდგომარეობა 21 მარტს გამოცხადდა, 22 აპრილს კი, კიდევ ერთი თვით გახანგრძლივდა. ამ პერიოდში მმართველმა გუნდმა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში საკანონმდებლო ცვლილებები მოამზადა, რომელსაც საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ უფლებრივი შეზღუდვების ნაწილი ძალაში უნდა დაეტოვებინა, ამჯერად საკანონმდებლო საფუძველით. ცვლილებები საბოლოოდ ძალაში 2020 წლის მაისის ბოლოს შევიდა და სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების მკაცრი კრიტიკა მოჰყვა.¹⁹⁸ ხოლო ივნისსა და ივლისში საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საკითხზე 4 სხვადასხვა კონსტიტუციური სარჩელი წარედგინა.

¹⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარა. 2.56.

¹⁹⁷ ანა პაპუაშვილი, ნინო ნოზაძე, გვანცა წულუკიძე, გიორგი დავითური, „მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2023, გვ. 33; ვენეციის კომისიის მიერ 2020 წლის 8 ოქტომბრის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების ნაწილი საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის 1 აპრილის ცვლილებებით გაითვალისწინა.

¹⁹⁸ რადიო თავისუფლება, როგორ დაიტოვებს ხელისუფლება ადამიანების შეზღუდვის უფლებას პარლამენტის გვერდის ავლით, 19 მაისი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/VrvNbfEz> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

ამ საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ საბოლოო გადაწყვეტილება 2021 წლის 11 თებერვალს მიიღო და მოთხოვნების აბსოლუტური უმრავლესობა არ დააკმაყოფილა.¹⁹⁹ გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრი გამოთქვა მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძემ.²⁰⁰

მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ სასამართლო კონტროლის გარეშე პირის თავისუფლების უფლების შეზღუდვის, ასევე, საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს მთავრობისათვის რიგი კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვისა და კანონმდებლობისაგან განსხვავებული მოწესრიგების განუსაზღვრელად ფართო უფლებამოსილების მინიჭების ფორმალურ კონსტიტუციურობას. ამგვარად, მოცემული საქმე საინტერესო იყო იმ კუთხით, რომ სასამართლოს კონსტიტუციის დაცვით ხელისუფლების დანაწილებისა და შეკავებისა და გაწონასწორების პრინციპების პრაქტიკაში აღსრულება უნდა უზრუნველყო. როგორც აღმოჩნდა, საკონსტიტუციო სასამართლომ არც ეს მისია შეასრულა.

პირველი საკითხი, რაზეც სასამართლომ გადაწყვეტილებაში იმსჯელა, ეხებოდა იმას, იყო თუ არა ინფიცირებულ პირთან კონტაქტირებული პირისთვის თვითიზოლაციაში ყოფნის დავალდებულება ან საკარანტინო სივრცეში გადაყვანა პირის ფიზიკური თავისუფლების უფლების შეზღუდვა და მიიჩნია, რომ ეს მხოლოდ პირის განცალკევებას, კონკრეტული ადგილის დატოვების აკრძალვას გულისხმობდა და არა მისი ქცევის თავისუფლებაში ჩარევას, ანუ მხოლოდ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავდა. ამგვარი განმარტებით სასამართლომ არაგონივრულად დაავიწროვა თავისუფლების უფლებით დაცული სფეროს ფარგლები და შეეწინააღმდეგა საკუთარ მყარად დადგენილ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, პირის ნების საწინააღმდეგოდ, მისი ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა და დახურულ სივრცეში გადაყვანა ან/და მოთავსება, ასევე პირის თავისუფლების ხანგრძლივი დროით შეზღუდვა მის ფიზიკურ თავისუფლების უფლებაში ინტენსიურ ჩარევად იყო შეფასებული, და სასამართლო კონტროლს საჭიროებდა.²⁰¹

როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა ადამიანის უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილების პარლამენტის მიერ მთავრობაზე დელეგირების კონსტიტუციურობაზე, რაც მოცემულ საქმეში სასამართლოს მიერ საკუთარი უმნიშვნელოვანესი მანდატის სწორად გააზრების და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მთავარი ტესტი უნდა ყოფილიყო. სასამართლოს განმარტებით, „საკითხის კანონით დარეგულირება ქმნის სტაბილურობის უფრო მაღალ გარანტიებს, თუმცა ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს უფრო მოქნილ მექანიზმს. ამ

¹⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე, „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

²⁰⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

²⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილი გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარა. 15-16; 21-22.

თვალსაზრისით, უფლებამოსილების დელეგირება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ხელს უწყობს მარტივ ნორმატიულ ცვლილებებს იმ სფეროებში, რომლებიც მოითხოვს ხშირ მოდიფიკაციას, რეგულირების მეცვლილ გარემოებებზე მორგებას გამარტივებული პროცედურების მეშვეობით“.²⁰²

სასამართლოს წარსულში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პარლამენტის მიერ ნორმატიული აქტების შემუშავების უფლებამოსილების დელეგირება შესაძლოა თავისთავად არ ყოფილიყო არაკონსტიტუციური, თუკი ის შესაბამის პირობებს დააკმაყოფილებდა. კერძოდ, დაუშვებლად შეფასდა პარლამენტის მიერ კონსტიტუციით პირდაპირ აკრძალული, ან/და ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხის დელეგირება, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის შეუზღუდავი დისკრეციის მინიჭება. აღნიშნული სტანდარტით განსაზღვრა ძირითადი უფლების შეზღუდვის შესახებ პრინციპული პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხის საკანონმდებლო აქტით გადაწყვეტასა და შეზღუდვის მიზნის, შინაარსისა და ფარგლების მკაფიოდ განსაზღვრის ვალდებულება. აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კი შესაძლებლად დადგინდა მხოლოდ კანონის აღსასრულებლად საჭირო დეტალების, პროცედურულ-ტექნიკურ საკითხთა მინდობა.²⁰³ შესაბამისად, სასამართლოს დელეგირების ამ შემთხვევის კონსტიტუციურობა სწორედ ამ კრიტერიუმებით უნდა შეეფასებინა.

თუმცა მოცემულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ უკიდურესად დაავიწროვა დელეგირების მიზნის, ფარგლებისა და შინაარსის განსაზღვრის დროს საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია მთავრობის უფლებამოსილების გაფართოების ხარჯზე. სასამართლოს შეფასებით, აღმასრულებელი ხელისუფლება გასცდებოდა სადავო ნორმებით დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებს, თუ: ა) შეზღუდვდა ისეთ უფლებას, რომელიც არ იყო მითითებული კანონში; ბ) უფლებაშემზღუდველი ღონისძიება არ ემსახურებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზანს; გ) უფლებაშემზღუდველი ღონისძიება ეწინააღმდეგებოდა პროპორციულობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს. ეს კრიტერიუმები ზედმეტად ფართო და ზოგადი იყო იმისთვის, რომ რეალური ზღვარი დაეწესებინა აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედების თავისუფლებაზე. მთავრობისთვის ამგვარი ფართო უფლებამოსილების გადანდობა კი ეწინააღმდეგება დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპებს, რომლებიც მთლიანად კონსტიტუციური წყობის საფუძველია. ამ უკანასკნელის დანერგვით ხდება ძალაუფლების კონცენტრაციისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან აცილება.

დელეგირების შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრულობაზე მსჯელობისას, სასამართლომ საკმარისად მიიჩნია დელეგირების აქტში იმ უფლებებზე უბრალოდ მითითება, რომელთა

²⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე, „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“. პარა. 2.40.

²⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე, „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, პარა. 2.30.

შეზღუდვის უფლებამოსილებაც მთავრობას მიენიჭა ისე, რომ მათი შეზღუდვის შინაარსი და მასშტაბი საერთოდ არ განუსაზღვრავს. ამ სტანდარტით, პარლამენტს არ მოეთხოვება იმ უფლებრივი კომპონენტების დაკონკრეტებაც კი, რომელთაც დასახელებული უფლებები აერთიანებს. შედეგად, მთავრობამ არაერთი ზომა მიიღო ძირითადი უფლებების შეზღუდვისთვის, რომელიც სცდებოდა უბრალოდ კანონის ინტერპრეტაციისთვის აუცილებელ ტექნიკურ-პროცედურულ მოწესრიგებას. ამასთანავე, სადავო ნორმები არათუ არ აკონკრეტებდა აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედების ფარგლებს, არამედ ანიჭებდა მას კანონისგან განსხვავებული რეგულირების შემოღების უფლებამოსილებას. ეს კი, ფაქტობრივად გაუტოლდა კანონმდებლის ექსპლიციტიურ უარს დაუწესოს საზღვრები აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედების თავისუფლებას. შედეგად, აღმასრულებელი ხელისუფლების შეუზღუდავ ძალაუფლებაში მოექცა როგორც შეზღუდვების დაწესების, ისე მათი აღსრულების უფლებამოსილება, რითაც დაირღვა ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი და უფლების შეზღუდვის მომეტებული რისკები გაჩნდა. აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის ასეთი განუსაზღვრელი უფლებამოსილების მინიჭების პირობებში, კი მაკონტროლებელ ორგანოს აღარ დარჩა უფლებაში გადამეტებულ ჩარევაზე კონტროლის რეალური ბერკეტი. თუმცა ეს სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია.

საკონსტიტუციო სასამართლომ ცალკე იმსჯელა, ხომ არ მომხდარა საკანონმდებლო ორგანოს მიერ მთავრობაზე ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება და განსაზღვრა ფუნდამენტური საკითხების კონკრეტული ჩამონათვალი: ა) ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სამართლებრივი თუ პოლიტიკური განვითარების ფუძემდებლური პრინციპები და ძირითადი არსი; ბ) მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხები; გ) საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებზე; დ) ინდივიდის ძირითად უფლებებში მძიმე ფორმით ჩარევა.

ადამიანის უფლებების შეზღუდვა თავისთავად მიიჩნევა ისეთ ფუნდამენტურ საკითხად, რომელზეც, პრინციპული გადაწყვეტილების მიღება საკანონმდებლო ორგანოს ექსკლუზიური კომპეტენციაა. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ თავადვე მიუთითა, რომ პანდემიასთან ბრძოლის პროცესში ადამიანის უფლებათა შემზღუდველი ღონისძიებები პოლიტიკურად მნიშვნელოვანი თემა და საზოგადოების ფართო ინტერესების საგანი იყო. ამის მიუხედავად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ეს არ იყო საკმარისი საკითხისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მისანიჭებლად. შეზღუდვების დროებითი ხასიათისა და მათი მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნებით შემოფარგვლის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ისინი მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენდა ქვეყნის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივებზე. ამასთანავე, სასამართლოს მსჯელობით, ეს არ იწვევდა უფლებებში ინტენსიურ ჩარევას და არ იყო რეპრესიული ხასიათის, თუმცა ამისთვის მან დაწესებული შეზღუდვების სელექციურად მსუბუქი მაგალითები მოიყვანა და ყურადღების მიღმა დატოვა ის ფაქტი, რომ ცვლილებები ამ შეზღუდვების დარღვევისთვის მკაცრ ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ სანქციებს ითვალისწინებდა.

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობისათვის დელეგირება გამართლებულად მიიჩნია პანდემიისგან წარმომდგარი საფრთხეების წინააღმდეგ დროული და, რაც შეიძლება, ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების საჭიროებით.

საბოლოოდ, ამ ცვლილებებით ქვეყანაში შეიქმნა დე-ფაქტო საგანგებო მდგომარეობა აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობისგან დაცვის იმ მინიმალური გარანტიების გარეშე, რომლებიც ვრცელდება „დე იურე“ საგანგებო მდგომარეობაზე და რომლის თანახმადაც, ამ პროცესშიც კი პარლამენტს უფლების გაუმართლებელ შეზღუდვაზე კონტროლის ბერკეტი და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს გადაწყვეტილებების დადასტურების/უარყოფის უფლებამოსილება რჩება.

მოცემულ საქმეში კარგად გამოჩნდა, რომ პანდემიის პერიოდში საქართველოს პარლამენტმა ფაქტობრივად უარი თქვა საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელებაზე და პანდემიასთან ბრძოლის რეჟიმში უფლების შემზღუდველი ზომების დაწესების უფლებამოსილება მთლიანად აღმასრულებელ ხელისუფლებას მიანდო. საკონსტიტუციო სასამართლომ კი, თავის მხრივ, ვერ შეასრულა კონსტიტუციით დაკისრებული უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილება ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ეფექტიანი აღსრულების თაობაზე და უარი თქვა ეფექტიანი კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებაზე.

2022 წელი: „ლონდა თოლორაიას საქმე“ - დამოუკიდებელი ინსტიტუტის გაუქმება ინდივიდუალური დავის საფარქვეშ

„ქართული ოცნების“ მიერ ძალაუფლების კონსოლიდაციის შეუქცევად გზაზე დადგომის და ამ პროცესში მაშველ რგოლად საკონსტიტუციო სასამართლოს გამოყენების მორიგი მძიმე შემთხვევა უკავშირდება აწ უკვე გაუქმებული დამოუკიდებელი საზედამხებელო ორგანოს - სახელმწიფოს ინსპექტორის გაუქმებასა და მისი ხელმძღვანელის - ლონდა თოლორაიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საქმეს.

სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება საქართველოსთვის წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მექანიზმის არარსებობამ კი ხელი შეუწყო სამართალდამცავ სისტემაში უფლებამოსილების გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობის ფართოდ გავრცელებას. სწორედ ამ სისტემური ხარვეზების გამოსწორების მიზნით, ჯერ კიდევ 2015 წელს, სამოქალაქო საზოგადოებამ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას, საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციით. მექანიზმის შექმნა ასევე იყო გათვალისწინებული ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგით.

2018 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ინსპექტორს მხოლოდ გამოძიების წარმოების უფლება მიეცა და მასზე საპროცესო ზედამხედველობის უფლება საქართველოს პროკურატურამ სრულად შეინარჩუნა. კანონის ამოქმედება პარლამენტმა ზედიზედ ოთხჯერ

გადადო და საბოლოოდ, ინსპექტორის სამსახური 2019 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა. მასვე მიენიჭა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ფუნქციებიც. ამოქმედებიდან 2 წლის თავზე, სამსახურის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას დადებითად აფასებდნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც. მართალია, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნის პროცესში, არასამთავრობო სექტორი მიიჩნევდა, რომ გამოძიების და ინფორმაციის დამუშავების კანონიერების კონტროლის ფუნქციების ერთ უწყებაში მოქცევა, შესაძლოა, ეფექტიანი არ ყოფილიყო, თუმცა, ინსტიტუტზე დაკვირვებამ ნათლად აჩვენა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საგამოძიებო ფუნქციების თავსებადობის კუთხით პრაქტიკაში ხარვეზი არ გამოვლენილა. შესაბამისად, შემდგომი ეტაპი, ლოგიკურად, ამ სამსახურის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება და მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდა უნდა ყოფილიყო.²⁰⁴

ამის მიუხედავად, „ქართული ოცნებისთვის“ პრობლემა სწორედ ამ სამსახურის დამოუკიდებლობის არსებული ხარისხი და მისთვის ამ უწყების პოლიტიკურად არასასურველი გადაწყვეტილებები აღმოჩნდა, მათ შორის, საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და გასაჯაროების ფაქტთან დაკავშირებით, ასევე გარდაცვლილი ჟურნალისტის, ლექსო ლაშქარავას პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებასა და სავარაუდო ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ფაქტების ამსახველი მასალების გასაჯაროებასთან მიმართებით.²⁰⁵

შესაბამისად, რეტროსპექტივაში გასაკვირი არ არის, რომ 2021 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა და მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და მის ნაცვლად შეიქმნა ორი ახალი უწყება: სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.²⁰⁶ კანონის თანახმად, 2022 წლის 1-ლი მარტიდან უფლებამოსილება ავტომატურად უწყებობდათ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ხელმძღვანელს, ლონდა თოლორაიას, და მის მოადგილეებს. თოლორაია ამ თანამდებობაზე პარლამენტმა 2019 წელს აირჩია 6 წლის ვადით. სამოქალაქო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მოწოდების მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონპროექტს და ვეტო არ გამოიყენა.²⁰⁷

მაღევე, 25 იანვარს, ლონდა თოლორაიამ სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობასთან ერთად საქმის დაჩქარებული განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გასაჩივრებული ნორმების მოქმედების

²⁰⁴ არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით, 26 დეკემბერი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/2rcRdEXs>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²⁰⁵ იქვე.

²⁰⁶ IPN, პარლამენტმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენით დაამტკიცა - სამსახური მუშაობას 2022 წლის 1-ელი მარტიდან შეწყვეტს, 30 დეკემბერი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/RrcRd5MU>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²⁰⁷ ნეტგაზეთი, ზურაბიშვილმა ვეტო არ დაადო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების კანონის, 13 იანვარი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/586449/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

შეჩერება მოითხოვს. სამოქალაქო ორგანიზაციები სასამართლოს მოუწოდებდნენ პრიორიტეტულად განეხილა თოლორაიას კონსტიტუციური სარჩელი და შეეჩერებინა სადავო ნორმის მოქმედება,²⁰⁸ მით უმეტეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არსებობდა თვისობრივად მსგავსი გადაწყვეტილება, როდესაც სასამართლომ შეაჩერა იმ აქტის მოქმედება, რომელიც იწვევდა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების - უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.²⁰⁹ ამასთანავე, სარჩელის განხილვა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების (პირველი მარტის) შემდგომ, ფაქტობრივად აზრს უკარგავდა ამ დავას, რადგან თოლორაიას თანამდებობაზე აღდგენა ფიზიკურად ვეღარ მოხერხდებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ, სადავო ნორმების ნაწილი არსებითად განსახილველად სამსახურის გაუქმებამდე 1 დღით ადრე - 28 თებერვალს მიიღო,²¹⁰ თუმცა სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების საკითხზე მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. საქმის შუალედურ, ასევე საბოლოო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი გამოთქვა მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძემ.²¹¹

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის შუალედური გადაწყვეტილება მორიგი სამწუხარო და შემაშფოთებელი პრეცედენტი აღმოჩნდა, რომელშიც სასამართლომ, ერთი მხრივ, ღიად უგულბელებო საკუთარი დადგენილი პრაქტიკა დამოუკიდებელი ორგანოებისა და ინსტიტუტების დაცვასთან დაკავშირებით, შინაარსი გამოაცალა ძირითადი უფლებების ეფექტიანი დაცვის უკიდურესად მნიშვნელოვან ბერკეტს - სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებას, და თანაც, მთელი ეს პროცესი ფაქტობრივად ერთი კერძო, სამსახურიდან ვადამდე გათავისუფლებული პირის დავამდე დაიყვანა იმის აუღიარებლად, რომ საქმე იმავე დროს ეხებოდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს ნაჩქარევად, აშკარად პოლიტიკური მიზნებით გაუქმებას, რომლის საქმიანობაც დადებითად ფასდებოდა და სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ საზოგადოებაში ნდობას აღძრავდა.

კერძოდ, სადავო ნორმების შეჩერებაზე მსჯელობისას სასამართლო ვერ დარწმუნდა მოსარჩელის არგუმენტაციაში, თუკი სადავო ნორმები მისი საბოლოო გადაწყვეტილებით გაუქმდებოდა, რატომ იქნებოდა მისი უფლებაში აღდგენა შეუძლებელი. არგუმენტად კი მოიყვანა, რომ „*აქტები, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს და ძალადაკარგულად აცხადებს, არაკონსტიტუციურია მათი*

²⁰⁸ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, მოვუწოდებთ საკონსტიტუციო სასამართლოს დროულად განიხილოს ლონდა თოლორაიას სარჩელი, 11 თებერვალი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/xrcRgehy>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის №1/1/1673 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ლონდა თოლორაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 17 ნოემბრის №1/9/1673,1681 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

მოქმედების სრულ პერიოდში და ამა თუ იმ უფლების დარღვევას იწვევენ მისი მოქმედების, სამართლებრივი შედეგის დადგომის მომენტიდან.²¹² შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლონდა თოლორაიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა არაკონსტიტუციური იქნებოდა ცვლილებების ძალაში შესვლის მომენტიდან. თუმცა ეს განმარტება მანიპულაციური და სამართლებრივად არასწორი იყო, რადგან საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგებს უმრავლეს შემთხვევაში ნორმის ძალადაკარგულად ცნობას უკავშირებს. ნორმა კი ძალას კარგავს გადაწყვეტილების გამოქვეყნების და არა ნორმის ამოქმედების მომენტში (თუ ეს გადაწყვეტილება არ აღგენს ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას). შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი, მოსარჩელე თანამდებობაზე ვერ აღდგებოდა, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუძალა არ აქვს.

სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე უარის არგუმენტად სასამართლომ, მათ შორის, ახლად შექმნილი სამსახურების იმ დროისათვის უკვე არჩეულ ხელმძღვანელთა ინტერესების დაცვა მოიშველია, მაშინ როდესაც თავად სასამართლომ დაუკარგა ფაქტობრივად დავას აზრი, როდესაც არათუ საბოლოო, არამედ შუალედური გადაწყვეტილებაც კი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ოფიციალურად გაუქმებამდე 1 დღით ადრე მიიღო. ამასთანავე, სასამართლომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას დაცვის ღირს უპირატეს სიკეთედ ცნო იმ პირთა (ახლი უწყებების ხელმძღვანელების) ლეგიტიმური მოლოდინები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების დროისათვის არჩეულნი იყვნენ თანამდებობებზე, თუმცა ჯერ კიდევ არ ახორციელებდნენ უფლებამოსილებებს. შესაბამისად, გაუგებარი იყო, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, როგორ უნდა მომხდარიყო თოლორაიას თანამდებობაზე აღდგენა მაშინ, როდესაც შეჩერების მექანიზმზე მსჯელობის დროსაც კი უპირატესად არა მისი, არამედ მესამე პირთა ინტერესები ჩაითვალა.

ამასთანავე, ზიანზე მსჯელობისას მოსარჩელე მხარის ინტერესები და მისი თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების თანხმლები ზიანი სასამართლომ მთლიანად მოსარჩელის, როგორც ინდივიდის, უფლებრივი გარანტიების ჭრილში დაინახა და არცერთ ნაწილში არ უმსჯელია ზოგადად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზე, იმ საფრთხეებსა და ზიანზე, რაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უეცარი გაუქმებით შეიძლება შექმნოდა მსგავსი სამსახურების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას და იმ პირთა სამართლებრივ ინტერესებს, რომლებიც ასეთი სამსახურების შეუფერხებელი საქმიანობით იყვნენ დაინტერესებულნი, რომ აღარაფერი ითქვას საზოგადოებრივი ნდობის ფაქტორზე, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ადამიანის უფლებათა ეფექტიანად დაცვაზე.

ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემული საქმის განსხვავებულობის წარმოჩენის სურვილით ფაქტობრივად და სამართლებრივად არასწორად განმარტა საკუთარი 2014 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის

²¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 28 თებერვლის №1/1/1673 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ლონდა თოლორაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პარა. 2. 22.

სამეურვეო საბჭოს წევრების ვადამდე გათავისუფლების საკითხს. სასამართლომ მიუთითა, რომ ახალი უწყებების ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, სამეურვეო საბჭოს შვიდივე წევრი გადაწყვეტილების მიღების დროისთვის არჩეული არ იყო, შესაბამისად, მათი უფლებების დაცვის ინტერესი არ არსებობდა, რაც არასწორად აღწერს აღნიშნული საქმის არსს. კერძოდ, მართალია, იმ დროისთვის სამეურვეო საბჭოს მხოლოდ რამდენიმე წევრი იყო არჩეული, თუმცა მათი უფლებამოსილებების გამხორციელება დამოკიდებული იყო კონკრეტულ გარემოებაზე - ყველა წევრის არჩევაზე. თოლორაიას საქმეშიც, ახალი უწყების ხელმძღვანელების უფლებამოსილებათა განხორციელების დაწყებაც კონკრეტულ ვადაზე - 2022 წლის 1 მარტზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების მიზნებისთვის ორივე საქმეზე ე.წ. „მესამე პირები“ თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ.

ამასთანავე, 2014 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ საბჭოს არჩეული წევრების ლეგიტიმური მოლოდინები ვერ გადაწონიდა მოსარჩელეთა ინტერესს, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებით, თავიდან აეცილებინა საკუთარი უფლებრივი მდგომარეობის შეზღუდვის შეუქცევადი ზიანი. შედეგად, პრეცედენტული გადაწყვეტილების ასეთი განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მცდარად წარმოაჩინა არამხოლოდ №569 საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არამედ სასამართლოს არგუმენტაციის არსებითად მანიპულაციური ინტერპრეტაცია გამოიყენა წინამდებარე საქმეში საკუთარი მსჯელობის დასასაბუთებლად. ასევე საინტერესო იყო, რომ სწორედ 2014 წლის საოქმო ჩანაწერში მიუთითებდა სასამართლო, რომ თუკი სადავო ნორმები არ შეჩერდებოდა, მოგვიანებით კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, მოსარჩელებს არ ექნებოდათ სამართლებრივი ბერკეტები, რომლებიც მათ თანამდებობაზე აღდგენის უფლებას მისცემდა. შესაბამისად, ამ ნაწილშიც, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი დადგენილი პრაქტიკის ანალიზი არასრულყოფილი და მანიპულაციური იყო.

საბოლოოდ, ლონდა თოლორაიას საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება რამდენიმე თვის შემდეგ, 2022 წლის 17 ნოემბერს²¹³ მიიღო და მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა - არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო ინსპექტორი და მისი მოადგილეები თანამდებობიდან გათავისუფლდნენ ტოლფასი თანამდებობის ან სამართლიანი კომპენსაციის შეუთავაზებლად. ანუ რეფორმის, როგორც სახელმწიფოს მიერ მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალების აუცილებლობის შემოწმებისას მიუთითა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება არ იყო ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება. მიზნის მიღწევის უფრო ნაკლებად მზღუდავ საშუალებებში კი სასამართლომ მოიაზრა სახელმწიფო ინსპექტორისათვის ტოლფასი თანამდებობის შეთავაზება, ან მისთვის სამართლიანი კომპენსაციის გადახდა. სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ინსპექტორისთვის სამართლიანი კომპენსაციის გადახდა იქნებოდა „უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო ... ძალიან მნიშვნელოვანი და დადებითი ნაბიჯი უფლებაში ჩარევის ინტენსიურობის შემცირებისა და ზიანის

²¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის №1/9/1673,1681 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მინიმალიზაციის თვალსაზრისით“²¹⁴ შედეგად, ამ განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების და შედეგად, მისი „ლეგიტიმური მოლოდინების გაცრუებისა და მატერიალური ზიანის საკომპენსაციო ღონისძიებად“ მიიჩნია ფინანსური ანაზღაურება, როგორც უფლებაში ჩარევის გამართლებისა და საკანონმდებლო აქტის კონსტიტუციურად მიჩნევისთვის საკმარისი ღონისძიება.

აშკარა იყო, რომ სასამართლომ ზემოაღნიშნული მსჯელობით სადავო საკითხის მნიშვნელობა კონკრეტული თანამდებობის პირების პერსონალურ შრომით ურთიერთობამდე დაავიწროვა. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ თავდაპირველად თავადვე მიუთითა, რომ სადავო საკანონმდებლო ცვლილებებს გავლენა ჰქონდა არა მხოლოდ კონკრეტული თანამდებობის პირთა უფლებებზე, არამედ, შესაძლოა, გამოეწვია „მსუსხავი ეფექტი“ სხვა არჩევითი თანამდებობის პირების სტაბილურობის გარანტიებზე. თუმცა, მისი საბოლოო მსჯელობა სწორედ ინდივიდუალური შემთხვევის ანალიზზე დავიდა, კანონის ამოქმედების ფართო კონტექსტისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს როლის სრული უგულებელყოფით და გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში ადამიანის ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის კუთხით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მნიშვნელოვანი როლის ვრცელი მიმოხილვა, გადაწყვეტილების დასკვნით ნაწილში საერთოდ აღარ აისახა.

საბოლოოდ, აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეფორმირების აუცილებლობასთან დაკავშირებით პარლამენტის არგუმენტების უპირობო გაზიარებით, კონსტიტუციურ ჩარჩოში მოაქცია სრულიად არადემოკრატიული პროცესი და სახიფათო პრეცედენტი, რომლითაც არჩევითი თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ სახელმწიფო ინსპექტორი და მისი მოადგილეები. გადაწყვეტილებაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ სათანადო ყურადღების მიღმა დატოვა საკანონმდებლო ცვლილებების მიღების ფართო კონტექსტი და თვალი დახუჭა პარლამენტის მიერ დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს ავტონომიისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვის საფრთხეებზე. ასეთი მიდგომა კი ნამდვილად კარგად ააშკარავებს საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების მასშტაბებს უკვე 2022 წლისთვის.

2023 წელი: „პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმე“ - საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატზე უარი პოლიტიკური შურისძიების სასარგებლოდ

2023 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მისი არსებობის განმავლობაში პირველად მიეცა შესაძლებლობა, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით გადაყენებასთან დაკავშირებით საკუთარი, კონსტიტუციით სავალდებულოდ განსაზღვრული დასკვნა მიეღო. ეს დასკვნა პირველივე ჯერზე სასამართლოს მხრიდან დადებითი აღმოჩნდა. ანუ მან დაადასტურა საქართველოს პრეზიდენტის - სალომე ზურაბიშვილის სადავოდ გამხდარი ქმედებებით კონსტიტუციის დარღვევა. იმპიჩმენტის საქმე სასამართლო პლენუმმა

²¹⁴ იქვე, პარა. 2.61.

განიხილა და გადაწყვეტილება 9 წევრიდან უმრავლესობის, 6 წევრის მხარდაჭერით მიიღო.²¹⁵ აქაც განსხვავებული აზრი გამოთქვეს მოსამართლეებმა - თეიმურაზ ტულუშმა, ირინე იმერლიშვილმა და გიორგი კვერენჩილაძემ.²¹⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს დადებითი დასკვნის მიუხედავად, პარლამენტმა პრეზიდენტის გადაყენება ვერ შეძლო, რადგან მას ამ გადაწყვეტილებისთვის საჭირო - 100 დეპუტატის თანხმობა არ ჰქონდა, რაც წინასწარ, საქმის სასამართლოში წაღებამდე იყო ცნობილი. ეს ფაქტი, ასევე „ქართული ოცნების“ ლიდერების წინასწარი განცხადებები ნათლად აჩვენებდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვით მმართველი გუნდის მიზანი პრეზიდენტის რეალურად გადაყენება არ და ვერ იქნებოდა და დავა „ოცნების“ პოლიტიკური ბრალდებების სასამართლოს მხრიდან ლეგიტიმაციის მინიჭება იყო, რაც საბოლოო ჯამში ასეც მოხდა.

აღნიშნული საკონსტიტუციური დავის სპეციფიკურობის და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, პროფესიულ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, სალომე ზურაბიშვილმა დაარღვია თუა არა საქართველოს კონსტიტუცია, თუმცა წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის უფრო მნიშვნელოვანი და პრობლემურია გადაწყვეტილების ის ნაწილი, სადაც სასამართლომ იმსჯელა იმპიჩმენტის პროცესში მისი უფლებამოსილების მასშტაბების თაობაზე, რამაც ის ფაქტობრივად იმპიჩმენტის საფუძვლების კონკრეტულ საქმეში არსებობის მექანიკურ მდგენელად განსაზღვრა. ამგვარი მიდგომით, ისევე როგორც ამ დოკუმენტში განხილულ სხვა რამდენიმე საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ თავად დაავიწროვა საკუთარი მანდატი პოლიტიკური ხელისუფლებისთვის სასურველი გადაწყვეტილების სასარგებლოდ და, ამავე დროს, სამართლებრივი ლეგიტიმაცია მიანიჭა „ოცნების“ პოლიტიკურ დღის წესრიგს, რაც საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად გამოყენების მორიგ შემთხვევად უნდა შეფასდეს.

დამატებით გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ საქმეს მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ეფექტი ჰქონდა, რადგან უახლოეს კვირებში საქართველო ელოდებოდა ევროკავშირის გადაწყვეტილებას კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით. შესაბამისად, მაღალი იყო შანსი, რომ იმპიჩმენტის პროცესი ნეგატიურ გავლენას იქონიებდა კანდიდატის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობაზე.

„ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის შესაძლო იმ იმპიჩმენტზე საუბარი ჯერ კიდევ 2022 წლის დასაწყისში დაიწყო, როდესაც ქვეყანაში მზარდი პოლიტიკური კრიზისის, და ამ ფონზე დაჩქარებული ევროინტეგრაციის პროცესში პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან დამაზიანებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, გაიზარდა მათ მიმართ ზურაბიშვილის

²¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 16 ნოემბრის №3/1/1797 დასკვნა საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრების (ირაკლი კობახიძის, შალვა პაპუაშვილის, მამუკა მდინარაძის და სხვების, სულ 80 წევრის) კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის სავარაუდო დარღვევის საკითხზე“.

²¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნასთან დაკავშირებით.

კრიტიკა. 2022 წლის 14 მარტს, ყოველწლიური საპარლამენტო მოხსენების ფარგლებში, ზურაბიშვილმა მმართველი გუნდი მკაცრად გააკრიტიკა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გასამართ ოფიციალურ ვიზიტებზე მთავრობის უარის შესახებ ისაუბრა.²¹⁷ ეს ვიზიტები „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ - ირაკლი კობახიძემ მაშინ კონსტიტუციის დარღვევად შეაფასა.²¹⁸ მალევე „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ დააანონსა, რომ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის დადასტურების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავდნენ. 2022 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა და საქართველოს ელჩების და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელების დანიშვნასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს მთავრობას შორის უფლებამოსილებების გამოჯვრის საკითხის განმარტება მოითხოვა. თუმცა 2023 წლის იანვარში ეს მიმართვა მთავრობამ უკან გამოიხმო დამატებითი განმარტების გარეშე.²¹⁹

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი პოლიტიკური დღის წესრიგში განმეორებით 2023 წლის სექტემბერში, მას შემდეგ დადგა, რაც მანამდე მთავრობამ პრეზიდენტს კვლავ უარი უთხრა ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით 10 ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტზე. უარის მიუხედავად, პრეზიდენტი ევროპელ ლიდერებთან შესახვედრად მაინც გაემგზავრა.²²⁰ 14 სექტემბერს, საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა კონსტიტუციური წარდგინება, რომლითაც მმართველი პარტიის 80 დეპუტატი სასამართლოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევაზე დასკვნის შემუშავების მოთხოვნით მიმართავდა. სასამართლომ დასკვნა 1 თვის თავზე, 16 ოქტომბერს მიიღო და პრეზიდენტი კონსტიტუციის დამრღვევად ცნო.

როგორც აღინიშნა, ამ საქმეში განსაკუთრებით საინტერესოა ის ნაწილი, თუ როგორ დაინახა საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი მანდატი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი მექანიზმის - პრეზიდენტის იმპიჩმენტის განხორციელების პროცესში. სასამართლოს განმარტებით, „იმპიჩმენტის კონსტიტუციური უფლებამოსილებანი გამიჯნულია პოლიტიკურ და სამართლებრივ კომპონენტებად და, შესაბამისად, განაწილებულია პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ხელისუფლებათა შორის იმგვარად, რომ სასამართლომ მხოლოდ სამართლებრივი კრიტერიუმებით უნდა შეაფასოს სადავო ქმედების კონსტიტუციურობა, ხოლო პოლიტიკურმა ხელისუფლებამ პოლიტიკური კრიტერიუმებით - ქმედების ჩამდენის თანამდებობიდან გადაყენების საჭიროება, გამართლებულობა და მიზანშეწონილობა“.²²¹ ამგვარი მოცემულობის პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ

²¹⁷ რადიო თავისუფლება, „სალომე ზურაბიშვილი: უარი მეთქვა პარიზში, ბრიუსელში, ბერლინსა და ვარშავაში ვიზიტებზე, მარტი 14, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/qrcRlMhg>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²¹⁸ რადიო თავისუფლება, „ირაკლი კობახიძე: თუ პრეზიდენტმა საერთაშორისო ვიზიტები მთავრობის უნებართვოდ განახორციელა, „კონსტიტუციის დარღვევა გამოდის“, მარტი 14, 2022, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/ycRzXn6>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²¹⁹ ნეტგაზეთი, მთავრობამ პრეზიდენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სარჩელი უკან გაიხმო, 7 თებერვალი, 2023, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/653873/>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²²⁰ რადიო თავისუფლება, საქართველოს პრეზიდენტი გერმანიის პრეზიდენტს შეხვდა, აგვისტო 31, 2023, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32572641.html>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²²¹ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 16 ოქტომბრის №3/1/1797 დასკვნა, პარა. 2.20.

იმპიჩმენტის საფუძვლებში - „კონსტიტუციის დარღვევა“/„დანაშაულის ნიშნების არსებობა“ უნდა განმარტებულიყო არა კონსტიტუციის მიზნებისთვის, როგორც ამის პრაქტიკა აქამდე ზოგადად არსებობდა, არამედ მისი „ორდინალური“ გაგებით, განზრახვის არსებობა/არარსებობის მიუხედავად. ამ ტერმინებისთვის ავტონომიური შინაარსების მინიჭება საჭირო იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დასკვნა ავტომატურად გამოიწვევდა პირის თანამდებობიდან გადაყენებას.²²² სასამართლოს მითითებით, საკუთარი კომპეტენციის სხვაგვარი, უფრო ფართო განმარტება „სასამართლოზე დაქვემდებარებულის გახდიდა თანამდებობიდან გადაყენების საკითხის გადაჭრას, რაც, გარდა იმისა, რომ კონსტიტუციის განზრახულობას არ წარმოადგენს, იქნებოდა პირდაპირი შეჭრა პარლამენტის კომპეტენციაში, რომელსაც მიანდო კონსტიტუციამ იმ საკითხის პოლიტიკური მიზანშეწონილობით შეფასება და გადაწყვეტა, ჩამოაცილოს თუ არა ხელისუფლებას შესაბამისი დარღვევის ჩამდენი თანამდებობის პირი“.²²³

ამავე დროს, სასამართლომ სრულად გაიზიარა პარლამენტის წარმომადგენელთა პოზიციები და გადაწყვიტა, პარლამენტისთვის (და არა საკუთარი თავისთვის ამავე მანდატის ფარგლებში) განესაზღვრა „იმპიჩმენტის დანიშნულებისთვის შესატყვისი, პოლიტიკური კრიტერიუმები“, „პოლიტიკური მიზანშეწონილობით“ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კერძოდ, სასამართლოს მითითებით, „პარლამენტის წევრებმა ხმის მიცემამდე უნდა განსაზღვრონ, მართლაც შეეხება თუ არა საქმე იმგვარ შემთხვევას, როდესაც შესაბამისი თანამდებობის პირის დაკავებულ თანამდებობაზე დატოვება, ჩადენილი ქმედების გამო, გამართლებული აღარ არის და მიზანშეუწონელია; საჯარო ინტერესის თვალსაზრისით, რა უფრო სწორია, მისი ხელისუფლებიდან ჩამოშორება თუ თანამდებობაზე დატოვება. პარლამენტის წევრები უნდა დარწმუნდნენ, რომ თანამდებობის პირმა თავისი ქმედებით დაადასტურა თანამდებობასთან მისი შეუფერებლობა და ის, რომ მან აღარ შეიძლება გააგრძელოს თავისი საქმიანობა ამ თანამდებობაზე“.²²⁴ ბოლოს, პარლამენტისთვის პოლიტიკური კრიტერიუმების განსაზღვრისას დამატებით მოტივად სასამართლომ ის დაასახელა, რომ იმპიჩმენტზე შემდგომი სასამართლო კონტროლი, გათვალისწინებული არ არის და რაიმე სამართლებრივი რეაგირების ფორმა არ არსებობს, ამიტომ, მნიშვნელოვანია, ამ პოლიტიკური უფლებამოსილების სწორად გამოყენება.

რაც შეეხება, უშუალოდ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის შესაძლო დარღვევას და მასზე კონსტიტუციის 78-ე მუხლით განსაზღვრული ევროინტეგრაციის ხელშეწყობის ვალდებულების გავლენას, სასამართლომ განმარტა, რომ ის არ უარყოფდა პრეზიდენტის ვიზიტების კეთილშობილურ მიზნებს, თუმცა მნიშვნელოვანი იყო მას ეს ზომები საკუთარი კონსტიტუციური უფლებამოსილებების ფარგლებში მიეღო. ეს უფლებამოსილებები კი, სასამართლოს განმარტებით, მთავრობის თანხმობით უნდა განხორციელებულიყო.²²⁵

²²² იქვე.

²²³ იქვე, პარა. 2. 21.

²²⁴ იქვე, პარა. 2.22.

²²⁵ იქვე, პარა. 2.71.

შეჯამების სახით, სასამართლომ მიუთითა, რომ „კონსტიტუციური მოთხოვნის დაუცველობის დიადი და კეთილშობილური მიზანი თუ კეთილი განზრახვა, რასაც, სავარაუდოდ, საქართველოს პრეზიდენტი ისახავდა, სამართლებრივად, ვერ გააუქმებს საკუთრივ კონსტიტუციური დანაწესის დარღვევის ფაქტს მისი მხრიდან. სასამართლო ვერ გამოავლენს შემგუებლურ დამოკიდებულებას კონსტიტუციის დანაწესის დარღვევისადმი იმ საფუძვლით, რომ დარღვევა კეთილ მიზანს ისახავდა.²²⁶

განსხვავებული აზრის ავტორთა მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციური მანდატი, ასევე პრეზიდენტის მიერ საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაზე მთავრობის თანხმობის განმსაზღვრელი კონსტიტუციური დანაწესის არსი და მიზანი. ამავე დროს, იმპიჩმენტის საფუძვლად მიჩნეული კონსტიტუციის დარღვევის ფაქტობრივად ფორმალურ, ნებისმიერი ხარისხის დარღვევამდე დაყვანით დაკნინდა ამ პროცესში სასამართლო კონტროლის მნიშვნელობა. კერძოდ, მათი განმარტებით, „იმპიჩმენტის პროცესში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სამართლებრივი კრიტერიუმებით შეაფასოს, საქართველოს კონსტიტუციის რომელი დებულება დაირღვა, გააანალიზოს, მათ შორის, დარღვევის ხასიათი, ინტენსივობა, მისგან გამოწვეული შედეგი, თანამდებობის პირის ბრალეულობის ხარისხი, იმ სამართლებრივ სიკეთეთა ურთიერთმიმართება, რაც შესაძლოა დაზიანდეს იმპიჩმენტის შედეგად და რის დაცვასაც ისახავს მიზნად იმპიჩმენტის პროცესი. სწორედ ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მხედველობაში მიღებით, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, დასაშვებია თუ არა პირის თანამდებობიდან გადაყენება. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს და აფასებს არა მხოლოდ თანამდებობის პირების მიერ კონსტიტუციის ფორმალურად დარღვევის ფაქტს, არამედ იმ გარემოებასაც, დარღვევა, თავისი მნიშვნელობით, რამდენად აღწევს იმ ხარისხს, რომ იმპიჩმენტის მიზნებისათვის ჩაითვალოს „კონსტიტუციის დარღვევად“ და, შესაბამისად, პირის თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლად“.²²⁷ ამის საპირისპიროდ კი, ის განმარტებები, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეში იმპიჩმენტზე საკუთარი მანდატის ფარგლებთან დაკავშირებით გააკეთა, მოსამართლეთა პოზიციით, სასამართლოს მიერ საკუთარი ფუნქციის განხორციელებაზე უარის თქმას ნიშნავდა: „ხსენებული მიდგომით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკურ შეფასებას უქვემდებარებს საკითხს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის, ცალსახად სამართლებრივია. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება სამართლებრივი ზემოქმედების ფორმას წარმოადგენს, იგი მხოლოდ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის ან/და კანონმდებლობის დარღვევას შეიძლება მოჰყვეს. სხვაგვარად, კითხვაზე – იმსახურებს თუ არა საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებას, პასუხი

²²⁶ იქვე, პარა. 2.74.

²²⁷ განსხვავებული აზრი, პარა. 49.

უნდა გასცეს საკონსტიტუციო სასამართლომ, სამართლებრივი ანალიზის შედეგად და არა საქართველოს პარლამენტმა – პოლიტიკური მიზანშეწონილობით“.²²⁸

განსხვავებული აზრის ავტორებმა ამ საქმეშიც ასევე სწორად გააკრიტიკეს საკონსტიტუციო სასამართლოს უმრავლესობის მიერ საკუთარი პრაქტიკის უფლებელყოფა და ორმაგი სტანდარტების დამკვიდრების მცდელობა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარ 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებაში, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, განსაზღვრა, პირის დამნაშავედ ცნობას პარლამენტის წევრის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტისთვის ჰქონდა თუ არა სხვა დატვირთვა, გარდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიზნებისა (ნებისმიერი გამამტყუნებელი განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე) და განმარტა, რომ „ყველა სამართალდარღვევა, რომელთან დაკავშირებით დევნის განხორციელებისას პირი საჭიროებს სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი კომპონენტებით დადგენილ გარანტიებს, შეიძლება არ იყოს ისეთი ხასიათის, რომლის ჩადენაც არ არის თავსებადი პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განხორციელების გაგრძელებასთან“.²²⁹

ამგვარად, სასამართლომ მელიას საქმეზე სწორად მიმართა მის მიერ წლების განმავლობაში მყარად დადგენილ პრაქტიკას, კონსტიტუციური ტერმინების ავტონომიური შინაარსით წაკითხვის თაობაზე. მაგრამ იმპიჩმენტის საქმეში სასამართლომ ამგვარი შესაძლებლობა არ გაითვალისწინა. შედეგად, განსხვავებული აზრის ავტორთა მითითებით გამოვიდა, რომ „საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია ნებისმიერი, თუნდაც მცირე მნიშვნელობის დანაშაულის ჩადენის ან/და კონსტიტუციის ფორმალური დარღვევისათვის, მაშინ, როდესაც თუ იგივე ქმედება საქართველოს პარლამენტის წევრის მიერაა ჩადენილი (და თან სასამართლოს განაჩენითაა დადასტურებული), საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს, რამდენად თავსებადია საქართველოს კონსტიტუციასთან პარლამენტის წევრის მიერ საქმიანობის გაგრძელება. საქართველოს კონსტიტუციის დებულებების ამგვარი, არასისტემური და შინაარსგამოცლილი წაკითხვა აკნინებს არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს როლს, არამედ სათანადო სამართლებრივი დაცვის, გარანტიების გარეშე ტოვებს იმპიჩმენტის პროცედურას დაქვემდებარებულ პირს“.²³⁰

ამასთანავე, მოსამართლეთა განმარტებით, თანამდებობიდან დაუსაბუთებლად ჩამოშორების რისკებს, ცხადია, ვერ აზღვევდა საქართველოს პარლამენტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ფაქტი, რამდენადაც პარლამენტის გადაწყვეტილება აბსოლუტურად პოლიტიკურ მიზანშეწონილობაზე იყო დამოკიდებული, რაც თუნდაც სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილებით დეპუტატებისთვის არასწორად განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინების ვალდებულებას საერთოდ არ წარმოშობდა. შესაბამისად, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა მის მიერ დადგენილი

²²⁸ იქვე, პარა. 40.

²²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/1473 საქმეზე, „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარა. 22.

²³⁰ განსხვავებული აზრი, პარა. 52.

კონსტიტუციის დარღვევის სიმძიმე და გადაწყვეტა, ჩადენილი ქმედება, იმპიჩმენტის მიზნებისთვის, იყო თუ არა „კონსტიტუციის დარღვევა“ და, შედეგად, არსებობდა თუ არა მაღალი კონსტიტუციური სტატუსის მქონე პირის - პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების წინაპირობა. მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც კონსტიტუციური წარდგინების ავტორები, ისევე როგორც მთავრობის წარმომადგენლები, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე არც კი მიუთითებდნენ, რომ საქართველოს ინტერესებს მიაღწა რაიმე ტიპის ზიანი, საქართველოს პრეზიდენტის ქმედებებს მოჰყვა ნეგატიური შედეგები საგარეო პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით, შეფერხდა კონსტიტუციურ ორგანოთა ფუნქციონირება ან წარმოიშვა იმგვარი საფრთხე, რომელმაც საფუძველი გამოაცალა პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი საზოგადოებრივ ნდობას, რამაც აუცილებელი გახდა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება.

საბოლოოდ, განსხვავებული აზრის ავტორებმა სწორად მიუთითეს, რომ „სასამართლოს მიერ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებაზე თანხმობის მიცემა, ფაქტობრივად, იმ მოტივით ხდება, რომ მან შეიძლება მომავალში საქართველოს მთავრობის მიერ საგარეო პოლიტიკის განხორციელებას შეუშალოს ხელი. შედეგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ფორმალურ-სამართლებრივ საფუძველს უქმნის პოლიტიკურ ხედვებს, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი, კონსტიტუციის დარღვევის მოტივით, შესაძლოა, გადაყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან, ვინაიდან „არ ენდობიან“ მას. მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას არ ითვალისწინებს ხელისუფლების სხვა შტოების მხრიდან მისდამი ნდობის დაკარგვის გამო“.²³¹

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმე კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ იყენებს პოლიტიკური ხელისუფლება საკონსტიტუციო კონტროლს ბოროტად, როდესაც მიმართავს მას საკუთარი გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის დადასტურების მოთხოვნით. საკონსტიტუციო სასამართლომ კი, ამ საქმეშიც თავადვე დააკნინა საკუთარი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური მანდატი და თანამდებობის პირთა იმპიჩმენტის პროცესში საკუთარი როლი კონსტიტუციის დარღვევის მხოლოდ მექანიკურ შემფასებლად მოიაზრა, რითაც ასევე გამოაცალა უფლებრივი დაცვის გარანტიები იმ სახელმწიფო თანამდებობის პირებს, რომლებიც კონსტიტუციის თანახმად იმპიჩმენტს შეიძლება დაექვემდებარონ.

2024 წელი: ე.წ. „რუსული კანონის საქმე“ - სამოქალაქო სექტორის დევნა ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პირობებში

2024 წლის 3 აპრილს, „ქართული ოცნების“ მიერ „რუსული კანონის“ ხელახლა წარდგენას, ისევე როგორც პირველ ჯერზე, ქვეყანაში უწყვეტი, მასობრივი, მშვიდობიანი პროტესტი მოჰყვა. კანონის მიღების პირველი მცდელობა მწვავე კრიტიკის საგანი გახდა სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის, ევროკავშირის მხრიდან. 2023 წლის მარტში „ქართული ოცნება“ იძულებული გახდა, კანონპროექტი მეორე მოსმენით

²³¹ განსხვავებული აზრი, პარა. 36.

ჩაეგდო. მიუხედავად ამისა, „ოცნებამ“ იდენტური შინაარსის კანონპროექტი, მცირეოდენი ცვლილებებით, 2024 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე (2024 წლის 26 ოქტომბერი) რამდენიმე თვით ადრე, კვლავ დააინიცირა. კანონი ითვალისწინებდა დისკრიმინაციული და მასტიგმატიზებული რეესტრის შექმნას არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებისთვის, რომლებიც წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოური წყაროებიდან იღებენ. ასეთი ორგანიზაციები „უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციად“ უნდა დარეგისტრირებულიყვნენ და შესაბამისი დეკლარაციები წარედგინათ. რეგისტრაციისა და დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, კანონი ითვალისწინებდა მძიმე ფინანსურ სანქციებს, რაც, საბოლოოდ, ორგანიზაციების ფუნქციონირებას შეუძლებელს გახდიდა. ეს ორგანიზაციები ასევე ექვემდებარებოდნენ ინტენსიურ მონიტორინგს და მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს უფლება ენიჭებოდა, ნებისმიერი პირისგან (მათ შორის, ფიზიკური პირებისგან) მოეთხოვა ნებისმიერი საიდუმლოების (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა) და პერსონალური მონაცემების (მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების) შემცველი ინფორმაციის გადაცემა. საპროტესტო ტალღისა და მწვავე საერთაშორისო შეფასებების მიუხედავად, 14 მაისს პარლამენტმა „რუსული კანონი“ მიიღო, 2 კვირაში კი პრეზიდენტის ვეტოც დაძლია.²³²

2024 წლის ივლისში საქართველოს პრეზიდენტმა, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა და 120-მა არასამთავრობო და მედიაორგანიზაციამ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სარჩელები წარადგინეს და სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კანონის არაკონსტიტუციური ნორმების ამოქმედების შეჩერებაც მოითხოვეს. სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 8 მოსამართლის შემადგენლობით, აგვისტოს ბოლოს განიხილა, შუალედური გადაწყვეტილება 4 ოქტომბერს მიიღო და სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე უარი თქვა.²³³ საქმის განხილვაში, როგორც თავად განაცხადა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მონაწილეობა არ მიუღია ირინე იმერლიშვილს. საქმეზე განსხვავებული აზრი გამოთქვეს მოსამართლეებმა - თეიმურაზ ტულუშმა და გიორგი კვერენჩილაძემ.²³⁴

გარდა ძირითად უფლებებთან არსობრივი წინააღმდეგობისა, მოსარჩელების ნაწილი მიუთითებდა, რომ „რუსული კანონი“ არსობრივად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს

²³² საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიცირებიდან 60 დღის განმავლობაში“, ივნისი, 2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/orcRUHnv> ; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 9 ოქტომბრის №3/3/1828,1829,1834,1837 საოქმო ჩანაწერი საქმეზე, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრები: თამარ კორძაია, ანა ნაცვლიშვილი, ლევან ბეჟაშვილი და სხვები (სულ 38 დეპუტატი), ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, ა(ა)იპ „უფლებები საქართველო“, ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“ და სხვები (სულ 122 მოსარჩელე), შპს „საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ და ა(ა)იპ „სტუდია მონიტორი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

²³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – გიორგი კვერენჩილაძის და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 4 ოქტომბრის №3/3/1828,1829,1834,1837 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით.

კონსტიტუციის 78-ე მუხლს, რომელიც კონსტიტუციურ ორგანოებს ავალდებულებს, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. სადავო კანონი უცხო ძალად მიიჩნევა ორგანიზაციას, რომელში გაწევრიანებაც საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული მიზანია და პრაქტიკაშიც აფერხებდა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, ვინაიდან, პირდაპირ თუ ირიბად, შეუძლებელს ხდიდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის აუცილებელ წინაპირობად იყო დასახელებული.

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის პოზიციით, კანონის სუბიექტი სამოქალაქო და მედიაორგანიზაციები არსებით გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. ისინი, ხშირად, საზოგადოების სახელით გამოხატავდნენ მოსაზრებებს, თანამშრომლობდნენ საერთაშორისო პარტნიორებთან, ასევე კანონმდებლობის საფუძველზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სხვადასხვა კომისიის საქმიანობაში, რომლებიც იღებენ ისეთ საკადრო გადაწყვეტილებებს, როგორიცაა ცალკეული, მათ შორის, კონსტიტუციური ორგანოების წევრთა შერჩევა. მათ ჩართულობასა და როლს ასევე მოიაზრებდა ევროინტეგრაციის პროცესი. შესაბამისად, ამ ორგანიზაციებს ენიჭებოდათ მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებისას, არსებითი იყო მათი ანგარიშვალდებულება და საზოგადოების ინფორმირება თავიანთი საქმიანობის თაობაზე. პარლამენტის პოზიციით, სადავო ნორმები გამჭვირვალობის ლეგიტიმურ მიზანს და სახელმწიფო სუვერენიტეტის უზრუნველყოფას ემსახურებოდა. საზოგადოებას, როგორც ხელისუფლების წყაროს, უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, მიეღო ინფორმირებული გადაწყვეტილება და არ უნდა ყოფილიყო ინფორმაციულად მოწყვლადი.

რამდენადაც საკონსტიტუციო სარჩელების განხილვის პირველ ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბუთდება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელსაც სასამართლო არსებითად განსახილველად არ იღებს, ასევე, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებაზე თანხმობის ან უარის ნაწილში, გადაწყვეტილებაში ძირითადი პრობლემური მსჯელობა სწორედ სადავო ნორმების მოქმედების შეჩერებას შეეხო.

კერძოდ, სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სადავო ნორმების მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, თუ მათი მოქმედება შეიცავს გამოუსწორებელი ზიანის მიყენების რეალურ საფრთხეს; მათი შეჩერებით შესაძლებელია ამ საფრთხის თავიდან აცილება და არ იქმნება სხვა პირების უფლებებისა და საჯარო ინტერესების გაუმართლებელი შეზღუდვის საფრთხე. მოსარჩელები ნორმების შეჩერებას ითხოვდნენ 3 საფუძველით: ა) სახელდება - „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“ - მასტიგმატიზებულია და კანონის მოქმედების სფეროში მოქცეული ორგანიზაციების რეესტრში ამ სახელით შეტანა დააზიანებს მათ რეპუტაციას და შეაფერხებს მათ საქმიანობას; ბ) ანგარიშგებისა და მონიტორინგის ფარგლებში ხდება, მათ შორის, კრიტიკულად სენსიტიურ პერსონალურ ინფორმაციაზე სახელმწიფო ორგანოს წვდომა და ამ ინფორმაციის გასაჯაროება, ამავე დროს, ანგარიშგების წარდგენა და მონიტორინგის პროცესი მძიმე ადმინისტრაციულ ტვირთს აკისრებს

ორგანიზაციებს; გ) მთლიანად კანონი აფერხებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს.

პირველ მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ დასაწყისში სწორად იმსჯელა სამოქალაქო და მედიაორგანიზაციების საქმიანობის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე და ამ პროცესში მათ სანდოობაზე, ასევე ამ პროცესში საზოგადოების მხრიდან მათ დამოუკიდებლად აღქმაზე. თუმცა *იქვე სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა, შესაძლოა, უმეტესწილად სრულ თანხვედრაში იყოს საქართველოს და მისი მოქალაქეების ინტერესებთან, მიზნად ისახავდეს და რეალურად ემსახურებოდეს ამ ინტერესების დაცვას და წარმოადგენდეს დემოკრატიის, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვის და ა.შ. ხელშეწყობას, თუმცა, შესაძლოა, ეს სულ ასე არ იყოს და ასეთი ორგანიზაციები, შესაძლოა, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დასჯად ქმედებებსაც ახორციელებდნენ. მსჯელობის ამ ნაწილში გაუგებარი დარჩა, სადავო კანონს, რომლის ოფიციალურად გაცხადებული მიზანი გამჭვირვალობა იყო, რა წვლილი უნდა შეეტანა ასეთი „მტრული“ ორგანიზაციების ეფექტიან სამართლებრივ პასუხისმგებლობაში, ამისათვის შესაბამისი, მათ შორის, სისხლის სამართლის კანონმდებლობის არსებობის პირობებში.*

სასამართლოს, ასევე ოსტატურად, არ უარუყვია სადავო ნორმებით სამოქალაქო და მედიაორგანიზაციებისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენების საფრთხე, თუმცა, იმავე დროს, მიუთითა, რომ ზიანის სიმძიმე და მისი განგრძობადი ხასიათი არ იყო თავისთავადი ან/და თვითკმარი არგუმენტი ამ ზიანის გამოუსწორებელი ბუნების წარმოსაჩენად.²³⁵ კერძოდ, განსხვავებული აზრის ავტორებისგან განსხვავებით, სასამართლო შემადგენლობის უმრავლესობამ ვერ დაინახა, რატომ არ არსებობდა მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილებისა და სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში ამ ორგანიზაციებისათვის „დამდგარი უარყოფითი შედეგების უკუქცევისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა“.²³⁶

რაც შეეხება, მოსარჩელე ორგანიზაციების მიერ დეკლარაციის შევსების ვალდებულებიდან, მონიტორინგის ხანგრძლივობისა და დაცულ ინფორმაციაზე სახელმწიფო ორგანოების თითქმის შეუზღუდავი წვდომიდან მომდინარე საფრთხეებს, საკონსტიტუციო სასამართლოს არცერთი საფრთხე არ მიუჩნევია დასაბუთებულად. კერძოდ, გადაწყვეტილების თანახმად, საფინანსო დეკლარაციის შევსება და წარდგენა ორგანიზაციებისათვის არ წარმოადგენდა აუწვევლ ბუღალტრულ ტვირთს, რადგან საჯარო რეესტრის წარმომადგენელთა მითითებით, ანგარიშგების ფორმა, ისევე როგორც პროგრამები, რომლებსაც იყენებენ ორგანიზაციები ბუღალტერიის საწარმოებლად, დაფუძნებულია Microsoft Excel-ის ბაზაზე. შესაბამისად, ის მონაცემები, რომლებიც ორგანიზაციებს ბუღალტერიის წარმოების შედეგად ისედაც გააჩნდათ, მარტივად შეიძლებოდა ასახულიყო ფინანსური ანგარიშის

²³⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 4 ოქტომბრის №3/3/1828,1829,1834,1837 საოქმო ჩანაწერი, პარა. 2. 56.

²³⁶ იქვე, პარა. 2.57.

ფორმაში. მონიტორინგთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის განხილვის მომენტისათვის არცერთი ორგანიზაციის მონიტორინგი დაწყებულიც არ იყო, შესაბამისად, გამოუსწორებელი ზიანის მყისიერი საფრთხეები არ არსებობდა. ჯარიმების მოცულობასა და მათი დაკისრების შემთხვევაში ორგანიზაციების შესაძლო თვითლიკვიდაციაზე კი, სასამართლომ მკაცრად მიუთითა, რომ მოსარჩელე მხარის ვალდებულება იყო, სასამართლო დაერწმუნებინა, რომ მას სწორედ სადავო კანონის მოქმედების პირობებში კანონის შესრულებით მიადგებოდა გამოუსწორებელი შედეგები და არა კანონის დარღვევის გამო დაჯარიმებით. ამავე დროს, თუ მოსარჩელეთა საქმიანობის ხელშეშლის აშკარა და მყისიერი საფრთხეები რეალური გახდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოიციხა სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების საკითხის შეფასებაზე მსჯელობასთან დაბრუნება.

განსხვავებული აზრის ავტორების მწვავე კრიტიკა გამოიწვია სასამართლოს მსჯელობამ სახელმწიფო ორგანოების მიერ მონიტორინგის პროცესში პირთა პირად ინფორმაციაზე წვდომის თითქმის შეუზღუდავი შესაძლებლობის შესახებ. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმების ამოქმედება იურიდიულ ძალას ვერ „გამოაცლიდა“ მოქმედ სპეციალურ კანონმდებლობას, რომლითაც პირდაპირ და უშუალოდ იყო დაცული ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროს, იურიდიული დახმარების მიმღები პირისა თუ პაციენტის უფლებები. სასამართლომ აქაც დამაჯერებლად მიიჩნია სადავო ნორმების უშუალოდ აღმასრულებელი ორგანოს - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს - წარმომადგენლის განმარტებები, რომ, მაგალითად, ორგანიზაციებს არ მოეთხოვებათ ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროს დასახელება და საფინანსო დეკლარაციაში მათი დასახელება და შეეძლოთ ეს მონაცემები თავად დაეფარათ.²³⁷ ბოლოს, სასამართლომ მიუთითა სადავო კანონის საფუძველზე მიღებულ კანონქვემდებარე აქტებში ცოტა ხნით ადრე შესულ ცვლილებებზე, რომლითაც დავიწროვდა საფინანსო დეკლარაციაში სავალდებულოდ შესატანი მონაცემების ჩამონათვალი.²³⁸ შესაბამისად, სასამართლოს მითითებით, „ასეთ მოცემულობაში, როდესაც აშკარად გამოკვეთილია ნორმის უფრო ვიწროდ გამოყენების ტენდენცია, ხოლო საწინააღმდეგო პრაქტიკა არ არსებობს, რაციონალურ საფუძველს იქნებოდა მოკლებული მსჯელობა, რომ თითქოს მართლაც არსებობს რეალური, გარდაუვალი და აუცდენელი საფრთხე იმისა, რომ ფინანსური გამჭვირვალობის მიზნებისთვის გამჟღავნდეს და გასაჯაროვდეს კონკრეტულ პირთა იმგვარი სენსიტიური მონაცემი, როგორიცაა, მაგალითად, სექსუალური ორიენტაცია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ან ადვოკატისთვის განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, ან/და ჟურნალისტური ინფორმაციის წყაროს ვინაობა“.²³⁹ განსხვავებული აზრის ავტორებმა არ გაიზიარეს კოლეგების პოზიცია, რომ „სადავო კანონის შინაარსი და ფარგლები

²³⁷ იქვე, პარა. 2.69.

²³⁸ იქვე, პარა. 2.71.

²³⁹ იქვე, პარა. 2.73.

შეიძლება შემცირდეს მის აღსასრულებლად გამოცემულ კანონქვემდებარე აქტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად. ამასთანავე, სადავო კანონით (მედია) ორგანიზაციებში დაცულ ინფორმაციაზე წვდომის ფარგლებს ვერ ამცირებს სხვა საკანონმდებლო აქტებში არსებული მოწესრიგება, რამდენადაც სადავო ნორმები ინფორმაციის მოპოვების უფლებასა და ფარგლებს დამოუკიდებლად აწესრიგებს. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, სადავო ნორმებიდან მომდინარე შეზღუდვის შინაარსთან და სახელმწიფოს მიერ მოპოვებადი/გამოქვეყნებადი ინფორმაციის ფარგლებთან მიმართებით, არსებითად მცდარია“.²⁴⁰

ბოლოს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესაძლო ხელშეშლაზე მსჯელობისას, სასამართლომ ასევე ვერ დაინახა, „რატომ ვერ უზრუნველყოფდა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუ მოხდებოდა სადავო ნორმათა არაკონსტიტუციურად ცნობა, აღნიშნული შედეგების აღმოფხვრას, ინტეგრაციის პროცესის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მხედველობაში მიღებით გაგრძელებასა და წარმართვას“.²⁴¹ სასამართლოს მითითებით, მას რომც შეეჩერებინა კანონის მოქმედება, იგი მას სამართლებრივი სივრციდან ვერ გააქრობდა და ვერც მისი არაკონსტიტუციურად ცნობის ლეგიტიმურ მოლოდინს გააჩენდა. შესაბამისად, მისთვის არ გამოკვეთილა დასაბუთება, თუ რატომ დააზღვევდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კანონის მოქმედების შეჩერება ევროკავშირთან ურთიერთობების გაუარესების საფრთხეებს.²⁴²

ამ გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ, სრულად უგულებელყო ქვეყანაში არსებული უმძიმესი პოლიტიკური და სოციალური კონტექსტები, ამასთანავე, ერთ-ერთი ყველაზე საგანგაშო ელემენტია ისიც, რომ კონსტიტუციის 78-ე მუხლზე მსჯელობის ნაწილში სასამართლომ ფაქტობრივად შინაარსი გამოაცალა და აზრი დაუკარგა კონსტიტუციის ამ უმნიშვნელოვანესი, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ტრაექტორიის განმსაზღვრელ დანაწესს, რაც არსებული მოვლენების გათვალისწინებით, სრულად მიესადაგა „ქართული ოცნების“ აწ უკვე გაცხადებულ, ანტიდასავლულ რიტორიკას და საფუძველი დაუდო ქვეყანაში უმწვავეს საზოგადოებრივ პროტესტს, რომელიც უკვე მე-6 თვეა გრძელდება.

აქვე, საინტერესოა, რომ „ქართულ ოცნებას“ ეს კანონი ჯერჯერობით არ აღუსრულებია და ამის მიზეზად ორგანიზაციების მიერ ნებაყოფლობით რეგისტრაციაზე უარს ასახელებს. დამატებით, „ოცნების“ პარლამენტმა ამ პროცესიდან მალევე მიიღო ამერიკული კანონის „უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ (Foreign Agents Registration Act (FARA)) ანალოგი, რომელიც სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის გაცილებით მძიმე ტვირთს და საკანონმდებლო მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სისხლის სამართლის

²⁴⁰ განსხვავებული აზრი, პარა. 8.

²⁴¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 4 ოქტომბრის №3/3/1828,1829,1834,1837 საოქმო ჩანაწერი, პარა. 2.77.

²⁴² იქვე, პარა. 2.78.

პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს.²⁴³ პარლამენტმა ასევე მიიღო „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებები, რომლითაც ორგანიზაციებისთვის უცხოური დაფინანსების მიღება მთავრობის თანხმობის გარეშე შეუძლებელი გახდა.²⁴⁴

ამ ყველაფრის ფონზე აშკარაა „ოცნების“ პოლიტიკური მიზანი დამოუკიდებელი სამოქალაქო და მედიაორგანიზაციების საქმიანობის ყოველმხრივი შეფერხების თაობაზე, იმგვარად, რომ ამ ორგანიზაციებმა საბოლოოდ ვეღარ შეძლონ საქმიანობის გაგრძელება და თვითღიკვიდაციას მიმართონ. ეს კი არა მხოლოდ ევროინტეგრაციის პროცესს დააზიანებს, არამედ ფუნდამენტურად დააზიანებს ქვეყანაში დარჩენილ იმ დემოკრატიულ პროცესებსა და აქტორებსაც, რომლებიც ფართომასშტაბიანი რეპრესიების მიუხედავად ჯერ კიდევ ახერხებენ ბრძოლის გაგრძელებას ავტორიტარული კონსოლიდაციის პროცესის წინააღმდეგ.

საკონსტიტუციო სასამართლოს კი, ამ პირობებში, „რუსულ კანონთან“ დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება დღემდე არ მიუღია.

2024 წელი: „საპარლამენტო არჩევნების საქმე“ - საკუთარ მანდატზე მორიგი უარი პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად

ბოლო 2 წლის განმავლობაში მზარდი პოლიტიკური კრიზისის პირობებში, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, კონსტიტუციის ჩარჩოებიდან გასული და ავტორიტარიზმის საბოლოო კონსოლიდაციის დაპირებებით მოქმედი პოლიტიკური ხელისუფლების შესაცვლელად, მთავარ დემოკრატიულ მექანიზმად ისახებოდა. საკმაოდ დიდი იყო საზოგადოების მობილიზაცია და „ქართული ოცნების“ უდიდესი სურვილის მიუხედავად, „რუსული კანონის“ მოქმედების პირობებში სამოქალაქო ორგანიზაციებს ვერ განეხორციელებინათ არჩევნების ეფექტიანი მონიტორინგი, მათ ეს მაინც მოახერხეს. მეტიც, სადამკვირვებლო პროცესში რიგითი მოქალაქეების ჩართულობაზე უპრეცედენტო კამპანია მიმდინარეობდა. პროცესს აქტიურად აკვირდებოდნენ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებიც.

საზოგადოებაში არსებული უდიდესი მოტივაციისა და მობილიზაციის მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ 150 საპარლამენტო მანდატიდან 89 მანდატი მიიღო. 26 ოქტომბერი, სადამკვირვებლო მისიების შეფასებით, ფართომასშტაბიანი და ფუნდამენტური ხასიათის დარღვევების ფონზე წარიმართა, რომელიც, მათ შორის, ხმის ფარულობის სისტემურ დარღვევას და ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედებას, ხმის მიცემის ძირითადი პროცედურების დაუცველობასა და დამკვირვებლებისთვის საქმიანობის განხორციელებაში ხელშეშლას

²⁴³ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, FARA სამოქალაქო და მედია ორგანიზაციებზე არ ვრცელდება: FARA-ს გამოყენების პრაქტიკა აშშ-ში და მისი დამზღვევი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტები, 09 მარტი 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/wrcROxOT>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²⁴⁴ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გრანტების შესახებ კანონში გატარებული ცვლილებების მიზანია ქართული სამოქალაქო საზოგადოების განადგურება - შეფასება, 17 აპრილი, 2025, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/PrcROGqx>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

უკავშირდებოდა,²⁴⁵ რამაც ევჭეჟეშ დააყენა ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობა.²⁴⁶ ეუთოს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, ხმის მიცემის ფარულობა ხშირად იყო კომპრომეტირებული და ვრცელდებოდა დაშინებისა და ამომრჩეველთა ზეწოლის ცნობები.²⁴⁷ არჩევნების შედეგები არ აღიარეს ბარიერგადალახულმა ოპოზიციურმა პარტიებმა და საქართველოს პრეზიდენტმა. ევროკავშირის პარლამენტის 28 ნოემბრის რეზოლუციის თანახმად, საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები არ იყო თავისუფალი და სამართლიანი და ხელისუფლებას ხელახალი არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდებდა.²⁴⁸

საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით სამართლებრივი დავების პირველი ნაწილი საერთო სასამართლოებში წარიმართა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ხმის ფარულობის დარღვევის და, შედეგად, ყველა საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის მოთხოვნით, დავა დაიწყო, რომლის დაკმაყოფილებაც ხელახალი არჩევნების დანიშვნის საფუძველს ქმნიდა, თუმცა პირველი ინსტანციის 24 სასამართლოდან ხმის ფარულობის დარღვევა მხოლოდ ერთმა - თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ დაადგინა. დანარჩენ შემთხვევაში, საია-ს და სხვა სადამკვირვებლო მისიების სარჩელები არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლოებმაც გაიზიარეს.

შედეგად, არჩევნების შემდგომ, პოლიტიკური კრიზისის სამართლებრივი გადაწყვეტის ერთადერთ ფორმალურ გზად საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა რჩებოდა, თუმცა რეალური მოლოდინები, სასამართლოს ზემოთ განხილული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, მინიმალური იყო. პრეზიდენტმა და პარლამენტის წევრებმა საკონსტიტუციო სასამართლოს 20 და 21 ნოემბერს მიმართეს. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობასთან ერთად, მოსარჩელები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ამ ნორმების შეჩერებას მოითხოვდნენ იმ დასაბუთებით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე ახალარჩეული პარლამენტის შეკრება შეუძლებელს გახდიდა გადაწყვეტილების აღსრულებას.

კონსტიტუციური დავის დაწყების მიუხედავად და უგულებელყოფით, ახალარჩეული პარლამენტი 25 ნოემბერს პირველ სხდომაზე მაინც შეიკრიბა, ხოლო 28 ნოემბერს მთავრობას ნდობა გამოუცხადა. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სწორედ მაშინ გახდა ნათელი, როდესაც სარჩელების რეგისტრაციის შემდგომ

²⁴⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, “2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღის შეფასება”, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/post/gancxadeba-27octomberi-11saati>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²⁴⁶ სამართლიანი არჩევნების, ჩემი ხმისა და საიას ერთობლივი შეფასება - 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, 19.11.2024, ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/ge/post/samartliani-archevnebis-chemi-xmisa-da-saias-ertoblivi-shepaseba-26-oktombris-saparlamento>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²⁴⁷ OSCE, “Georgia’s elections marred by an uneven playing field, pressure and tension, but voters were offered a wide choice: international observers”, 27.10.2024, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/579379>; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

²⁴⁸ European Parliament, “Georgia’s worsening democratic crisis following the recent parliamentary elections and alleged electoral fraud”, 28.11.2024, ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-10-2024-0054_EN.html; წვდომის თარიღი: 27.05.2025.

დაუყოვნებლივ განმწესრიგებელი სხდომის ჩანიშვნის ან სარჩელის არსებითად მისაღებად განხილვის მაგივრად, სასამართლო ახალარჩეული პარლამენტის შეკრებას დუმილით შეხვდა. ამ უმოქმედობით, საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკულად აზრი დაუკარგა მის წინაშე არსებული საქმის შემდგომ განხილვას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა საკუთარი, 29 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება, 3 დეკემბერს - ევროინტეგრაციის შეჩერებაზე „ქართული ოცნების“ სკანდალური გადაწყვეტილებისა და საპასუხოდ მასობრივი საზოგადოებრივი პროტესტისა და მისი ძალადობრივად დარბევების ფონზე გამოაქვეყნა.²⁴⁹ სასამართლომ უკიდურესად დაუსაბუთებელი, პრაქტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებით სარჩელები არც კი მიიღო განსახილველად, რითაც ფაქტობრივად უარი თქვა საკუთარ კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს - საარჩევნო დავის განხილვის კომპეტენციაზე. განჩინებაზე განსხვავებული აზრი გამოხატეს მოსამართლეებმა თეიმურაზ ტულუშმა²⁵⁰ და გიორგი კვერენჩილაძემ²⁵¹, მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობას, დამატებით, ტულუშმა - კენჭისყრის ფარულობასთან დაკავშირებითაც.

არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ დავების განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპეტენციაა, რომელიც, როგორც წინამდებარე დოკუმენტის სხვა თავებშიც აღინიშნა, წარსულში რამდენჯერმე გახდა პოლიტიკური ხელისუფლებების მხრიდან საკანონმდებლო დონეზე შეზღუდვის საგანი, ამ კომპეტენციის პოლიტიკური მაგნიტუდისა და მათი ირაციონალური შიშების გამო, მიუხედავად იმისა, რომ შექმნიდან 28 წლის განმავლობაში, სასამართლოს არჩევნების შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ დავის განხილვის პრეცედენტი პრაქტიკაში არ ჰქონია. შესაბამისად, მას ეს საქმე, პოლიტიკური კრიზისის გადაჭრის გარდა, თავისი კონსტიტუციური კომპეტენციების პრეცედენტული განმარტების შესაძლებლობასაც აძლევდა, რაც ნებისმიერი სასამართლოსთვის პოლიტიკური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის დემონსტრირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტესტი იქნებოდა. თუმცა, გასაკვირი არ არის, რომ სასამართლომ არათუ ჩააბარა ეს ტესტი, არამედ საერთოდ უარი თქვა ამ უფლებამოსილების განხორციელებაზე, რითაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი

²⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის №3/7/1848,1849 განჩინება საქმეზე, „საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ და საქართველოს პარლამენტის წევრების (თამარ კორძაია, ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ბოტკოველი და სხვები (სულ 30 წევრი)) კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ“.

²⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის №3/7/1848,1849 განჩინებასთან დაკავშირებით.

²⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის - გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2024 წლის 29 ნოემბრის №3/7/1848,1849 განჩინებასთან დაკავშირებით.

მის დამოუკიდებლობაზე კითხვებს, თუკი უკვე განხილული საქმეების შედეგების ფონზე ისინი ჯერ კიდევ ისმებოდა საზოგადოების რომელიმე ნაწილში. სამწუხარო ფაქტი იყო ისიც, რომ გადაწყვეტილებაში მოცემული დასაბუთება, ასევე მისი შედეგი, გაიზიარა მოსამართლე ირინე იმერლიშვილმაც, რომელიც მანამდე, წლების განმავლობაში, არაერთ პრინციპულად მნიშვნელოვან საქმეზე სწორი, დასაბუთებული მოსაზრებებით და განსხვავებული აზრების წერით გამოიჩინა.

კონსტიტუციით მინიჭებულ საკუთარ კომპეტენციაზე ფაქტობრივად უარის თქმის პარალელურად, კრიტიკას ვერ უძლებს თავად სასამართლოს განჩინებაში განვითარებული სამართლებრივი მსჯელობა კონსტიტუციური სარჩელების მიუღებლობის მოტივებთან დაკავშირებით.

სარჩელებში სადავოდ იყო გამხდარი რამდენიმე საკითხი²⁵², თუმცა დავის ძირითადი არსი, არსებითად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობას უკავშირდებოდა. აშკარა იყო ისიც, რომ სადავო საკითხების მრავალფეროვნების მიუხედავად, მოცემულ დავაში გადამწყვეტ როლს არჩევნების საყოველთაობისა და მოქალაქეთა ხმის მიცემის ფარულობის, როგორც დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების 5 ფუნდამენტური პრინციპიდან ერთის შესაძლო დარღვევა ასრულებდა. მისი დადასტურების შემთხვევაში კი, საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხი დგებოდა ეჭვქვეშ, რამდენადაც ხმის უფლების ფარულობის დარღვევა ამომრჩეველთა დაახლოებით 90 პროცენტს ეხებოდა.

განჩინებაში საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი მსჯელობის უმეტესი ნაწილი მიუძღვნა 2 მტკიცებას: ა) კონსტიტუციური სარჩელები დაუსაბუთებელია, რადგან მოსარჩელებმა ვერ წარმოადგინეს შესაბამისი მტკიცებულებები; ბ) ხმის ფარულობის ნაწილში, პრობლემები შესაძლებელია ყოფილიყო საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანოთა ქმედებებში, მაგრამ არა მათი გადაწყვეტილებების და კანონმდებლობის ნორმების შინაარსებში. შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობით, ის მოკლებული იყო შესაძლებლობას, ემსჯელა სადავო ნორმებისა და, შესაბამისად, ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობაზე.

პირველ რიგში, განჩინებაში განვითარებული მსჯელობა მინიმალურადაც კი არ შეხებია არჩევნების ფუნდამენტური პრინციპების, მოქალაქეთა აქტიური საარჩევნო უფლებისა და მათი დაცვის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციისა და როლის საბაზო დონეზე განმარტებას. სასამართლომ მსჯელობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო არა მოქალაქეთა საარჩევნო ხმის უფლების მიმართ არსებულ უფლებრივ სტანდარტებსა და კონსტიტუციურ გარანტიებზე მსჯელობას და სადავო ნორმების მათთან შემხებლობის დადგენას, არამედ ამ უფლების განხორციელების შემზღუდავი შესაძლო გარემოებების

²⁵² საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის საარჩევნო ხმის უფლების უზრუნველყოფა, ხმის მიცემის ფარულობა, საუბნო, საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ან მათი ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის ვადები, ცესკოს მიერ ახალარჩეული პარლამენტის წევრების რეგისტრაციაში გატარებისა და დროებითი მოწმობების გაცემის წესი და ამ საკითხების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების არაკონსტიტუციურად ცნობა.

ჩამოთვლას. პარადოქსულია, რომ საარჩევნო უფლების მიმართ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების მიმოხილვას სასამართლომ მხოლოდ ამ ნაწილში დაუთმო ყურადღება და საბოლოოდ, მოსარჩელებისგან მოითხოვა დასაბუთება, სახელმწიფოს ჰქონდა თუ არა გონივრული შესაძლებლობა, საზღვარგარეთ მოქალაქეთა აქტიური საარჩევნო ხმის უფლება უზრუნველყო და რომ მან ეს არ განახორციელა.

კიდევ უფრო პრობლემური იყო განჩინების ის ნაწილი, რომ სასამართლომ დაივიწყა კონსტიტუციური სამართალწარმოების ბუნება და თავისი მანდატი, რომლითაც სადავო საკითხის კონსტიტუციურობის პრობლემის დანახვის შემთხვევაში, შესაძლებლობა მიეცემოდა ეს საკითხი საჯარო სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით, საჭირო მტკიცებულებების მოძიებით, თავად გამოეკვლია. საკონსტიტუციო სამართალწარმოება არ არის მკაცრად შეჯიბრებითი პროცესი, სადაც გადაწყვეტილების მიღებისათვის სასამართლო მხოლოდ მხარეთა პოზიციებითა და წარმოდგენილი მტკიცებულებებითაა შეზოჭილი. მას შესაძლებლობა და ვალდებულებაც ჰქონდა გამოეკვლია დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ყველა საჭირო საკითხი და საბოლოო გადაწყვეტილება ისე მიეღო. მით უმეტეს, რომ დავა ფუნდამენტურად აყენებდა ექვცევმ დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის - არჩევნების კონსტიტუციურობას.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის შესაძლო გამოუსწორებელ შედეგებზე მსჯელობას, სასამართლოს პირველ რიგში თავად უნდა გაეაზრებინა ამ დავისა და მიღებული გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხი, რაც კიდევ ერთხელ უკავშირდებოდა მისი მხრიდან საკუთარი კომპეტენციის სათანადოდ აღქმისა და განმარტების საკითხს. სასამართლოს მიერ საკუთარი კომპეტენციისა და, უფრო ფართოდ, საკუთარი კონსტიტუციური მანდატის გააზრების პრობლემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული თავად სასამართლოს დუმილიც იმ ფაქტზე, რომ კონსტიტუციური სარჩელების რეგისტრაციაში გატარების მიუხედავად, „ქართული ოცნება“ არ დალოდებია მათ განხილვას, რისთვისაც კანონმდებლობით ისედაც შემჭიდროებული ვადებია (30 დღე) გათვალისწინებული, პარლამენტის სხდომა მოიწვია და მისი უფლებამოსილება ერთპარტიულ რეჟიმში ცნო. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავა, როგორც კონსტიტუციური ორგანოს წარმომადგენელი, ამ სხდომას არ დასწრებია, თუმცა მან ეს გადაწყვეტილება სარჩელებზე მუშაობის საჭიროებით ახსნა და არა იმით, რომ „ქართული ოცნების“ ეს გადაწყვეტილება სასამართლოსთვის მინიჭებული კომპეტენციის და მისი, როგორც კონსტიტუციური ორგანოს სრული პოლიტიკური გულგრილობის ნათელი გამოხატულება იყო.

რაც შეეხება ხმის ფარულობის დარღვევის საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული პრობლემა მიემართებოდა არა სადავო ნორმების შინაარსს, არამედ საარჩევნო ადმინისტრაციის ქმედებებს (ბიულეტენის ან/და მარკერის შერჩევას). აქაც, განჩინებაში განვითარებულ მსჯელობაში საერთოდ არ ყოფილა ნახსენები ხმის ფარულობის მასობრივ დარღვევებზე საერთო სასამართლოებში წარმართული დავები, არც საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან საჯარო წყაროებით ხელმისაწვდომი განმარტებები, რომლებიც საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებშიც ფიგურირებდა. ამ საკითხების

საფუძვლიანი გამოკვლევა ზეპირი სხდომის გამართვის შემთხვევაშიც იქნებოდა შესაძლებელი, რაზეც სასამართლომ უარი თქვა.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ, სადავო ნორმების განმარტების პროცესში, ამ საქმეშიც მხოლოდ მათი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით იხელმძღვანელა, რაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმარტებისა და მსჯელობის საბაზო მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებდა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების კონკრეტული ნორმატიული შინაარსების არაკონსტიტუციურად ცნობას წლების წინ სწორედ იმ მიზნით ჩაეყარა საფუძველი, რომ სხვა შემთხვევაში, სასამართლოს შეფასების მიღმა აღმოჩნდებოდა ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიერ ნორმათა არაკეთილსინდისიერი და არაკონსტიტუციური განმარტებით დამდგარი შედეგები. შესაბამისად, ამ განმარტებების მხედველობაში მიუღებლობით და მსგავსი ზედაპირული მსჯელობით საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთხელ ღიად უგულვებელყო საკუთარი დადგენილი პრაქტიკა და მისი მიზანი, რომ კონსტიტუციური კონტროლი საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი ღირებულებების, პრინციპების სულისკვეთების, მისი ნორმების შესაბამისი და რეალურად ეფექტიანი ყოფილიყო.

საბოლოოდ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის შეფასების ამ პრეცედენტულ დავას საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უმრავლესობამ მხოლოდ დაუსაბუთებელი და ვიწროდ ლეგალისტური არგუმენტებით უპასუხა და მასზე საჯარო, ზეპირი განხილვაც კი არ გაუმართავს. ამ ქმედებით სასამართლომ თავადვე ფორმალურად დააკნინა საკუთარი კონსტიტუციური სტატუსი და არჩევნების კონსტიტუციურობის შეფასების უმნიშვნელოვანესი კომპეტენცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. 29 ნოემბრის განჩინება ბოლო წლების პრაქტიკის ლოგიკური გაგრძელება და ერთგვარი კულმინაციაა, რადგან ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად დაიკარგა არსებული უმწვავესი პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი სამართლებრივი საშუალება. საკონსტიტუციო სასამართლოს უმოქმედობისა და პოლიტიკური მორჩილების მძიმე შედეგები კი, ქვეყანაში დღემდე, 26 ოქტომბრის არჩევნებიდან თვეების შემდეგაც განაგრძობს მოქმედებას და გაურკვეველია, როდის დასრულდება.

დასკვნა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დღეს ავტორიტარული მისწრაფებების მქონე „ქართული ოცნების“ მოკავშირე, არადემოკრატიული და მორჩილი ინსტიტუციაა, დასაწყვირებული მოსამართლეების უმრავლესობით, რომელიც კონსტიტუციური კონტროლის ბოროტად გამოყენების ძლიერი ფორმის ყველა მახასიათებელს აკმაყოფილებს.

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიტაცების ისტორია, პოლონეთის, უნგრეთის, თურქეთის თუ ვენესუელის სასამართლოებისგან განსხვავებით, დროში სწრაფად არ განვითარებულა და მის დასუსტებაში მეტ-ნაკლები წვლილი დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლებამ შეიტანა. თუკი 1990-იან წლებში, სასამართლოს შექმნიდან პირველ წლებში, მას საკუთარი ინსტიტუციური აღიარებისა და საზოგადოებრივი ლეგიტიმაციისათვის უწევდა ბრძოლა, მომდევნო წლებში ის რამდენჯერმე გახდა ინსტიტუციური თუ ხისტი პერსონალის რეფორმის მცდელობის სამიზნე და მიუხედავად

იმისა, რომ ეს რეფორმები, საბოლოოდ, მისი პირვანდელი სახით არ განხორციელებულა, აშკარა იყო პოლიტიკური ხელისუფლებების ცდუნება, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი მთავარი, ცენტრალიზებული ინსტიტუციის დამორჩილებაზე ან მინიმუმ მის იმგვარად შენარჩუნებაზე, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, ეს სასამართლო მათი ძალაუფლებისთვის საფრთხის შემქმნელი არ გამხდარიყო. მაგალითისათვის, არაერთჯერადი ინიციატივის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს არასოდეს მინიჭებია ინდივიდუალური, პირდაპირი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, რომელიც მას ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებთან საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების თავსებადობის შემოწმების შესაძლებლობას მისცემდა. ასევე სხვადასხვა პოლიტიკური ხელისუფლების მმართველობის პერიოდში განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებებით მუდმივად ვიწროვდებოდა სასამართლოს უფლებამოსილება არჩევნების თუ მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის შემოწმებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მთელი მისი არსებობის განმავლობაში ეს სასამართლო ვერასდროს იქცა სრულად დამოუკიდებელ, ძლიერ და იმგვარი კონსტიტუციური მანდატით აღჭურვილ ინსტიტუციად, რომელიც ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების არსებული საუკეთესო ტრადიციების თანაშემოქმედი იქნებოდა.

ამის მიუხედავად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ისტორიაში შეიქმნა მოკლევადიანი, თუმცა მნიშვნელოვანი პერიოდი, როდესაც 2012 წელს პოლიტიკური ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლის შემდგომ, გარდამავალ პერიოდში მან მნიშვნელოვანი მედეგობა გამოავლინა ხელისუფლებისთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვან თუ სენსიტიურ საკმეებში. თუმცა ქვეყანაში, რომელსაც სრული წარმატებული დემოკრატიული ტრანზიციის არ განუცდია, გასაკვირი არ არის, რომ მოვლენების ასეთი განვითარება იმ დროის მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის მიუღებელი და საშიშიც კი აღმოჩნდა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთი პირველი დემოკრატიული ინსტიტუცია გახდა, რომელიც წინააღმდეგობის გაწევის მცდელობის მიუხედავად, მაინც დაჰყვა პოლიტიკურ წნეხს, შემდგომში კი, ჯერ მისი უფლებამოსილებების შემზღუდველი და საქმიანობის შემაფერხებელი კანონმდებლობის მიღების, შემდგომ კი მისი სრული პერსონალური განახლების პრობლემაში, თანდათან სრულად დამორჩილდა პოლიტიკური ხელისუფლების ვნებებს. მისი უარესობისკენ სახეცვლილება ჯერ არაეფექტიან საკონსტიტუციო კონტროლსა და წლობით გაჭიანურებულ საქმეებში გამოიხატა, ხოლო ქვეყანაში დემოკრატიული უკუსვლის პროცესის დაჩქარებასთან ერთად, იმატა საკუთარი პრაქტიკის უგულებელყოფისა და დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების უარესობისკენ შეცვლის შემთხვევებმა. დასკვნით ეტაპზე კი, სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილებებით მწვანე შუქი აუწოთ პოლიტიკური ხელისუფლების არაერთ ანტიდემოკრატიულ და ანტიკონსტიტუციურ საკანონმდებლო ინიციატივას, მათ შორის, საკუთარი კონსტიტუციური მანდატის დასუსტების ხარჯზე.

სამწუხაროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „განვითარების“ ეს ისტორია სრულად შეესაბამება თანამედროვე აკადემიურ დისკუსიებში ჩამოყალიბებულ თეორიულ ჩარჩოს აპექს სასამართლოების მიტაცებისა და საკონსტიტუციო კონტროლის ბოროტად

გამოყენების აღმავალი ტრენდის შესახებ, რომლის ნაწილადაც წარუმატებელი დემოკრატიული ტრანზიციის არაერთი ქვეყანა იქცა. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ვრცელი კრიტიკული ანალიზი სწორედ არსებულ მძიმე კონტექსტში საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელის ადგილის განსაზღვრას ემსახურება, რომელმაც, დემოკრატიული ცვლილებების შესაძლებლობის შემთხვევაში ბიძგი უნდა მისცეს ამ ინსტიტუტის სწორ სამომავლო დემოკრატიულ გარდაქმნას. იმედს ვიტოვებთ, დემოკრატიის კრიზისის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, აპექს სასამართლოები კვლავ შეძლებენ, დაიბრუნონ ის უმნიშვნელოვანესი და განსაკუთრებული როლი, რომელიც მათ მე-20 საუკუნის მიწურულს დემოკრატიული ტრანზიციის პროცესში კონსტიტუციურ-სამართლებრივი ღირებულებების დაცვის საქმეში შეასრულეს.